

მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა

იფიქრე გლობალურად,
იმოქმედე ლოკალურად



პუბლიკაცია გამოიცა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „პოლიტიკური განათლების „გამწვანება“ საქართველოში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ“ ფარგლებში.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2013



სარჩევი

შესავალი.....	3
1. მწვანე პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია XX საუკუნეში.....	3
2. გლობალური მწვანე პოლიტიკა.....	5
3. მწვანე ფილოსოფია.....	5
4. მწვანე ფილოსოფიის საფუძვლები.....	7
4.1 იცოდე ლიმიტები.....	7
4.2 ჰოლიზმი და მწვანე ფილოსოფია.....	7
4.3 მეცნიერება და მწვანე ფილოსოფია.....	7
4.4 მწვანე ფილოსოფია და ნატურალიზმი.....	8
4.5 არა-ძალადობა.....	9
4.6 მწვანე ფილოსოფია და მონაწილეობითი დემოკრატია.....	9
5. მწვანე ფილოსოფია და მწვანე პოლიტიკა.....	11
5.1 მწვანე ფილოსოფია და დაჯგუფებები მწვანეთა მოძრაობებში.....	11
5.2 მწვანე პოლიტიკის სხვადასხვა მიმდინარეობები:.....	12
6. მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის ძირითადი ცნებები და კონცეფციები.....	14
6.1 ძირითადი ცნებები.....	14
6.2 ძირითადი კონცეფციები.....	16
7. კლიმატის ცვლილება.....	24
7.1 რა არის კლიმატის ცვლილება?.....	24
7.2 კლიმატის ცვლილება, როგორც უსაფრთხოების პრობლემა.....	25
7.3 გლობალური დათბობის ზემოქმედება ადამიანების ჯანმრთელობაზე.....	25
7.4 გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია.....	25
7.5 ემისიებით ვაჭრობა.....	26
7.6 სუფთა განვითარების მექანიზმები.....	26
7.7 კიოტოს ოქმი და შერბილების რეალური პროგნოზები.....	27
7.8 კლიმატის ცვლილების შედეგებისადმი ადაპტაცია.....	27
7.9 კლიმატის ცვლილება - მითი თუ რეალობა.....	28
7.10 შტერნის ანგარიში.....	29
8. საქართველოს გარემოსდაცვითი პრობლემები და გამონწვევები.....	30
8.1 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება.....	30
8.2 საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია.....	31
8.3 წყლის რესურსები.....	33
8.4 ატმოსფერული ჰაერი.....	34
8.5 ნარჩენები და ქიმიური ნივთიერებები.....	36
8.6 ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები, ტყითსარგებლობა.....	37
8.7 კლიმატის ცვლილება და საადაპტაციო ღონისძიებები.....	38
9. მწვანე ეკონომიკა.....	41
9.1 მწვანე ეკონომიკის განსაზღვრება.....	41
9.2 როგორ დაზნერგოთ მწვანე ეკონომიკა.....	41
9.3 ახალი გლობალური მწვანე შეთანხმება.....	42
9.4 განახლებადი ენერჯია და ახალი გლობალური მწვანე შეთანხმება.....	43
9.5 ახალი გლობალური მწვანე შეთანხმების პრობლემები.....	44

ჩანართები

ჩანართი 1. მწვანე პოლიტიკის ისტორიული საფუძვლები	4
ჩანართი 2. მონაწილეობითი დემოკრატია XXI საუკუნეში	10
ჩანართი 3. მწვანეთა გლობალური მოძრაობა	12
ჩანართი 4 გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების ძირითადი ეტაპები.	22
ჩანართი 5. გარემოსდაცვითი ან მდგრადი განვითარების რევოლუციის აუცილებელი ცვლილებები	23

სავარჯიშოები

სავარჯიშო 1 – მწვანე ფილოსოფია და მონაწილეობითი დემოკრატია.....	45
სავარჯიშო 2 - მწვანე დიალოგი და მწვანე პოლიტიკა(1)	47
სავარჯიშო 3 - მწვანე დიალოგი და მწვანე პოლიტიკა (2)	50
სავარჯიშო 4 - მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვის ძირითადი ცნებები და კონცეფციები.....	51
სავარჯიშო 5 - საქართველოს გარემოსდაცვითი პრობლემები და გამონვევები (1)	52
სავარჯიშო 6 -საქართველოს გარემოსდაცვითი პრობლემები და გამონვევები (2).....	53
სავარჯიშო 7 - საქართველოს გარემოსდაცვითი პრობლემები და გამონვევები (3).....	55
გამოყენებული ლიტერატურა.....	57

შესავალი

ტერმინი “მწვანე პოლიტიკა” ერთ დროს გერმანიის მწვანეთა პარტიის სინონიმად მოიაზრებოდა. 1983 წელს დასავლეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტში გერმანიის მწვანეთა პარტია უმრავლესობით აირჩიეს, მათი შესვლა პარლამენტში გამორჩეული იყო, დანყებული არაოფიციალური ჯინსებით და დამთავრებული ქოთნის მცენარეებით, რომლებიც გაჩნდა მათ მაგიდებზე. თავისი ფერადოვნებით ისინი მნიშვნელოვნად გამოირჩეოდნენ სხვა ტრადიციული პარტიებისგან. გერმანიის მწვანეთა პლატფორმა ოთხ ძირითად პრინციპს ეყრდნობა: გარემოს დაცვა, სოციალური სამართლიანობა, მშვიდობა და მონაწილეობითი დემოკრატია.

1. მწვანე პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია XX საუკუნეში

პირველ ეკოლოგიურ პოლიტიკურ პარტიად ავსტრალიის გაერთიანებული ტასმანიის ჯგუფი ჩამოყალიბდა, 1972 წლის მარტში, როგორც კაშხლების საწინააღმდეგო, დაცვის კამპანიის დროს. თუმცა მათ მიიღეს მხოლოდ 3%-იანი მხარდაჭერა საპარლამენტო არჩევნებში და ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზანს დაეცვათ პედერის ტბა, მათ იმპულსი მისცეს მწვანეთა პარტიების ფორმირებას მსოფლიოში. მათი წესდება, ერთგვარი მანიფესტი, აცხადებდა რომ ჯგუფი წარმოადგენს:

- გადარჩენისთვის მებრძოლი გლობალური მოძრაობის ნაწილს;
- იღწვის ადამიანის ღირსებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის და უარყოფს ნებისმიერ შეხედულებას, რომ ადამიანებს აქვთ უფლება მოიხმარონ ყველა ტიპის ბუნებრივი რესურსები ყველა საშუალებებით;
- გაერთიანებულია ახალი ეთიკური ნორმით, რომელიც აერთიანებს ადამიანებს ბუნებასთან, რათა არ მოხდეს დედამიწის სიცოცხლის სისტემების კოლაფსი.

გაერთიანებული ტასმანიის ჯგუფის და მისი პრინციპების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ანგარიშმა „ზრდის ლიმიტები“¹ Limits to Growth, რომელიც კომპიუტერული მოდელების მეშვეობით ამტკიცებდა რომ თუ არ მოხდება არსებული ეკონომიკური ზრდის შეჩერება ეკოლოგიური კატასტროფა გარდაუვალია. 1973 წელს ნავთობის კრიზისმა ხელი შეუწყო ამ იდეების გავრცელებას. ამავე წელს დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა სახელმძღვანელო გადარჩენისთვის, Blueprint for Survival და გამოიწვია ფართო საზოგადოებრივი დებატები.

შედეგად, წლის მიწურულს ჩამოყალიბდა ბრიტანეთის მწვანეთა პარტია (მაშინ პარტიას ერქვა ხალხი). დღეს პარტიას ჰყავს საკმაოდ გავლენიანი წევრები ევროპარლამენტში და ადგილობრივ დონეზე, საკრებულოებში, მათ შორის დედაქალაქშიც. შოტლანდიის მწვანეთა პარტია ასევე წარმოდგენილია შოტლანდიის პარლამენტში.

საფრანგეთისა და გერმანიის მწვანეებმა პარტიების ერთ-ერთ მთავარ პრინციპს ეკონომიკური ზრდის ლიმიტები წარმოადგინა. საფრანგეთში, მწვანეების საპრეზიდენტო კანდიდატი რენე დიუმონტი სწორედ ამ დღის წესრიგს წარმოაჩენდა, 1974 წლის საარჩევნო კამპანიაში. თუმცა საფრანგეთსა და გერმანიაში მწვანეთა პარტიების მკვეთრი პოპულარობა, ისევე როგორც სხვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სამოცდაათიანი წლების ანტი ატომურმა და ანტიბირთვულმა კამპანიებმა განსაზღვრა.

მწვანეები მოიაზრებდნენ თავს, როგორც გლობალური საპროტესტო კამპანიის საარჩევნო ფრთას. აღსანიშნავია, რომ გერმანელმა მწვანეებმა 80-იანი წლების არჩევნებში გაიმარჯვეს არა როგორც ფორმალურმა პარტიამ, არამედ როგორც სოციალური მოძრაობის წარმომადგენლებმა. გერმანიის რადიკალმა მემარცხენეებმა, რომლებიც პოლიტიკურ სცენაზე სამოციანი წლების ბოლოს გამოჩნდნენ, უზრუნველყვეს გერმანიის მწვანეთა პარტია წამყვანი ფიგურებით, მათ შორის, პარტიის მომავალი ლიდერთ იოჰა ფიშერთ.

1968 წლის პარიზის მოვლენებმა, როდესაც სტუდენტმა დემონსტრატებმა იერიში მიიტანეს მომხმარებლობით შეპყრობილ საზოგადოებაზე, ასევე შეასრულა თავისი როლი მწვანე პოლიტიკის ფორმირებაში.

¹ Limits to Growth, 1972, A Report to the Club of Roma,

თანამედროვე გარემოსდაცვითი მოძრაობა სათავეს იღებს მე-20 საუკუნის 50, 60 და 70-იან წლებში, რასაც სათავე დაუდო რამოდენიმე ინციდენტმა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერება. ეს იყო როგორც კალიფორნიის სანაპიროსთან კატასტროფულმა ნავთობის დაღვრამ, ასევე ატომური იარაღის გამოცდის შედეგები, დიდი ქალაქების ატმოსფერული ჰაერის კატასტროფულმა დაბინძურებამ, ფერმებისა და ტყეების განადგურება ქალაქების ზრდის ხარჯზე და ა.შ. 63 წელს ქვეყნდება მეცნიერის რეიჩელ კარსონის წიგნის „მდუმარე გაზაფხული“, რომელმაც ფაქტობრივად რევოლუციური წვლილი შეიტანა თანამედროვე გარემოსდაცვითი მოძრაობის ჩამოყალიბებაში. კარსონმა მოახერხა, უკვე არსებული ფაქტების საფუძველზე თვალნათლივ ეჩვენება, რომ ბიოსფეროში მოხვედრის შემდეგ პესტიციდი DDT არა მხოლოდ კლავს „მაწვანებელ მწერს“, არამედ ხვდება საკვების ჯაჭვში, რის შედეგადაც იწამლება არა მხოლოდ ჩიტი და თევზი, არამედ საბოლოოდ ავადებს ბავშვებს.

60-იანი წლების კონტრკულტურა გახდა როგორც მწვანეთა პარტიების პოლიტიკის, ასევე უფრო ფართოდ მწვანე მოძრაობის იდეოლოგიის ნაწილი. კონტრკულტურა ეყრდნობოდა ისეთ რადიკალურ მოაზროვნეებს, როგორებიც იყვნენ ჰერბერტ მარკუსი და ერის ფრომი, ფრანკფურტის სკოლიდან. კონტრკულტურა გმობს კაპიტალიზმს არა მხოლოდ მუშათა ექსპლუატაციის გამო, არამედ იმიტომაც რომ ის ახდენს ადამიანის დეჰუმანიზაციას, აყალიბებს მას როგორც პასიურ მომხმარებელს და აბინძურებს გარემოს. კონტრკულტურის სხვა წარმომადგენლებს, მაგ. ალდოს ჰექსლის და ჰერმან ჰესეს, ასევე ჰქონდათ გავლენა მწვანე პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. ჰექსლის რომანი, უტოპია კუნძული, წარმოადგენს გარკვეული თვალსაზრისით მწვანე სახელმძღვანელოს, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი განვითარების მრავალ ასპექტს, მათ შორის განათლების, სულიერების, ოჯახის და სხვა. ჩარლზ რეიჩის წიგნმა, ამერიკის გამწვანება (The Greening of America), და თეოდორე როზაკის, სად მთავრდება ნაგავსაყრელი (Where the Wasteland Ends Theodore Roszak's) ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მწვანეთა მოძრაობის ჩამოყალიბებაში.

ჩანართი 1. მწვანე პოლიტიკის ისტორიული საფუძვლები

მწვანე პოლიტიკის ისტორიული საფუძვლები

აღსანიშნავია, ისიც რომ ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, რომ მართალია თანამედროვე სახით მწვანე პოლიტიკას საფუძველი ჩაეყარა 60-იანი წლების კონტრკულტურისა და 70-იანი წლების სამეცნიერო მონაპოვრების მიქსის შედეგად, მისი ფესვები უფრო ღრმაა. მათი აზრით, მწვანე პოლიტიკის ფესვები უნდა ვეძებოთ XIX საუკუნის დასასრულს. ინგლისელი მწერალი და მხატვარი უილიამ მორისი, ჯონ რასკინის რომანტიულ იდეებზე დაყრდნობით, ქმნის პოლიტიკური დღის წესრიგს, რომელიც უპირისპირდება სამრეწველო დაბინძურებას, ხელს უწყობს კონსერვაციას, ყირიმის ომსა და მოითხოვს ეკლესიების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. მორისი მუხლაჩაუხრელად მუშაობდა თავის ეკოსოციალიზმის პოპულარიზაციისათვის და დაწერა უტოპიური რომანი - ახალი ამბები არსაიდან- რომელიც მწვანე ალტერნატივებს პროპაგანდირებდა. ის იყო სოციალისტებისა და ანარქისტების ჯგუფის წარმომადგენელი, ეს ჯგუფები კი პრაქტიკულად იზიარებდნენ თანამედროვე მწვანე მოძრაობის ყველა ღირებულებას. ასევე, ამ დროში მნიშვნელოვანი ფიგურა და მწვანე პოლიტიკური აქტივისტი იყო ედვარდ კარპენტერი, ღიად გვი, ის აქტიურად პროპაგანდირებდა ფემინიზმსა და ცხოველთა უფლებებს, ასევე იყო შეფილდის სოციალისტთა საზოგადოების დამფუძნებელი.

მწვანე პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძვლების კიდევ უფრო ადრეულ მაგალითებად შეგვიძლია განვიხილოთ მემარცხენე რომანტიკოსი პოეტები უილიამ ბლეიკი და პერსი შელი, ასევე მერი შელი. როგორც აღნიშნავენ ედვარდ კარპენტერი წარმოადგენდა „შელისა და ბლეიკის სოციალიზმის“ პრაქტიკოსს. ხოლო მერი შელის რომანი ფრანკენშტეინი, წარმოადგენს ეკოლიტერატურის ადრეულ ნიმუშს, სადაც ხდება მეცნიერების კრიტიკა, რომელიც დესტრუქციული შედეგებით მანიპულირებს, ბუნებითა და გარემოთი, შედეგად კი ქმნის მონსტრს. პროტო-მწვანე იდეების მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ფრანგი ფილოსოფოსი რუსო, რომელიც მხარს უჭერს ადამიანის მჭიდრო კავშირს ბუნებასთან.

მსოფლიო გლობალური ეკოლოგიური საშიშროებების წინაშე აღმოჩნდა მხოლოდ 60-იანი წლებიდან, ბირთვული იარაღის ტესტირებიდან გლობალური კლიმატის ცვლილებამდე, რამაც გამოიწვია მწვანე პოლიტიკის განვითარება. თუმცა გარემოსდაცვითი პრობლემები არ გაჩენილა XX საუკუნეში.

მაგალითისთვის, დიდ ბრიტანეთში ჰაერის და წყლის დაბინძურების კანონები XIII საუკუნიდან მოქმედებს. ძველინდური ლიტერატურის ძეგლი, მანუსმრტი - მანუს კანონთა კრებული, ხაზს უსვამს რომ არავინ უნდა მოკლას ცხოველები და გაანადგუროს მცენარეული სამყარო, აუცილებელია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და ეკოსისტემების შენარჩუნება „ბუნების კაცისა“ და „ტყეების კულტურის“ კონცეფციით. გარემოს დაცვამ მოითხოვდა გარემოს და მისი ელემენტების შენარჩუნებას ადამიანების კეთილდღეობისა და პროგრესისათვის.

2. გლობალური მშვანე პოლიტიკა

მშვანეთა პარტიები ადრეულ 70-იან წლებში ჩაისახა, 80-იან წლებში კი, გაიზარდა და ჩამოყალიბდა. დღეს მშვანე პოლიტიკა გლობალური მოვლენაა. მისი მთავარი ფოკუსი გარემოს დაცვაა, რათა მოხდეს პლანეტის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის. თუმცა, მშვანე პოლიტიკა თავისთავად უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ გარემოს დაცვა.

მშვანე იდეოლოგია, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია მიზნად ისახავს ჩამოყალიბდეს მდგრადი საზოგადოება, რომელიც ეფუძნება გარემოს დაცვას, სოციალურ ლიბერალიზმსა და მონაწილეობით დემოკრატიას. შესაბამისად, ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პოსტულატს, მათ შორის:

1. **ეკოლოგია** - მშვანე პოლიტიკის მთავარი და ამოსავალი წერტილი არის ეკოლოგიური პოლიტიკა, რომელიც მოგვცემს საშუალებას დავიცვათ დედამიწა მომხმარებლური დამოკიდებულებისგან და ვვზრუნველყოთ მომავალი თაობებისთვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება;
2. **სოციალური სამართლიანობა** - გარემოს დაცვა არ შეიძლება განხორციელდეს ღარიბების ხარჯზე და/ან მიგვიყვანოს სოციალურ უთანასწორობამდე;
3. **მონაწილეობითი დემოკრატია** - მშვანე პოლიტიკის თანახმად აუცილებელია ხალხის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში.

გლობალური მშვანე პოლიტიკა ემხრობა დეცენტრალიზაციას, რითიც ის ძირეულად განსხვავდება ტრადიციული სოციალისტური იდეოლოგიისაგან, რომელიც ძირითადად საზოგადოების ცენტრალიზებულ მართვას ემხრობა.

4. **არა-ძალადობას** - მშვანე პარტიათა შეხედულებები ეფუძნება სამშვიდობო მოძრაობებს და ეწინააღმდეგება ომს, იარაღით ვაჭრობის და ძალის გამოყენებაზე დამყარებულ გადაწყვეტილების მიღების გზებს.

3. მშვანე ფილოსოფია

მშვანეები იზიარებენ ძირითად ფილოსოფიას, რომლის ცენტრალური ამოსავალი წერტილი ადამიანების ბუნებასთან დამოკიდებულებაა. თუმცა პოლიტიკური პრინციპები რომელიც ამ ფილოსოფიიდან გამომდინარეობს შესაძლებელია პრინციპულად იყოს განსხვავებული - ეკოფემინიზმიდან ეკოანარქიზმამდე და ეკოსოციალიზმისგან ეკოფაშიზმამდე.

მშვანე პოლიტიკა ეყრდნობა მკაფიო ფილოსოფიას, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთდაკავშირებულ ეთიკურ საკითხებზე, რომლებიც ხშირად იგნორირებული ან მივიწყებულია სხვა იდეოლოგიების, მათ შორის ლიბერალიზმისა² და კონსერვატიზმის³, მიერ. მშვანე ფილოსოფიის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი არის ეკოცენტრული მიდგომა. მაშინ როდესაც სხვა პოლიტიკური იდეოლოგიები განიხილავენ ბუნებას, როგორც გარკვეული ტიპის რესურსს, რომელიც შეიძლება გამოყენებული და მოხმარებული იყოს მოკლევადიანი სარგებლისთვის. - მშვანეებისთვის გარემო და ბუნება მათი ინტერესის ცენტრალური საკითხია. ეკოცენტრული ელემენტი მშვანე ფილოსოფიაში ხაზს უსვამს, რომ სხვა სახეობები და ასევე თავად დედამიწა, არის მუდმივი ღირებულება და ისინი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც უბრალო ინსტრუმენტები, რომელთაც სარგებლობა მოაქვთ კაცობრიობისთვის. ანუ დღეს არსებული გარემოსდაცვითი პრობლემები, საფრთხესაც რომ არ უქმნიდეს კაცობრიობის არსებობას, მშვანეებისთვის პრიორიტეტულია, რადგან ის საფრთხეს უქმნის დედამიწის მრავალფეროვნებას და მშვენიერებას.

მშვანე ფილოსოფიის თანახმად, ადამიანის და სხვა ბუნების შვილთა სიცოცხლე და კეთილდღეობა დედამიწაზე, თავისთავად ღირებულებაა. ეს ფასეულობები მნიშვნელოვანია იმის და მიუხედავად თუ რა

² ლიბერალიზმი-ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული იდეური და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს პიროვნების თავისუფლების დაცვა, ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი, საბაზრო მეურნეობა, მენარმეობის თავისუფლება, კონკურენცია სახელმწიფოს მინიმალური ჩარევით, ზომიერი რეფორმატორობა, რაციონალიზმი, შემწყნარებლობა და სხვ.

³ კონსერვატიზმი-იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის მიზანია შეინარჩუნოს მდგრადი ტრადიციები და წინ აღუდგეს რადიკალურ ცვლილებებს.

სარგებლობა მოაქვს დედამიწას და მის რესურსებს კაცობრიობის მიზნებისთვის, შესაბამისად, კაცობრიობას არა აქვს უფლება გაანადგუროს დედამიწაზე არსებული რესურსების (როგორც ბიოლოგიური, ასევე არაბიოლოგიური) მრავალფეროვნება საკუთარი სასიცოცხლო მიზნების დაკმაყოფილებისთვის. მწვანეებს მიაჩნიათ, რომ მათ უნდა შეუნარჩუნონ მომავალ თაობებს დედამიწაზე არსებული მრავალფეროვნება. ამასთან, მწვანეთა განმარტებით, მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფრო მეტი წონა როდესაც ვწყვეტთ მნიშვნელოვან საკითხებს და პრობლემებს.

4. მწვანე ფილოსოფიის საფუძვლები

4.1 ისტორიული კონტექსტი

მწვანე ფილოსოფიის კონცეფცია ასევე მოიცავს „ლიმიტების“ ცნებას. უსასრულო ეკონომიკური ზრდა კონკრეტულ პლანეტაზე სასრული რესურსებით არამდგრადია.“ თუ ჩვენ [მსოფლიოს მოსახლეობა] ვაპირებთ ვანარმოთ, მოვიხმაროთ და ნარჩენად ვაქციოთ უფრო მეტი რესურსი, ეს იქნება დამაქცეველი არამართო მომავალი თაობებისთვის, არამედ ასევე ბუნებისა და კაცობრიობისთვის ზოგადად დღესვე“. მუდმივი ეკონომიკური ზრდის შეუძლებლობა, არის კიდევ ერთი ფუნდამენტური თემა, რომელსაც ეყრდნობა მწვანე პოლიტიკა და რითიც მკვეთრად განსხვავდება სხვა იდეოლოგიებისგან. ლიმიტების კონცეფცია სრულ თანხვედრაშია ეკოცენტრულობის პრინციპთან, ვინაიდან დაუსრულებელი ზრდა შესაძლებელიც კი რომ იყოს მიუღებელია მწვანეებისთვის, რადგან მას დიდი ზეგავლენა ექნება გარემოზე. კ.მარქსი ამას ეძახდა ბუნების პატივისცემას, ხოლო ლიბერალიზმის დამფუძნებელი ჯონ სტუარტ მილი, რომელიც მწვანეების ლიმიტების თეორიას პროპაგანდირებდა, მიიჩნევდა რომ ნულოვანმა ეკონომიკურმა ზრდამ შესაძლებელია მიგვიყვანოს უკეთეს საზოგადოებამდე და თანასწორობამდე. თუმცა ძირითადად ლიბერალები და ზოგადად მემარცხენეებიც, უფრო ადვოკატირებენ შეუზღუდავ ეკონომიკურ ექსპანსიას, სხვა არა-მწვანე იდეოლოგიების მსგავსად.

4.2 პოლიტიკა და მწვანე ფილოსოფია

მწვანე პოლიტიკა პოლისტიკურია. პოლიტიკის თანახმად, მთლიანის დაყოფისას ნაწილებად ჩვენ ვსწავლობთ კიდევ უფრო და უფრო ნაკლებს მისი რეალური ბუნების შესახებ. ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც თავისთავად რედუქციონისტულია, სადაც აკადემიური და სხვა დისციპლინები სულ უფრო და უფრო სპეციალიზებულია.

მწვანეების აზრით, იმისთვის რომ გავიგოთ და ავხსნათ რაიმე მოვლენა, ის უნდა დავინახოთ როგორც უფრო დიდი სისტემის ნაწილი. თვითონ ეკოლოგიაც პოლისტიკური მეცნიერებაა, რადგან ის სწავლობს ცოცხალ ორგანიზმებს შორის ურთიერთკავშირებს, აგრეთვე ცოცხალი ორგანიზმებისა და მათი საცხოვრებელი გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას. ეკოცენტრული მიდგომა, კაცობრიობას ასევე ხედავს, როგორც ბუნების ნაწილს და ლიმიტების იდეაც სწორედ ამ პოლისტიკური მიდგომიდან მომდინარეობს.

მაგ, კლიმატის ცვლილება არის გარკვეული ეკონომიკური ძალებისა და მიდგომების პროდუქტი და მხოლოდ მეტი განახლებადი ენერჯების შემოტანა საკითხს ვერ გადაჭრის. საზოგადოებაში სადაც ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანია, განახლებადი ენერჯების გაზრდა თუ არ აკომპანირდა ორგანული საწვავის შემცირებით, კლიმატის ცვლილება კვლავ პრობლემად დარჩება. მოთხოვნამ მეტი რესურსების ათვისებაზე შესაძლებელია გამოიწვიოს ძირითადი ეკოსისტემების რღვევა და და კიდევ უფრო გაამწვავოს კლიმატის ცვლილება, იმ შემთხვევაშიც კი თუ ნაკლებ ორგანულ საწვავს მოვიხმართ. მწვანე პოლიტიკა, მისი პოლისტიკური მიდგომიდან გამომდინარე, ცდილობს მოახდინოს ამგვარი პრობლემების პრევენცია და შემოგვთავაზოს სტრუქტურული გადაწყვეტილებები. პოლიტიკის ყველა დარგში შესაძლებელია ამ მიდგომის გამოყენება.

მაგალითად, განვიხილოთ ჯანდაცვის სექტორი რედუქციონისტების მიდგომა იქნება რომ დავინახოთ ავადმყოფობა როგორც გარკვეულ მიზეზთა შედეგი, რომელიც შესაძლებელია განიკურნოს გარკვეული ნამლებით და სამედიცინო ტექნოლოგიებით. მართალია მწვანეები, არ უარყოფენ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ამავდროულად თვლიან რომ ავადობა არის გარემოსდაცვით და სოციალურ მიზეზთა ერთობლიობის შედეგი და პრევენცია ყოველთვის უფრო ეფექტურია ვიდრე მკურნალობა. თანასწორი საზოგადოებები ყოველთვის უფრო ჯანმრთელია. ცნობილია, რომ პრევენციული მედიცინა ეფუძნება ჯანმრთელ გარემოს და საზოგადოებას.

4.3 მეცნიერება და მწვანე ფილოსოფია

მეცნიერებას და მწვანე ფილოსოფიას შორის კომპლექსური და რთული ურთიერთკავშირია. ატომური ენერჯის, მუავე ნვიმების, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების, ბიომრავალფეროვნების საფრთხეები იდენტიფიცირებულ იქნა მეცნიერული კვლევების შედეგად.

მეცნიერული საკითხები და პრობლემები მწვანეთა მოძრაობის მამოძრავებელი ძალაა. სწორედ ისეთმა

მეცნიერულმა კვლევამ როგორც იყო „ზრდის ლიმიტები“⁴ მისცა ბიძგი მწვანეთა პარტიების ჩამოყალიბებას. თუმცა, მეცნიერება ყოველთვის არ იძლევა ავტომატურ გადაწყვეტილებებს ისეთ პრობლემებთან მიმართებაში, როგორცაა მაგ, კლიმატის ცვლილება ან ტყეების დეგრადაცია. უფრო მეტიც, მწვანეები მიიჩნევენ, რომ ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების პრიორიტეტიზაციამ შეიძლება ნეგატიური შედეგები მოიტანოს, თუ პრევენციული ღონისძიებები არ იქნება განხორციელებული. ეკოლოგიური სისტემების სირთულის გამო, ძნელია იმის პროგნოზირება, თუ რა ზემოქმედება ექნება კონკრეტულ ღონისძიებებს ან პოლიტიკებს. დაუგეგმავი შედეგებიც ხშირია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სიფრთხილის გამოჩენა რთული ეკოლოგიური პრობლემების სამეცნიერო გზით გადაწყვეტისას.

ამავდროულად, ეს მიდგომა არ ამართლებს ე.წ. უმოქმედობის ალტერნატივას ისეთი გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრისას როგორცაა მაგ. კლიმატის ცვლილება. ის მხოლოდ გულისხმობს, რომ სწრაფმა ტექნოლოგიურმა პასუხებმა შეიძლება, გამოიწვიოს უფრო მძიმე გვერდითი შედეგები და განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა, იყოს გამოყენებული.

4.4 მწვანე ფილოსოფია და ნატურალიზმი

მწვანე ფილოსოფია გარკვეულწილად ნატურალისტურია. ნატურალიზმის⁵ იდეაა, რომ კაცობრიობა არის ბუნების ნაწილი, მსოფლიოში მხოლოდ ბუნების კანონები მოქმედებენ და სწორედ მათი გაგებითა და გამოყენებით შეიძლება შევქმნათ კაცობრიობის მომავალი. რა შეიძლება იყოს იმაზე მწვანე ვიდრე იმის გათავისება, რომ ადამიანები უნდა მიყვებოდნენ და ემორჩილებოდნენ ბუნების კანონებს. თუმცა ალბათ პრობლემა სწორედ ამ კანონების შესწავლა და გათვითცნობიერებაა, ამავდროულად პრობლემატურია როდესაც ადამიანური საზოგადოებების ქმედებები დაიყვანება ბიოლოგიამდე. შესაბამისად, ეს საკითხები გარკვეულ წინააღმდეგობებს იწვევს მწვანეებს შორის.

მაგ, მწვანეების ეჭვის თვალთ უყურებენ დიდ გეოინჟინერულ პროექტებს, რომლებიც მიმართულია ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად, მაგ. ამრეკლი ნაწილაკების გაფრქვევა ატმოსფეროში გლობალური დათბობის წინააღმდეგ.

მწვანეები ასევე კრიტიკულად არიან განწყობილნი ტექნოკრატული გადაწყვეტილებების მიმართ, იმიტომ რომ მათ სწამთ, რომ ტექნოლოგიები უნდა ჯდებოდეს სოციალურ კონტექსტში. ხშირად სოციალური პრობლემების გადაჭრას, მაგ, როგორცაა სიღარიბე, ცდილობენ ტექნოლოგიური საშუალებებით, ისე რომ არ ებრძვიან მის გამომწვევ მიზეზებს. 1970 წლის მწვანე რევოლუცია ამის კარგი მაგალითია. ინდოეთსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში გამოიყენებოდა ახალი ჰიბრიდული მცენარეები, რათა გაზრდილიყო მოსავლიანობა რის შედეგადაც დამარცხდებოდა სიღარიბე და შიმშილი მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო მიწები, მოხდა მსხვილ მინათმფლობელთა წილის გაზრდა ღარიბებისგან მიწების შეძენის ხარჯზე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა სიღარიბე და უთანასწორობა. ინდოელი მეცნიერის ვანდანა შივას დაკვირვებით, მწვანე რევოლუციამ ასევე გამოიწვია მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემები. საკვების პროდუქტიულობის ზრდა მოკლევადიან პერსპექტივაზე იყო გათვლილი, მან გამოიწვია როგორც ბიომრავალფეროვნების შემცირება, ასევე ნიადაგის ეროზია რამაც საფრთხე შეუქმნა მომავალში მოსავლიანობას.

კრიტიკოსების აზრით, მწვანეები მეცნიერებიდან ითვისებენ მხოლოდ იმ ნაწილებს, რომლებიც ამართლებს მწვანეთა ფილოსოფიას. მაგ, კლიმატის ცვლილება, თუმცა, ამავდროულად იგნორირებას უკეთებენ ისეთ გამომწვევებს რაც არათავსებადია მათ პრინციპებთან. მწვანეები საპასუხოდ აღნიშნავენ, რომ აუცილებელია პრობლემების ტექნოლოგიურად გადაჭრის გზების უფრო ფართო კონტექსტში განხილვა - სოციალურ და მორალურ, ასევე ეკოლოგიურ ჭრილში, რათა თავიდან ავიცილოთ თანმდევი, გვერდითი ეფექტები და მოულოდნელობები.

⁴ Limits to Growth, 1972, A report to the Club of Rome, http://www.bibliotecapleyades.net/sociopolitica/esp_sociopol_clubrome6.htm

⁵ ნატურალიზმი-ფილოსოფიური მეცნიერება, რომელიც სინამდვილის ასახსნელად საბუნებისმეტყველო მეცნიერების ცნებებსა და მეთოდებს იყენებს.

4.5 არა-ძალადობა

როგორც სამშვიდობო მოძრაობების გაგრძელება, მწვანე პარტიების, ისევე როგორც მწვანე ფილოსოფიის ერთი-ერთი მთავარი პრინციპი, არის არა-ძალადობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მწვანეთა პარტიებმა დროთა განმავლობაში დათმეს თავისი რადიკალური პოზიციები ძალადობასთან მიმართებაში და უფრო პრაგმატულები გახდნენ. მაგალითისთვის, გერმანიის მწვანეთა პარტია დათანხმდა გერმანიის მიერ სამხედრო ძალების შეყვანაზე სერბეთში; ასევე მწვანეები მხარს უჭერდნენ ისეთ შეიარაღებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, როგორიცაა აფრიკის ნაციონალური კონგრესი. ამ შემთხვევებში, მწვანეები თვლიდნენ, რომ უმოქმედობა და არა-ძალადობის პრინციპის მკაცრი დაცვა ხელს უწყობს არსებულ რეჟიმებს და გამოიწვევს უფრო მეტ მსხვერპლს. იგივე გერმანიის მწვანეთა პარტია, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის - იოჰა ფიშერის მეთაურობით, ერაყში შეჭრის მთავარი ოპონენტი იყო 2003 წელს.

4.6 მწვანე ფილოსოფია და მონაწილეობითი დემოკრატია

მონაწილეობითი დემოკრატია - ეს არის დემოკრატიული სისტემა სადაც თქვენ შეგიძლიათ არა მხოლოდ პოლიტიკური არჩევნის შედეგად შეცვალოთ მთავრობა („უბრალო“ დემოკრატია), არამედ შეცვალოთ პოლიტიკა მთავრობის ცვლილების გარეშე.

მწვანეები ცდილობენ მონაწილეობითი დემოკრატია აქციონ ცხოვრების წესად, როგორც შიდაორგანიზაციული გადანაცვლების მიღების პროცესში, ასევე პოლიტიკური საკითხების გადანაცვებისას.

მწვანეთა უმრავლესობა არ ემხრობა იერარაქიულ წყობასა და ძალაუფლების ცენტრალიზაციას, ვინაიდან, მათი აზრით, ეს სწორედ ის მახასიათებლებია, რაც უარყოფითად ახასიათებს დღევანდელ პოლიტიკურ წყობას. მწვანეები აფასებენ ლიდერებს, მაგრამ ლიდერებს, რომელთაც შეუძლიათ ფასილიტაცია და არა მანიპულაცია, რომელთაც შეუძლიათ შთაგონება და არა მბრძანებლობა. ეს არის ე.წ. ბუნებრივი ლიდერობა, რომელიც არ მოითხოვს ძალაუფლებას, არამედ აძლევს მას.

მწვანეები აღიარებენ იდეების მრავალფეროვნებასა და სირთულეს, აგრეთვე აცნობიერებენ კომპლექსურ კავშირებს სხვადასხვა იდეებსა და პოლიტიკებს შორის. მათთვის წარმოდგენილია რომ ერთ ექსპერტს, თუნდაც გენიოსს, ჰქონდეს პასუხი ყველა კითხვაზე. შესაბამისად, ამ სიტუაციაში, მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ, ლიდერმა უზრუნველყოს სხვადასხვა ექსპერტების მონაწილეობა და მათ შორის კონსენსუსი, ხოლო მეორე მხრივ, ეფექტურად შეატყობინოს ეს სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

ამასთან, მწვანეთა პარტიები მსოფლიოს გარშემო, ძირითადად იყენებენ ე.წ. ქვემოდან ზემოთ მიდგომას პოლიტიკებისა და პლატფორმების შემუშავებისას. ანუ, ძირითადად, ამ პოლიტიკების შემუშავება ხდება მწვანეთა პარტიის ჩვეულებრივი/რიგითი წევრების მიერ, შემდეგ ხდება მისი განხილვები, დისკუსიები და მხოლოდ ამის მერე ხდება პარტიის ოფიციალური პოლიტიკა.

ზოგადად, მონაწილეობითი პოლიტიკა ძალიან იშვიათია თანამედროვე პოლიტიკურ ორგანიზაციებში, რადგან ამ ეფექტის შესანარჩუნებლად, იგი მოითხოვს საკმაოდ დიდ ადამიანურ რესურსებს, კონცენტრაციას და მუდმივ შრომას. ბევრი ორგანიზაცია იწყებს მონაწილეობითი მიდგომით, მაგრამ შემდეგ ორგანიზაციის ზრდის შედეგად, ხშირად ხდება ე.წ. პროფესიონალიზაცია, როდესაც დაქირავებული ლიდერი და შტატი იწყებს გადანაცვლების მიღებას. ხდება შემოთავაზებული გადანაცვლებების ავტომატური მიღება, რასაც მოჰყვება ორგანიზაციის წევრების ე.წ. „გაზარმაცება“, შედეგად ლიდერი ნაკლებად ითვალისწინებს წევრების აზრს და საბოლოოდ, მონაწილეობა გადანაცვლების მიღებაში აღარ არსებობს.

გამომდინარე იქიდან, რომ მწვანეები ქადაგებენ მონაწილეობით დემოკრატიას პოლიტიკის აქტუალური საკითხების გადანაცვებისას, აქტიურად იყენებენ ისეთ ინსტრუმენტებს როგორიცაა, საჯარო განხილვები, ექსპერტების შეხვედრები და ა.შ. იყენებენ ასევე რეფერენდუმებისა და მოსახლეობის გამოკითხვების ტექნიკას, თუმცა, თვლიან, რომ პირდაპირი დემოკრატია ასევე უნდა ეყრდნობოდეს ინფორმირებულ არჩევანს. ყოველივე ამის მიზანია, მოსახლეობის დაინტერესებული ნაწილის ჩართვა გადანაცვლების მიღების პროცესში, ე.წ. „არა ჩემ ეზოში“ სინდრომის გადალახვა, როდესაც მოსახლეობას არ აინტერესებს ის საკითხები რომელიც არ ეხება პირადად მას, სოლიდარობის ზრდა.

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური მოქალაქის პერსპექტივად, ძალზე მცირეა იმ საკითხთა ნუსხა, რომელთა გარშემოც მათ აქვთ მკვეთრად ჩამოყალიბებული მოსაზრება და გრძელთა სია იმ გადანაცვებების რომელიც არ ახდენს მათზე ზემოქმედებას, და/ან არ აქვთ ინფორმირებული შეხედულება. ისინი ღიბიანდებიან დაუსრულებელი შეხვედრებითა და კვლევებით, მაგრამ იგივე მოქალაქეები აქტიურად გამოხატავენ პროტესტს, როდესაც ღებულობენ მნიშვნელოვან გადანაცვებებს, მათი ჩართულობის გარეშე.

შესაბამისად, მონაწილეობითი პროცესის სწორად ჩამოყალიბება და წარმართვა საკმაოდ რთულია, ეს უნდა იყოს ღია პროცესი სადაც ადამიანებს ექნებათ საშუალება:

1. მიიღონ მონაწილეობა;
2. იყვნენ ინფორმირებულები;
3. ჰქონდეთ თავისი მისაზრება;
4. ჰქონდეთ ზეგავლენა შედეგზე, რომელიც ასახავს მათ წვლილს.

მონაწილეობით დემოკრატიაში გადანაცვებები მიიღება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თანამონაწილეობით იმ პირებთან, ვინც დაინტერესებულია გამოთქვას თავისი აზრი. ანუ, თუ არ გაინტერესებს და არ მონაწილეობ გადანაცვებებში, არ გაქვს კრიტიკის უფლება.

ჩანართი 2. მონაწილეობითი დემოკრატია XXI საუკუნეში

მონაწილეობითი დემოკრატია XXI საუკუნეში

მონაწილეობითი დემოკრატის მთავარი პრობლემა იყო კომუნიკაციური არხების სიმცირე და მათი სიძვირე, განსაკუთრებით თუ შევხედავთ ამას ისტორიული პერსპექტივიდან. მათ შორის:

- ბეჭდური პრესის მოგონებამდე;
- ტელეგრაფის მოგონების შემდეგ;
- ტრანსლაციის მოგონების შემდეგ;
- ტელეფონის მოგონების შემდეგ.

ინტერნეტის მოგონების შემდეგ ინფორმაციის გადაცემის ხარჯები პრაქტიკულად არ არსებობს, ან უმნიშვნელოა მსოფლიოს დიდი ნაწილისთვის.

ისტორიული პერსპექტივიდან - ინფორმაციის გავრცელების, განათლების, კომუნიკაციების და ტრანსპორტირების ხარჯები გახდა ხელმისაწვდომი, შესაბამისად დემოკრატია გახდა ნაკლებად ძვირი და ადამიანებს შეუძლიათ უფრო მეტი, დემოკრატის განვითარებისთვის.

მწვანეთა პარტიების თვალსაზრისით, ტექნოლოგიების განვითარებას უნდა მოყვას პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაცია, მათ შორის ადამიანების ჩართულობის ზრდა და მონაწილეობითი პრინციპების დამყარება საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ გადანაცვებების მიღების პროცესში არსებულ ძირითად გარემოსდაცვითი ინსტრუმენტებში, რომელსაც დღეს მთელ მსოფლიოში იყენებენ, მათ შორის საქართველოში, საზოგადოების მონაწილეობა ერთერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. (გარემოსდაცვითი ინსტრუმენტები: გარემოზე ზემოქმედების შეფასება, სტარტეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, სივრცითი დაგეგმარება და სხვა.)

5. მწვანე ფილოსოფია და მწვანე პოლიტიკა

როგორც ვნახეთ, მწვანე ფილოსოფია უფრო ეკოცენტრულია, ვიდრე ანტროპოცენტრული. თუმცა, მწვანეთა პარტიები, განსაკუთრებით, მთავრობაში მყოფი, ცდილობენ ხაზი გაუსვან მათი პოლიტიკის სარგებელს ადამიანებისთვის, რაც თავისთავად ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ რომ ცხოველებს და მცენარეებს არა აქვთ ხმის უფლება. მწვანე პოლიტიკა არ არის მხოლოდ არჩევნების და/ან არა-ძალადობის აქცია, რომლის მიზანია მიაღწიოს სასურველ შედეგს.

მწვანე პოლიტიკის საბოლოო მიზანია ღრმა კულტურული ცვლილებები საზოგადოებაში. მწვანე პოლიტიკა ცდილობს ადამიანების გადამწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვით, ადამიანთა განათლებით გააფართოვოს კაცობრიობის წარმოდგენა მშობლიურ პლანეტაზე, ჩამოაყალიბოს სამართლიანი და თანასწორი ურთიერთობები როგორც საზოგადოების შიგნით და ასევე ბუნებასთან. მწვანე პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანია დებატები, ვინაიდან კითხვები, რომელსაც ის სვამს არ არის მარტივად საპასუხო.

5.1 მწვანე ფილოსოფია და დაჯგუფებები მწვანეთა მოძრაობაში

მწვანეები, როგორც კონსერვატორები⁶, სოციალისტები⁷, ანარქისტები⁸, ფემინისტები⁹ თუ სხვა პოლიტიკური იდეოლოგიის წარმომადგენლები, ვერ თანხმდებიან ყველა ძირითად იდეაზე.

ზოგადად, იოლია ჩამოვაყალიბოთ გარკვეული ჩარჩო პრინციპები რომლებსაც იზიარებენ მწვანეთა მიმდევრები, მათ შორის ბუნების პატივისცემა, ჰოლიზმი და ლიმიტები, თუმცა რასაკვირველია მწვანეთა მოძრაობა ძალიან მრავალფეროვანია და სხვადასხვა ტენდენციები თუ განსხვავებები ახასიათებს.

მწვანე პოლიტიკურ დაჯგუფებებში შეიძლება გამოვყოთ ეკონარქისტები, ეკოსოციალისტები, ეკოფემინისტები, ბიოცენტრისტები და სხვა ჯგუფები. გარდა ამისა, არსებობენ ჯგუფები ე.წ. მწვანე მწვანეები, რომლებიც ხედავენ მწვანე პოლიტიკას როგორც იდეოლოგიას და რომელთა თვალთახედვითაც „მწვანე პარტიები არიან არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არამედ წინ.“

თითქმის ყველა მწვანე გვარანძუნებს, რომ ჩვეულებრივი მემარცხენე - მემარჯვენედ დაყოფა არ შეეფერება მწვანე პოლიტიკას. თუ მემარცხენე-მემარჯვენედ დაყოფა ხდება იმის მიხედვით, როგორ უნდა მოხდეს შემოსავლების და რესურსების გადანაწილება, ეს არაფერს გვაძლევს იმის გასარკვევად თუ როგორი მიდგომები ახასიათებს ამა თუ იმ ჯგუფს ხელისუფლებისადმი. მემარცხენეებში, ბევრს სჯერა რესურსებისა და შემოსავლების გადანაწილების, საყოველთაო კეთილდღეობის, თუმცა ამავდროულად შესაძლებელია მხარს უჭერდეს ცენტრალიზებულ, ძლიერ სახელმწიფოს.

მემარცხენეებს თუ მემარჯვენეებს თითქმის არაფერი არ აქვთ სათქმელი ზრდის ლიმიტებზე, ჰოლიზმსა თუ ცხოველთა უფლებებზე. თუმცა ამავდროულად, უნდა გვახსოვდეს, რომ ის რომ მწვანეები არ არიან არც მარჯვნივ და არც მარცხნივ, ასევე გამარტივებული მიდგომაა საკითხისადმი.

ნათელია, რომ პოლიტიკურად მწვანეები ყოველთვის მარცხნივ არიან, ვინაიდან ქადაგებენ სოციალურ თანასწორობას, ებრძვიან კორპორაციათა ბატონობას, მხარს უჭერენ ანტიკაპიტალისტურ და მემარცხენე პოლიტიკებს. მართალია მემარცხენე-მემარჯვენედ დაყოფა არასაკმარისია მწვანე პოლიტიკის განსაზღვრებისთვის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ რომ რესურსების გადანაწილებას და კორპორაციების მიერ მათ ათვისებას ძალიან დიდი ზეგავლენა აქვს გარემოზე, შესაბამისად, მწვანეების მემარცხენეობის იგნორირება თავისთავად არასწორია.

⁶ კონსერვატიზმი-იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის მიზანია შეინარჩუნოს მდგრადი ტრადიციები და წინ აღუდგას რადიკალურ ცვლილებებს.

⁷ სოციალიზმი-პოლიტიკური მსოფლმხედველობა ან საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის სისტემა, რომელიც ეფუძნება წარმოების საშუალებებზე, განაწილებასა და გაცვლაზე სახელმწიფო ან კოლექტიურ საკუთრებას; მისი მიზანია სოციალური სამართლიანობის, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების განხორციელება.

⁸ ანარქიზმი-საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენს სახელმწიფოს მოსპობა და იძულებითი ძალაუფლების შეცვლა მოქალაქეთა ნებისმიერი ფორმის თავისუფალი და ნებაყოფლობითი ასოციაციით.

⁹ ფემინიზმი-ქალთა და მამაკაცთა უფლებების გათანაბრებისათვის წარმოებული ფართო პოლიტიკური მოძრაობის საერთო სახელწოდება.

ჩანართი 3. მწვანეთა გლობალური მოძრაობა.

მწვანეთა გლობალური მოძრაობა.

მწვანეთა პარტიები ძალიან აქტიურად თანამშრომლობენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საერთაშორისო თანამშრომლობა, სოლიდარობა და ერთობლივი მუშაობა, არის ის რასაც მწვანეთა პარტიები აქტიურად უპირისპირებენ გლობალიზაციის პროცესს.

მწვანეთა პირველი პლანეტარული შეხვედრა გაიმართა 1992 წელს რიო დე ჟანეიროში, გაეროს გარემოს და განვითარების კონფერენციის დროს, სადაც 28 ქვეყნის მწვანეთა პარტიების წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი და შეიქმნა გლობალური მწვანე ქსელი. 1996 წელს, 69 მწვანეთა პარტიის წარმომადგენელმა მოაწერა ხელი საფრანგეთის მიერ წყნარ ოკეანეში ბირთვული გამოცდების ჩატარების წინააღმდეგ, ხოლო უკვე 1997 წელს, გაკეთდა განცხადება კიოტოს ოქმთან დაკავშირებით.

მწვანეთა პარტიების პირველი გლობალური შეხვედრა მოხდა 2001 წელს კანბერაში (72 ქვეყნის/პარტიის 800 წარმომადგენელი გაერთიანდა). ამ შეხვედრაზე მიიღეს კანბერას მწვანეთა გლობალური წესდება მანიფესტი, რომელიც აერთიანებს ექვს ძირითად კონსტიტუციურ პრინციპს მწვანეთა პარტიებისთვის. ეს პრინციპებია:

- ეკოლოგიური სიბრძნე;
- სოციალური სამართლიანობა;
- მონაწილეობითი დემოკრატია;
- არა-ძალადობა;
- მდგრადობა;
- მრავალფეროვნების პატივისცემა (ბიოლოგიური, სოციალური, რელიგიური, კულტურული, ლანდშფაქტების და ა.შ.).

ევროპის მწვანეთა პარტია დაარსდა 2004 წელს ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის მეოთხე კონგრესზე და მასში გაწევრიანდა ევროპის 34 პარტია. ეს იყო პირველი პოლიტიკური ძალა, რომელიც გაერთიანდა ევროპულ დონეზე. ეს იყო აბსოლუტურად ლოგიკური გაგრძელება, ევროპის მწვანეთა პარტიებს შორის არსებული თანამშრომლობისა 1979-1993 წლებში, და შემდგომში ფედერაციისა.

1989 წლიდან მწვანეები არიან ევროპის პარლამენტში (26 ადგილი), ხოლო 2004 წლიდან ფაქტობრივად წარმომადგენელ მესამე ძალას ევროკავშირის პარლამენტში.

5.2 მწვანე პოლიტიკის სხვადასხვა მიმდინარეობები

სოციალური ეკოლოგია

სოციალური ეკოლოგია ეფუძნება რამდენიმე წინაპირობას:

1. ადამიანები არიან ბუნების ნაწილი, მაგრამ გააჩნიათ უნიკალური სოციალური ცნობიერება;
2. არსებული გარემოსდაცვითი კრიზისი არის ჩვენს საზოგადოებაში ძალაუფლების იერარქიული გადანაწილების შედეგი;
3. ძალაუფლების ეს სტრუქტურები ისევე ერჩის კაცობრიობას, როგორც გარემოს;
4. საზოგადოების განვითარება ეკოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით შეცვლის ჩვენ კავშირს ბუნებასთან. ეს ეკოლოგიური პრინციპები არის ევალიტარიანური და ემყარება ურთიერთდახმარების, მოვლისა და კომუნის ღირებულებებზე. ტრანსფორმაციის შეიძლება მიღწეულ იქნას რადიკალური კოლექტიური ქმედებითა და კოოპერაციული სოციალური მოძრაობებით.

ეკოსოციალიზმი

ტერმინი ეკოსოციალიზმი ასევე მოიცავს ძალიან მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი იდეების კრებულს, რომელთა დეტალური განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს. ზოგადად, თავისი არსით ეკოსოციალისტების აზრით მწვანე პოლიტიკას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ის მემარცხენე ძალას წარმოადგენს. მათ სჯერათ რომ კაპიტალიზმი, რომელიც მიმართულია პროდუქციის და მოხმარების ზრდისკენ, არის ეკოლოგიური დესტრუქციის ძირითადი წამმართველი ძალა. ეკოსოციალისტური საერთაშორისო ქსელი აქტიურია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში. ეკოსოციალისტურ პარტიას წარმოადგენს ასევე დიდი ბრიტანეთის მწვანეთა მემარცხენე პარტია.

ეკოფემინიზმი

ძალიან ბევრი მწვანე ხაზს უსვამს რომ მწვანე პოლიტიკა თავისთავად ფემინისტურია, ასევე არის საკმაოდ დიდი გადაფარვები ეკოფემინიზმს, ეკონარქიზმსა და ეკოსოციალიზმს შორის. ეკოფემინისტთა შორის მოიაზრებიან მწვანეთა პარტიის ყოფილი ლიდერი პეტრა კელი და ინდოელი მეცნიერი ვანდანა შივა. ეკოფემინისტები თვლიან, რომ ყველაზე დიდი მამაკაცური საფრთხეები, აგრესია და დაუნდობელი კონკურენციაში, წინაპირობაა კაპიტალიზმის გაფართოებისა და ომების გაჩაღების, სამოცდაათიანი წლების ანტიბირთვულმა კამპანიებმა და 80-ანი წლების სამშვიდობო მოძრაობებმა საკმაოდ წინ წამოწია ფემინისტური დღის წესრიგი. 80 იან წლებში დაარსებულმა მშვიდობის ბანაკმა „მხოლოდ ქალები“, ბერკშირში (დიდი ბრიტანეთი) დიდი როლი ითამაშა რაკეტების განიარაღების პროცესში და იქცა სამშვიდობო მოძრაობების თაღისმანად მთელს მსოფლიოში.

ეკოფემინისტების განცხადებით, დიასახლისობა, რომელსაც ტრადიციულად ითვისებენ ქალები და რაც თავისთავში მოიცავს ბავშვებზე, მოხუცებზე და ავადმყოფებზე ზრუნვას, არ არის დაფასებული. მწვანეთა პარტიები აქტიურად ემხრობიან ფემინისტური პოლიტიკის გატარებას გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრისა და ქალის სტატუსის ასამაღლებლად.

ეკოფაშიზმი

ეკოსოციალიზმი, ეკონარქიზმი, ეკოფემინიზმი, არ წარმოადგენს მწვანე პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, თუმცა აქ ნაკლებად გვხვდება აცდენები ძირითად პრინციპებთან. ეკოფაშიზმი, ზემოთჩამოთვლილი მიმდინარეობებისგან განსხვავებით, ძალიან ძნელია განვიხილოთ მწვანე პოლიტიკის პრიზმაში.

კრიტიკოსთა ნაწილის აზრით, თვით ტერმინიც კი „ეკოფაშიზმი“, თავისთავად ოქსიმორონია, არასწორია, დაახლოებით ისეთივე როგორც ცხელი ყინული. ეკოფაშიზმი ხშირად გამოიყენება როგორც შეურაცხყოფელი ტერმინი, განსაკუთრებით მათ მიმართ, ვინც თავს პოლიტიკური სპექტრის მარჯვენა მხარეს განიხილავს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მწვანეები, ამ სიტყვის ფართო გაგებით ადვოკატირებენ არა-ძალადობას, თანასწორობას და მონაწილეობით დემოკრატიას. შესაბამისად, ძალიან ძნელია, რომ ფაშიზმის რომელიმე დებულების ასპექტში ჩავსვათ. შესაბამისად, იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც თავის თავს უწოდებს ეკოფაშისტურს საკმაოდ მცირეა. მაგ, ასეთია ლიბერტარიანული ეროვნულ-სოციალისტური მწვანეთა პარტია აშშ-ში. მათი სიმბოლოა ნაცისტური სვასტიკა მწვანე ფონზე. თუმცა ეს ორგანიზაცია, კრიტიკოსთა განმარტებით უფრო პაროდიაა ვიდრე ნამდვილი პარტია. ზოგიერთი ავტორი ეკოფაშიზმს აკავშირებს იმ გარემოსდამცველებთან, რომლებიც თვლიან რომ ემიგრაცია იწვევს გარემოსდაცვით დეგრადაციას .

გარდა ამისა ხშირად ჰიპერბოლარულად ამ ტერმინის უყენებენ ისეთ გარემოსდაცვით ჯგუფებს როგორცაა გრინფისი ან სიერა კლუბი.

6. მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის ძირითადი ცნებები და კონცეფციები

მოსახლეობის ექსპონენციალური ზრდის გამო, 2008 წელს მოსახლეობის რაოდენობა დედამიწაზე 6.7 მილიარდს შეადგენდა. ეს მოსახლეობა მოიხმარს დიდი რაოდენობით საკვებს, წყალს, ნედლეულსა და ენერჯიას და ამ პროცესში წარმოქმნის დიდი რაოდენობით ნარჩენებსა და დამაბინძურებლებს. თუ სიკვდილიანობა მკვეთრად არ მოიმატებს, 2050 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობამ შესაძლოა 9.3 მილიარდს და საუკუნის დასასრულს 10 მილიარდსაც კი მიაღწიოს.

არავინ იცის ზუსტად, რამდენი ადამიანის „გამოკვება“ შეუძლია დედამიწას და რესურსების მოხმარების რა მასშტაბის ფონზე, ისე, რომ არ დეგრადირდეს დედამიწის უნარი, უზრუნველყოს ადამიანთა და სხვა ცოცხალ ორგანიზმთა სიცოცხლისუნარიანობა და ეკონომიკის ფუნქციონირება. თუმცა, უკვე არსებობს რამოდენიმე გამაფრთხილებელი ნიშანი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის ექსპონენციალურმა ზრდამ და რესურსების მოხმარებამ, შესაძლოა, ამ საუკუნის დასასრულს, კაცობრიობისთვის ცნობილი სხვადასხვა ტიპის მცენარეებისა თუ ცხოველების 1/3-1/2-ის გარდაუვალი გადაშენება გამოიწვიოს.

არსებობს სულ უფრო მზარდი მტკიცებულებები იმისა, რომ ამ საუკუნის განმავლობაში დედამიწაზე კლიმატი შეიცვლება ექსპონენციალური ზრდისა და ადამიანის ისეთი საქმიანობის გამო, როგორცაა წიაღისეული საწვავის (ნახშირბადმცველი საწვავი როგორცაა: ქვანახშირი, ბუნებრივი გაზი და ბენზინი) წვა და ტყეების ჭრა. ამან შესაძლოა, ზოგიერთი ადგილი გამოუსადეგი გახადოს სოფლის მეურნეობისთვის, შეცვალოს წყალზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა, გამოიწვიოს დედამიწის უნიკალური სასიცოცხლო ფორმების განადგურება და მსოფლიოს სხვადასხვა ადგილში ეკონომიკისათვის ზიანის მიყენება.

6.1 ძირითადი ცნებები

გარემო არის ყველაფერი ის, რაც ჩვენს გარშემოა. ის მოიცავს ცოცხალ და არაცოცხალ ობიექტებს, რომელთანაც ჩვენ შეხება გვაქვს. გარემო ასევე მოიცავს ამ ობიექტებს შორის არსებულ რთულ ურთიერთკავშირებს - იმას, რაც ჩვენ ყველას ერთმანეთთან და მსოფლიოსთან გვაკავშირებს.

მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების მიუხედავად, ჩვენ მთლიანად გარემოზე ვართ დამოკიდებული, რადგანაც გვჭირდება ჰაერი, წყლი, საკვები, თავშესაფარი, ენერჯია რომ ვიცხოვროთ და ვიარსებოთ. მაშასადამე, ჩვენ ბუნების ნაწილი ვართ; ჩვენ არ ვცხოვრობთ მისგან განყენებულად.

ყველა ორგანიზმი გარკვეული **სახეობის** ნაწილია. სახეობა არის გამორჩეული თვისებების მქონე ორგანიზმების ჯგუფი, გამრავლების უნარის მქონე ინდივიდები, რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებლად გამრავლდნენ გარემოში და იძლევიან ნაყოფიერ შთამომავლობას. მაგალითად, ყველა ადამიანი სახეობის ნაწილია, რომელსაც ბიოლოგები *ჰომო საპიენსის* უწოდებენ.

ეკოსისტემა მოიცავს სახეობათა ერთობლიობას, რომლებიც რომელიმე განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ასევე ამ სახეობათა შორის ურთიერთკავშირს და მათთან დაკავშირებულ ფიზიკურ თუ ქიმიურ გარემოს.

არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში გარემოს და ეკოლოგიის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემოსდამცველობა. **გარემოს მეცნიერება** ინტერდისციპლინური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ადამიანთა ურთიერთობას ცოცხალ და არაცოცხალ გარემოსთან. ის ახდენს ინფორმაციის და იდეების ინტეგრირებას ისეთი სხვა მეცნიერებებიდან, როგორცაა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (მაგალითად, ბიოლოგია, ქიმია, გეოლოგია), სოციალური მეცნიერებები (მაგალითად, გეოგრაფია, ეკონომიკა, პოლიტიკური მეცნიერება, დემოგრაფია) და ჰუმანიტარული მეცნიერებები (მაგალითად, ფილოსოფია, ეთიკა). **გარემოს მეცნიერების** მიზანია, შეისწავლოს, როგორ „მუშაობს“ ბუნება, რა გავლენას ახდენს ჩვენზე გარემო და პირიქით, როგორ ვახდენთ ჩვენ ზემოქმედებას გარემოზე, როგორ გადავჭრათ გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები და როგორ ვიცხოვროთ მდგრადად. გარემოს მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია **ეკოლოგია** - ბიოლოგიური მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ორგანიზმებს ან ცოცხალ ობიექტებს შორის, ასევე მათსა და მათ გარემომცველ გარემოს შორის ურთიერთკავშირებს. რაც შეეხება **გარემოს დაცვას**, ეს არის სოციალური მოძრაობა რომელიც იღვწის დედამიწის სასიცოცხლო სისტემების დაცვისა და კაცობრიობისთვის მისი შენარჩუნებისთვის. პრაქტიკაში „გარემოს დაცვა“ უფრო მეტად უკავშირდება პოლიტიკის დონეზე საქმიანობას და ეთიკურ საკითხებს და ნაკლებად, მეცნიერებას.

მდგრადობა არის დედამიწაზე არსებული ბუნებრივი სისტემების, ადამიანთა კულტურული სისტემებისა და ეკონომიკის უნარი გადარჩეს და ადაპტირდეს გარემოს მუდმივად ცვალებად პირობებთან.

მდგრადობის მთავარი კომპონენტი **ბუნებრივი კაპიტალი** (ბუნებრივი სიმდიდრე) - ბუნებრივი რესურსები და ბუნების სერვისები, რომლებიც ჩვენ და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს გვაცოცხლებს, შესაძლებელს ხდის ეკონომიკის განვითარებას. **ბუნებრივი რესურსები**, ბუნებრივი ნივთიერებები და ენერჯია, რომელიც ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი ან სასარგებლოა. ეს რესურსები ხშირად კლასიფიცირებულია განახლებად (როგორცაა - ჰაერი, წყალი, ნიადაგი, მცენარეები და ქარი) და არაგანახლებად (როგორცაა - სპილენძი, ნავთობი და ქვანახშირი) რესურსებად. **ბუნების სერვისები** - ეს არის ბუნების ფუნქციები (მაგალითად, ჰაერისა და წყლის განმწმენდის ფუნქცია), რომლებიც შესაძლებელს ხდის ადამიანის დედამიწაზე ცხოვრებას და ეკონომიკის არსებობას. ეკოსისტემები, ჩვენ, ამ სერვისებით, აბსოლუტურად უსასყიდლოდ უზრუნველგვყოფენ.

კვებითი უკაჭვი ერთ-ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისია, რომელიც გულისხმობს სიცოცხლისათვის აუცილებელი ქიმიური ნივთიერებების გადაადგილებას გარემოდან (უმეტესად ნიადაგიდან და წყლიდან) ორგანიზმებში და შემდეგ, უკან გარემოში დაბრუნებას. მაგალითად, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა აწარმოებს ნუტრიენტებს (საკვებ ნივთიერებებს) მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმებისათვის, რომლებიც ხმელეთზე ცხოვრობენ. როცა ისინი კვდებიან და იხრნებიან, ისინი ამდიდრებენ ნიადაგს ამავე საკვები ნივთიერებებით. ამ სერვისების გარეშე დედამიწაზე ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა.

ბუნებრივი კაპიტალის არსებობას **მზის კაპიტალი** - მზიდან მიღებული ენერჯია - განაპირობებს. მის გარეშე მთელი ბუნებრივი კაპიტალი განადგურდებოდა. მზის ენერჯია ათბობს პლანეტას და მისი დახმარებით მიმდინარეობს ფოტოსინთეზი - ქიმიური პროცესი, რომლის დროსაც მცენარე აწარმოებს საკვებს თავისთვის, ჩვენთვის და ბევრი სხვა ცოცხალი ორგანიზმისათვის. მზიდან პირდაპირ მიღებული ენერჯია ასევე წარმოქმნის განახლებადი ენერჯის ისეთ ფორმებს როგორცაა: ქარი, წყალი, მცენარეებისა და მათი ნარჩენებისგან მიღებული ბიოსაწვავი. ამდენად, ჩვენი ცხოვრება და ეკონომიკა დამოკიდებულია მზის ენერჯიაზე (მზის კაპიტალი), დედამიწიდან მიღებულ ბუნებრივ რესურსებსა და ბუნებრივ სერვისებზე (ბუნებრივი კაპიტალი).

ადამიანის არაერთმა საქმიანობამ, შესაძლოა, ბუნებრივი კაპიტალის დეგრადაცია გამოიწვიოს. ეს ხდება მაშინ, როდესაც განახლებად რესურსებს იმაზე სწრაფად ვითვისებთ, ვიდრე მას შეუძლია განახლდეს. მაგალითად, მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში, ჩვენ ტყეს ვჩეხავთ უფრო სწრაფად ვიდრე ბუნებას შეუძლია მისი განახლება. აგრეთვე, ჩვენ ვიჭერთ ოკეანის თევზების არაერთ სახეობას იმაზე უფრო ღილი სიხშირით, ვიდრე მათ შეუძლიათ გამრავლება.

გარემოს შემსწავლელი მეცნიერები ცდილობენ, მოძებნონ გზები ბუნებრივი კაპიტალის დეგრადაციის პრობლემის გადასაჭრელად. თუმცა, მათი კვლევა გულისხმობს მხოლოდ მეცნიერული კუთხით პრობლემის მოგვარებას, შექმნილი პრობლემური ვითარებიდან პოლიტიკური გამოსავალი კი, პოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული. მაგალითად, მეცნიერების მიერ ნაპოვნი გამოსავალი შესაძლებელია იყოს ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული, ბუნებრივი, ხანდაზმული ტყეების გაჩეხვის აკრძალვა; ამ მეცნიერული გამოსავლის პრაქტიკული განხორციელება კი, შესაძლებელია პარლამენტისა და მთავრობის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღების გზით.

გამოსავლის ძებნის პროცესში, ხშირად, კონფლიქტური ვითარება იქმნება. მაგალითად, მაშინ როდესაც მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად აუცილებელია ტყის ჭრის აკრძალვა, ხე-ტყის მომპოვებელ კომპანიას, შესაძლოა სხვა გეგმები ჰქონდეს; კომპანია შესაძლოა ტყის ჭრის აკრძალვის წინააღმდეგი იყოს. ასეთი კონფლიქტური ვითარებისას საჭირო ხდება კომპრომისული გადაწყვეტის გამონახვა. განხილულ შემთხვევაში, ხე-ტყის მომპოვებელ კომპანიას შეიძლება შესთავაზონ, რომ მან მოაშენოს შემდგომში მოსაჭრელი ტყე ისეთ ადგილებში, სადაც ტყე ადრე მოიჭრა ან სადაც ტყე დეგრადირებულია; სანაცვლოდ კი, შენარჩუნდეს ბუნებრივი ტყე.

მდგრადი განვითარება - საზოგადოება ვითარდება მდგრადად, როდესაც ის დღევანდელი თაობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს ისე, რომ საფრთხე არ ექმნება მომავალი თაობების საჭიროებებს.

ეკონომიკური ზრდა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების ზრდას. ეკონომიკური ზრდა, როგორც წესი, იზომება მთლიანი შიდა პროდუქტით (მშპ) და ამ მაჩვენებლის პროცენტული ცვლილებებით. ეკონომიკური ზრდა ერთ სულ მოსახლეზე კი იზომება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ით (მშპ იყოფა მოსახლეობის რაოდენობაზე შუა წელიწადში). მაშინ, როდესაც ეკონომიკური ზრდა ნიშნავს მოსახლეობის პროდუქტითა და მომსახურებით მომარაგებას, **ეკონომიკურ განვითარებაზე** საუბრისას, გულისხმობენ ეკონომიკური ზრდის გამოყენებას ცხოვრების სტანდარტების გასაუმჯობესებლად. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ძირითადად, ინდუსტრიალიზაციის დონისა და მშპ-ს ოდენობაზე დაყრდნობით, ასხვავებს **განვითარებულ ქვეყნებს** (ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, აშშ, კანადა, იაპონია და სხვ. - მაღალინდუსტრიული ქვეყნები მაღალი მშპ-ით) და **განვითარებად ქვეყნებს** (ძირითადად, აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში), რომელთა შორის კიდევ გამოარჩევენ **საშუალოშემოსავლიან, შედარებით განვითარებულ ქვეყნებს** (როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, თურქეთი, ტაილანდი, მექსიკა) და **დაბალშემოსავლიან, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს** (სადაც მშპ განუხრელად იკლებს).

ზოგიერთი ეკონომისტი მოუწოდებს მსოფლიოს მუდმივი ტრადიციული ეკონომიკური ზრდისკენ, რომელმაც

შესაძლებელი გახდა საკვებით მომარაგებისა და ადამინთა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, ხელი შეწყობა არაერთი სასარგებლო პროდუქციისა და მომსახურების მასობრივ წარმოებას. ეს ეკონომისტები ასეთ ზრდას, სიღარიბის დაძლევის საშუალებად განიხილავენ.

ეკონომისტების მეორე ნაწილი კი, პრიორიტეტულად თვლის **გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მდგრად ეკონომიკურ განვითარებას**. ეს გულისხმობს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის გამოყენებით, ეკონომიკური ზრდის იმ გარემოსდამაზიანებელი და არამდგრადი ფორმების შესუსტებას, რომლებიც იწვევენ ბუნებრივი კაპიტალის დეგრადირებას და პირიქით, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები ისეთი მდგრადი ფორმების ნახალებისას, რომლებიც ხელს უწყობენ ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებას.

ადამიანთა თვალთახედვით, **რესურსი** ყველაფერი ისაა, რისი მიღებაც შესაძლებელია გარემოდან, ჩვენი საჭიროებებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად. **კონსერვაცია** კი, გულისხმობს ბუნებრივი რესურსების მართვას ისე, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი რესურსების უყიარათო მოხმარება და ამავდროულად, ახლანდელი და მომავალი თაობები თანაბრად იქნენ უზრუნველყოფილი ბუნებრივი რესურსებით.

ზოგიერთი რესურსი, როგორცაა, მაგალითად, მზის ენერჯია, სუფთა ჰაერი, ქარი, სუფთა ზედაპირული წყალი, ნაყოფიერი ნიადაგი და ველური საკვები მცენარეები, ჩვენთვის პირდაპირ ხელმისაწვდომია. სხვა რესურსები, როგორცაა, მაგალითად, ნავთობი, რკინა, მინისქვეშა წყლები და კულტივირებული მცენარეები, ჩვენთვის პირდაპირ ხელმისაწვდომი არაა. ისინი ადამიანთათვის სასარგებლო ხდებიან გარკვეული ძალისხმევის განვსისა და ტექნოლოგიური გამოგონებების შედეგად. მაგალითად, ნავთობი ვაცობრიობისთვის მისტიური თხევადი მასა იყო მანამდე, სანამ ადამიანებმა არ ისწავლეს მისი დაძიება, მოპოვება და სანვავად გარდაქმნა.

იმის გამო, რომ მზის ენერჯიის განახლება მუდმივად მიმდინარეობს და სავარაუდოდ ექვსი მილიარდი წელი ის კიდევ გააგრძელებს თავის ცხოვრების ციკლს, მზის ენერჯია ამოუწურვად, **მუდმივ რესურსს** უწოდებენ.

განახლებად რესურსს უწოდებენ ისეთ რესურსს, რომელსაც მეტნაკლებად სწრაფად (რამოდენიმე საათიდან ასეულობით წლამდე) შეუძლია ბუნებრივად განახლება, იმ პირობით, რომ ის არ გამოიყენება იმაზე სწრაფად, ვიდრე ის განახლდება. მაგალითად ასეთ რესურსს მიეკუთვნება: ტყე, სათიბ-საძოვრები, თევზის რესურსები, სასმელი წყალი, ჰაერი და ნიადაგი.

რესურსის **მდგრადი პროდუქტიულობა** ეწოდება რესურსის გამოყენების იმ უმაღლეს დონეს, რომელამდეც შესაძლებელია განახლებადი რესურსის უსასრულოდ გამოყენება, თანაც ისე, რომ არ შემცირდეს მისი ადამიანთათვის ხელმისაწვდომობა. პროცესს, როდესაც ადამიანები იმაზე სწრაფად ითვისებენ განახლებად ბუნებრივ რესურსებს, ვიდრე მათ შეუძლიათ განახლება და როდესაც მათი ხელმისაწვდომი ოდენობა იკლებს, **გარემოს დეგრადაცია** ეწოდება.

6.2 ძირითადი კონცეფციები

ადამიანები ხშირად გადაჭარბებულად იყენებენ საერთო განახლებად რესურსებს: საერთო რესურსების ტრაგედია

რაიმე ქონებაზე ან რესურსზე შეიძლება არსებობდეს სამი სახის უფლება. პირველია **კერძო საკუთრება** - როდესაც ცალკეულ პირებს ან კომპანიებს საკუთრებაში აქვთ მიწა, მინერალები ან სხვა რესურსები. მეორეა, **საერთო საკუთრება** - როდესაც ცალკეული პირებისაგან შემდგარი დიდ ჯგუფები ფლობენ გარკვეულ რესურსებს. მაგალითად, აშშ-ის მიწების დაახლოებით ერთ-მესამედს ერთობლივად ფლობს აშშ-ის ყველა მოქალაქე, ხოლო მართავს მთავრობა. საერთო საკუთრების კიდევ ერთი მაგალითია სოფლის საკუთრებაში არსებული საძოვრები; საძოვარს შეიძლება ფლობდეს ერთობლივად სოფლის ყველა მაცხოვრებელი და თითოეულ მათგანს შეუძლია გამოიყენოს ის სხვადასხვა საქმიანობისათვის, მაგალითად, საქონლის ან ცხვრის საძოვრად.

რესურსებზე საკუთრების მესამე კატეგორიაა **თავისუფლად ხელმისაწვდომი განახლებადი რესურსები**. ასეთ რესურსს არავინ ფლობს და ყველას შეუძლია მისი გამოყენება უფასოდ ან მცირე საფასურის სანაცვლოდ. ასეთი რესურსების მაგალითია: სუფთა ჰაერი, მინისქვეშა წყლები, ოკეანე და იქ გავრცელებული თევზები.

საერთო საკუთრებაში მყოფი და თავისუფლად ხელმისაწვდომი განახლებადი რესურსების დიდი ნაწილი დეგრადირებულია. 1968 წელს, ბიოლოგმა გარეტ ჰარდინმა (1915-2003) ასეთ დეგრადაციას **საერთო რესურსების ტრაგედია** უწოდა. ეს იმიტომ ხდება, რომ საერთო საკუთრებაში მყოფი ან თავისუფლად ხელმისაწვდომი განახლებადი რესურსების ყველა მომხმარებელი თავის ქმედებას შემდეგნაირად ამართლებს:

„მე თუ არ გამოვიყენებ ამ რესურსს, სხვა გამოვიყენებს. მე იმდენად ცოტა რესურსს ვიღებ ან იმდენად მცირედ ვაბინძურებ, რომ ეს საერთო მდგომარეობას არ ცვლის; ეს ხომ მაინც განახლებადი რესურსია“.

როდესაც რესურსს მცირე ოდენობის მომხმარებლები ჰყავს, ეს ლოგიკა მეტნაკლებად მუშაობს; მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ბევრი ადამიანი ცდილობს საერთო საკუთრებაში არსებული რესურსის გამოყენებას, კუმულაციური ზემოქმედება იზრდება და რესურსი იწურება ან საერთოდ ნადგურდება. ასეთ შემთხვევაში, ვერაზინ ვერ იღებს სარგებელს. რესურსების ამგვარად დეგრადაცია ხდება მაშინ, როდესაც კმაყოფილება სულ უფრო მზარდი ოდენობის ადამიანთა მოკლევადიანი საჭიროებები და სურვილები. ეს კი, საფრთხეში აგდებს კაცობრიობის შესაძლებლობას, უზრუნველყოს თავისუფლად ხელმისაწვდომი ისეთი რესურსების გრძელვადიანი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მდგრადობა, როგორცაა, მაგალითად, სუფთა ჰაერი, ოკეანეში გავრცელებული თევზები.

შექმნილი ვითარებიდან ერთ-ერთი გამოსავალია საერთო სარგებლობაში არსებული რესურსების შეზღუდული ოდენობით გამოყენება ან რესურსებზე ხელმისაწვდომობის რეგულირება, ან ორივე მექანიზმის ერთდროულად გამოყენება. მაგალითად, ყველაზე გავრცელებული მიდგომაა, როდესაც მთავრობები იღებენ სამართლებრივ ნორმებს იმისათვის, რომ შეიზღუდოს სანაპირო წყლებში ოკეანის თევზის სხვადასხვა სახეობის რენვა. სხვა მიდგომაა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების დადება თავისუფლად ხელმისაწვდომ რესურსზე ხელმისაწვდომობის დასარეგულირებლად, მაგალითად, ღია ოკეანეში გავრცელებულ თევზებზე.

გემოაღნიშნულის გარდა, გამოსავლად განიხილება თავისუფლად ხელმისაწვდომ რესურსებზე კერძო საკუთრების დაშვება. ამგვარი მიდგომას შემდეგნაირად ასახულებენ: თუ ადამიანი ფლობს რაიმეს, მაშინ ის უფრო მეტად ცდილობს, დაიცვას საკუთარი ინვესტიცია. ეს თეორიულად კარგად ჟღერს, მაგრამ ასეთი მიდგომის გამოყენება თავისუფლად ხელმისაწვდომი ისეთი რესურსების მიმართ, როგორცაა ატმოსფერული ჰაერი, ოკეანე ან ცხოველთა ველური სახეობები, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამ რესურსების დაყოფა (დანაწევრება) და კერძო საკუთრებაში გადაცემა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ზოგიერთი რესურსი არაგანახლებადია

არაგანახლებადი რესურსები დედამიწის ქერქში არსებობენ გარკვეული დადგენილი რაოდენობით. მილიონობით ან მილიარდობით წლის შემდეგ, გეოლოგიური პროცესების შედეგად, შესაძლებელია ამ რესურსების განახლება; მაგრამ, უფრო მოკლე პერიოდში, ადამიანის დროითი საზომით თუ ვიმსჯელებთ, ასობით ან ათასობით წლის განმავლობაში, ეს რესურსები შეიძლება უფრო სწრაფად გამოილიოს, ვიდრე ისინი მოასწრებენ ხელახლა ფორმირებას. ასეთ ამონურვად, არაგანახლებად რესურსებს მიეკუთვნება ენერგო-რესურსები (როგორცაა, მაგალითად, ქვანახშირი და ნავთობი), ლითონური მინერალური რესურსები (როგორცაა, მაგალითად, სპილენძი და ალუმინი) და არალითონური მინერალური რესურსები (როგორცაა, მაგალითად, მარილი და ქვიშა).

რადგან ასეთი რესურსები ამონურვადია, კაცობრიობა მათ შემცველებს ეძებს. მაგალითად, ამ საუკუნის განმავლობაში, განახლებადმა ენერგო-წყაროებმა (როგორცაა ქარი, მზე, წყალი და დედამიწის სითბური ენერჯია) შეიძლება ჩაანაცვლოს ენერჯიის ისეთი არაგანახლებადი წყაროები, როგორცაა ნავთობი და ქვანახშირი. აგრეთვე, სხვადასხვა სახის პლასტმასით და ნარევი მასალებით, შესაძლებელია გარკვეული სახის ლითონების ჩანაცვლება; თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ხშირად, უბრალოდ არ არსებობს მისაღები და ფინანსურად ხელმისაწვდომი ალტერნატივა.

ზოგიერთი არაგანახლებადი რესურსი, როგორცაა სპილენძი და ალუმინი შესაძლებელია ხელმეორედ იქნეს გამოყენებული ან გადამუშავებული, რათა მოთხოვნა ამ რესურსზე არ გაიზარდოს. **ხელმეორედ გამოყენება** ნიშნავს რესურსის ერთი და იგივე ფორმით მრავალჯერ გამოყენებას. მაგალითად, მინის ბოთლი შესაძლოა შეგროვდეს, გაირეცხოს და ხელახლა იქნეს მრავალჯერ გამოყენებული. **გადამუშავება** გულისხმობს ნარჩენი მასალების შეგროვებას და მათ გადამუშავებას ახალი მასალის მისაღებად. მაგალითად, შესაძლებელია ალუმინის ქილების დაქუცმაცება, გადადნობა და მისგან ახალი ალუმინის ქილების ან სხვა სახის ნივთების დამზადება; მაგრამ ისეთი ენერგო-რესურსების გადამუშავება, როგორცაა ნავთობი და ქვანახშირი, შეუძლებელია. მათი დანვით მიღებული ენერჯიის გამოყენება მხოლოდ ერთჯერადაა შესაძლებელი.

არაგანახლებადი ლითონური რესურსების გადამუშავება მოითხოვს ბევრად ნაკლებ ენერჯიას, წყალს და სხვა რესურსებს, ასევე ნაკლებად აბინძურებს გარემოს და ნაკლებად იწვევს გარემოს დეგრადაციას, ვიდრე ამავე ლითონური რესურსების ხელახალი მოპოვება. ასეთი რესურსების ხელახალი გამოყენება კი, უფრო ნაკლებად იწვევს გარემოს დეგრადაციასა და დაბინძურებას, ვიდრე მათი გადამუშავება.

კაცობრიობის ეკოლოგიური ნაკვალევი იზრდება

განვითარებად ქვეყნებში ადამიანები იბრძვიან გადარჩენისათვის. მათ მიერ რესურსების ინდივიდუალური გამოყენების და აქედან გამომდინარე, გარემოზე ზეგავლენის ხარისხი დაბალია, ვინაიდან ისინი იკმაყოფილებენ მხოლოდ ძირითად საჭიროებებს. შესადარებლად, უფრო მდიდარ ქვეყნებში, უამრავი ადამიანი მოიხმარს იმაზე მეტ რესურსს, ვიდრე ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სჭირდება.

ადამიანების რესურსებით უზრუნველყოფა და ასევე, რესურსების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისა და დამაბინძურებლების გარემოში მოხვედრა, გარემოზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს. ამას შეიძლება ვუწოდოთ **ეკოლოგიური ნაკვალევი** - ეს არის ბიოლოგიურად პროდუქტიული მიწის და წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანების რესურსზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ამ რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული ნარჩენებისა და დაბინძურების შთანთქმისა და გარდაქმნისთვის. **ერთ სულ მოსახლეზე ეკოლოგიური ნაკვალევი** არის ერთი ადამიანის საშუალო ეკოლოგიური ნაკვალევი კონკრეტულ ქვეყანაში ან კონკრეტულ ტერიტორიაზე.

თუკი ქვეყნის ან მსოფლიოს ეკოლოგიური ნაკვალევი აღემატება გარემოს ბიოლოგიურ შესაძლებლობას, განაახლოს რესურსი და შეითვისოს ნარჩენები და დაბინძურება, ითვლება, რომ ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს **ეკოლოგიურ დეფიციტს**. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა (World Wildlife Fund, WWF) და გლობალური ნაკვალევის ქსელმა (Global Footprint Network) კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ 2003 წელს გლობალურმა ეკოლოგიურმა ნაკვალევმა დედამიწის ბიოლოგიურ შესაძლებლობას 25 პროცენტით გადააჭარბა. ეს მაჩვენებელი დაახლოებით 88 პროცენტს უახლოვდებოდა მსოფლიოს ყველაზე მაღალმემოსავლიან ქვეყნებში, მათ შორის, ქვეყნის ეკოლოგიური ნაკვალევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აშშ-ში დაფიქსირდა (ერთ სულ მოსახლეზე ეკოლოგიური ნაკვალევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დაფიქსირდა). გლობალური ნაკვალევის ქსელის შეფასებით, თუკი განახლებადი რესურსების გამოყენების ექსპონენციალური ზრდა კვლავ გაგრძელდება, 2050 წლისათვის, კაცობრიობა შეეცდება გამოიყენოს ორჯერ უფრო მეტი განახლებადი რესურსი, ვიდრე პლანეტას შეუძლია მისცეს მას. ეკოლოგიური ნაკვალევის კონცეფციის ავტორების მტკიცებით, თუ დანარჩენი მსოფლიო

კულტურულმა ცვლილებებმა გაზარდა კაცობრიობის ეკოლოგიური ნაკვალევი

კულტურამ - საზოგადოების ცოდნამ, რწმენამ, ტექნოლოგიებმა და პრაქტიკამ, ასევე კულტურულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანა გავლენა იქონიეს დედამიწაზე.

კვლევები ადასტურებენ, რომ ადამიანის დღევანდელი სახეობა, გონიერი ადამიანი (*Homo sapiens sapiens*) დედამიწაზე 90.000 - 195.000 წელია დაბიჭვებს. 12.000 წლის წინ ადამიანები იყვნენ მონადირე-შემგროვებლები, ისინი მოიპოვებდნენ საკვებს ნადირობით ან მცენარეების შეგროვებით. ისინი პატარა ჯგუფებად ცხოვრობდნენ და გადაადგილდებოდნენ, რათა სიცოცხლის გადასარჩენად მოეპოვებინათ საკვები.

მას შემდეგ სამი მნიშვნელოვანი კულტურული ცვლილება მოხდა. პირველი *სასოფლო-სამეურნეო რევოლუცია* იყო, რომელიც 10.000 -12.000 წლის წინ დაიწყო, როდესაც ადამიანმა საკვების, ტანსაცმლისა და სხვადასხვა სახის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ისწავლა მცენარეების მოყვანა და ცხოველების მოშენება. მეორე *სამრეწველო-სამედიცინო რევოლუცია* იყო, რომელიც 275 წლის წინ დაიწყო, როდესაც ადამიანებმა პროდუქციის ფართომასშტაბიანი წარმოებისთვის მანქანები გამოიგონეს. ამ ეტაპზე ადამიანებმა ასევე ისწავლეს წიაღისეული საწვავიდან (ნავთობი და ქვანახშირი) ენერჯის მიღება და დიდი რაოდენობით საკვები პროდუქტების ეფექტური წარმოება. ბოლო, *საინფორმაციო-გლობალიზაციის რევოლუცია* 50 წლის წინ დაიწყო, ამ დროს დაიწყო კაცობრიობამ ტექნოლოგიების განვითარება ინფორმაციასა და რესურსებზე სწრაფი წვდომის უზრუნველსაყოფად გლობალური მასშტაბით.

თითოეულმა ზემოთ ხსენებულმა კულტურულმა ცვლილებამ კაცობრიობას მისცა უფრო მეტი ენერჯია და ახალი ტექნოლოგიები იმისათვის, რომ უფრო მეტად შეეცვალოთ და ვაკონტროლოთ პლანეტა ადამიანთა ძირითადი მოთხოვნებისა და მზარდი სურვილების დასაკმაყოფილებლად. კულტურულმა ცვლილებებმა აგრეთვე ხელი შეუწყო მოსახლეობის ზრდას, საკვების მიწოდებისა და ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის შედეგად. და ბოლოს, ყოველ კულტურულ ცვლილებას მოჰყვა რესურსების უფრო მეტი გამოყენება, გარემოს მეტი დაბინძურება და დეგრადაცია, ვინაიდან გაიზარდა კაცობრიობის ეკოლოგიური ნაკვალევი და ადამიანი პლანეტაზე დომინანტურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე არაერთი მეცნიერი თუ სხვა სფეროს ანალიტიკოსები დღეს მოუწოდებენ მსოფლიოს **გარემოსდაცვითი ან მდგრადი განვითარების რევოლუციისკენ**. ასეთი რევოლუციისას კაცობრიობამ უნდა შეამციროს თავისი ეკოლოგიური ნაკვალევი და მისდიოს მდგრადი ცხოვრების წესს.

რა არის დაბინძურება და როგორ გავუმკლავდეთ მას?

დაბინძურება ეს არის ნებისმიერი რამ გარემოში, რომელიც მავნეა ადამიანისა და სხვა ორგანიზმების ჯანმრთელობისთვის, გადარჩენისთვის, ან საქმიანობისთვის. დამაბინძურებლები შეიძლება ბუნებრივად მოხვდნენ გარემოში, როგორც მაგალითად, ვულკანის ამოფრქვევისას, ან ადამიანთა სხვადასხვა საქმიანობის შედეგად, მაგალითად, როგორცაა ქვანახშირისა და ბენზინის წვა, ქიმიური ნივთიერებების მდინარეებსა და ოკეანეში ჩაშვება და სხვა.

დამაბინძურებლები ორი ტიპის წყაროდან წარმოიქმნება. დაბინძურების **წერტილოვანი წყარო** განცალკევებული, იდენტიფირებადი წყაროა. ამის მაგალითებია თბოელექტროსადგურის ან სამრეწველო ქარხნის საკვამური, საწარმოს გამონამუშევარი წყლის ჩაშვების მილი ან ავტომობილის გამოსაბოლქვე მილი.

არანერტილოვანი წყაროები გაფანტულია და ხშირად მათი იდენტიფიცირება რთულია. მაგალითად, პესტიციდების გავრცელება მიწის ზედაპირიდან ჰაერში, ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან, გაზონებიდან, ბაღებიდან, გოლფის მოედნებიდან სასუქებისა და პესტიციდების ჩარეცხვა მდინარეებსა და ტბებში. წერტილოვანი დაბიძურების წყაროების იდენტიფიცირება და კონტროლი, ან მათგან მომდინარე დაბინძურების პრევენცია ბევრად უფრო მარტივი და იაფია, ვიდრე არანერტილოვანის.

ძირითადად, არსებობს ორი ტიპის დამაბინძურებლები. **ბიოდეგრადირებადი დამაბინძურებლები** მავნე ნივთიერებებია, რომლებიც შეიძლება დაიშალოს ბუნებრივი პროცესების შედეგად. მაგალითად, ასეთია ადამიანის გამონაყოფი (ექსკრემენტი) და გაბეთები. **არადეგრადირებადი დამაბინძურებლები** მავნე ნივთიერებებია, რომლებიც ვერ იშლებიან ბუნებრივი პროცესების შედეგად. მაგალითად, ასეთია, ტოქსიკური ქიმიური ელემენტები, როგორცაა ტყვია, ვერცხლისწყალი და დარიშხანი.

დამაბინძურებლებს სამი არასასურველი შედეგი მოჰყვებათ. პირველი, ისინი არღვევენ ადამიანისა და სხვა სახეობებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სისტემებს, ან ინვევენ მათ დეგრადაციას. მეორე, მათ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ველური ბუნებას, ადამიანის ჯანმრთელობასა და ქონებას. მესამე, მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ხმაური, არასასიამოვნო სუნი და გემო, ზემოქმედება მხედველობაზე.

ჩვენ შეგვიძლია აღმოვფხვრათ ან თავიდან ავიცილოთ დაბინძურება

დავეუშვათ მეტალურგიული ქარხანა აფრქვევს კვამლს მილიდან. ჩვენ შეგვიძლია ამ პრობლემის გადაჭრაზე ზრუნვა ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული კითხვის დასმით. პირველი შეკითხვაა: „როგორ შეგვიძლია აღვკვეთოთ გამონაბოლქვი?“ და მეორე - „როგორ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ გამონაბოლქვის წარმოქმნა?“

ამ კითხვებზე პასუხი, პრობლემის მოგვარების ორ განსხვავებულ გზას გვთავაზობს. პირველია, **დაბინძურების აღმოფხვრა**, ან **გამონაბოლქვის კონტროლი**; ეს მოიცავს გარემოს „განმენდას“ დამაბინძურებლებისგან ან დამაბინძურებლების განზავებას, მას შემდეგ რაც ისინი მოხვდებიან გარემოში. მეორე გზაა **დაბინძურების თავიდან აცილება**, ან დაბინძურების კონტროლი წარმოების საწყის ეტაპზევე. ასეთი მიდგომის გამოყენებისას ხდება დამაბინძურებლების შემცირება ან მინიმუმამდე დაყვანა.

გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე მეცნიერებმა გამოყვეს სამი ძირითადი პრობლემა, რომელიც მოჰყვება დაბინძურების აღმოფხვრის, როგორც მიდგომის, პრიორიტეტულად გამოყენებას:

1. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ დაბინძურების აღმოფხვრა მხოლოდ და მხოლოდ დროებითი გადაწყვეტაა, ვინაიდან იზრდება მოსახლეობის რაოდენობა და მოხმარების მასშტაბები, მაგრამ თანმდევად არ ვითარდება დაბინძურების კონტროლის ტექნოლოგიები. მაგალითად, ავტომანქანის გამონაბოლქვის მიღზე კატალიზური გარდამქმნელის (კონვერტერის) დამატებით შესაძლებელი გახდა ჰაერის დაბინძურების გარკვეული ფორმების შემცირება. თუმცა, ამავდროულად, ავტომანქანების მზარდი რაოდენობა და ასევე ყოველი ავტომანქანის მიერ დაფარული მანძილის ზრდა, ამცირებს დაბინძურებასთან გამკლავების ამ საშუალების ეფექტურობას.

2. მეორე პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: ხშირად გარემოს ერთ ნაწილში დაბინძურების აღმოფხვრა, სხვაგან ინვევს დაბინძურებას. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია შევავროვოთ ნაგავი, მაგრამ შემდეგ ის ან უნდა დაინვას (რამაც შესაძლოა ჰაერის დაბინძურება და ტოქსიკური ფერფლის წარმოქმნა გამოიწვიოს), განთავსდეს მიწის ზედაპირზე, ნაგავსაყრელზე (რამაც შესაძლოა მიწისქვეშა წყლის დაბინძურება გამოიწვიოს) ან დაიშალოს (რამაც შესაძლოა ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლის დაბინძურება გამოიწვიოს).

3. როგორც კი გარემოში გაფანტული დამაბინძურებლების დონე მიაღწევს საშიშ ზღვარს, მათი კონცენტრაციის დასაშვებ დონემდე შემცირება ძალზე ძვირი ან შეუძლებელი ხდება.

დაბინძურების პრევენცია („დაბინძურების შემცირება საკვამური მილის თავში“) და დაბინძურების აღმოფხვრა („დაბინძურების შემცირება საკვამური მილის ბოლოში“) - ორივე საჭიროა. თუმცა, გარემოს დაცვის სფეროს მეცნიერები, ზოგიერთი ეკონომისტი და კომპანია მოგვიწოდებენ, რომ აქცენტი პრევენციაზე გავაკეთოთ, რადგან ეს მიდგომა ბევრად უკეთ მუშაობს და გრძელვადიან პერსპექტივაში, უფრო იაფია, ვიდრე დაბინძურების აღმოფხვრა.

რატომ დგება გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები?

რაც უფრო იზრდება გლობალური ეკონომიკის ზეწოლა დედამიწის ბუნებრივ რესურსებზე, მცირდება ტყის ფართობები მთელს მსოფლიოში, იზრდება გაუდაბნობელი ტერიტორიების ფართობი, მძაფრდება ნიადაგის ეროზია და უარესდება სასოფლო-სამეურნეო მიწების ხარისხი. გარდა ამისა, ატმოსფეროს ქვედა ფენა იწყებს დათბობას, ყინული დადნობას, ზღვის დონე იმატებს და შტორმის ეფექტი უფრო დამანგრეველი ხდება. ბევრ ადგილებში კი პირიქით, წყლის დონე დაბლა იწვევს, მდინარეები შრება, თევზები კვდება, მარჯნის რიფები ქრება და სხვადასხვა სახეობები გადაშენდება.

გარემოს დაცვისა და სოციალური სფეროების მეცნიერების დასკვნებით, გარემოსთან დაკავშირებული ამ და სხვა პრობლემების **ხუთი მთავარი გამოწვევი მიზეზი არსებობს**, ესენია: მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რესურსების უყარათოდ და არამდგრადად გამოყენება, სიღარიბე, გარემოს გაუარესებით გამოწვეული დანახარჯების აუსახველობა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში და ცოდნის ნაკლებობა გარემოში მიმდინარე პროცესებზე. მოსახლეობის ექსპონენციალური ზრდის საკითხი ზემოთ უკვე განხილულია, ამდენად ქვემოთ მოკლედ მიმოხილულია დანარჩენი ოთხი მიზეზი.

სიღარიბე გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს

სიღარიბეს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადამიანები ვერ იკმაყოფილებენ თავის ძირითად მოთხოვნებს საკვებზე, წყალზე, თავშესაფარზე, ჯანმრთელობასა და განათლებაზე. სიღარიბე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. მსოფლიოს მოსახლეობის ის ნახევარი, რომელიც ცდილობს იცხოვროს დღემდე ორ დოლარზე ნაკლები თანხით, იბრძვის საკვების, წყლისა და საკვების მოსამზადებლად და გასათბობად აუცილებელი სანავის მოსაპოვებლად. გადასარჩენად, ამ ადამიანების ნაწილი გადაჭარბებულად მოიხმარს ტყეს, საძოვრებს, თევზის რესურსებს და ველურ ცხოველებს, რაც გარემოს დეგრადირებას იწვევს. მათ არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ იფიქრონ გარემოს ხარისხზე გრძელვადიან პერსპექტივაში ან მდგრადობაზე.

სიღარიბე გავლენას ახდენს მოსახლეობის ზრდაზე. ღარიბების დიდი ნაწილისთვის გადარჩენის საშუალება ბევრი შვილის ყოლაა. ბავშვები მათ ეხმარებიან გათბობის საშუალებების შეგროვებაში (როგორცაა შეშა და ცხოველის ნაკელი) ასევე სასმელი წყლის, მარცვლეული კულტურებისა და შინაური საქონელის მოვლაში. ბავშვები მათ, აგრეთვე, ეხმარებიან როდესაც ისინი ხანდაზმულობის ასაკს (ღარიბ ქვეყნებში - საშუალოდ 40-50 წელი) აღწევენ, რადგან ისინი არ არიან სოციალურად დაცული, არ არიან უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის დაცვითა და პენსიით.

როგორც სიღარიბე ახდენს გავლენას გარემოს დეგრადაციაზე, ასევე პირიქით, დაბინძურება და გარემოს დეგრადაცია ძლიერ ზეგავლენას ახდენს ღარიბებზე და შეუძლია გაზარდოს კიდევ სიღარიბე. შესაბამისად, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ღარიბი ადამიანები ადრეულ ასაკში იღუპებიან ისეთი დაავადებების გამო, რომელთა პრევენცია, შესაძლებელია.

საგულისხმოა, რომ სიღარიბესთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და სოციალური პრობლემები შეიძლება გადაიჭრას 20-30 წლის განმავლობაში, თუ ამ პრობლემის გადაჭრისათვის იარსებებს რეალური პოლიტიკური და ეთიკური ნება.

სიმდიდრე გარემოზე დადებითად და უარყოფითად მოქმედებს

სიღარიბეს გარემოზე სერიოზული ზეგავლენა აქვს, სიმდიდრეს კი, უარესი. ბევრ განვითარებულ და სწრაფად განვითარებად ქვეყნებში, როგორცაა ჩინეთი და ინდოეთი, მდიდრები იყენებენ დიდი რაოდენობით რესურსებს და წარმოქმნიან ასევე დიდი რაოდენობით ნარჩენს. ასეთი სიმდიდრე დამყარებულია მასობრივი საშუალებებით რეკლამირებულ მოსაზრებაზე, რომ ადამიანთა ბედნიერებისათვის აუცილებელია უფრო და უფრო მეტი ნივთის ყიდვა.

ასეთი ტიპის სიმდიდრეს გარემოზე მაღალი უარყოფითი ზეგავლენა აქვს. გამოთვლილია, რომ ერთი წლის განმავლობაში ერთი ამერიკელი მოქალაქის გამოსაკვებად და ცხოვრების პირობების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 27 ტრაილერის ტვირთის ოდენობის რესურსი, მთლიანად აშშ მოსახლეობისათვის კი 7,9 მილიარდი წელიწადში. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს მოსახლეობა ინდოეთის მოსახლეობაზე ნაკლებია, აშშ-ში მოიხმარენ 30-ჯერ მეტ რესურსებს, ვიდრე ინდოეთის მოსახლეობა და 100-ჯერ მეტს, ვიდრე ღარიბი ქვეყნები. შედეგად, აშშ-ს ერთი მოქალაქის გარემოზე ზეგავლენა და მის მიერ დატოვებული ეკოლოგიური ნაკვალევი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეების.

სიმდიდრესა და გარემოს ხარისხს შორის ზემოაღნიშნული კავშირის გარდა, არსებობს სხვაგვარი კავშირიც - სიმდიდრე იძლევა იმის საშუალებას, ადამიანები უფრო მეტად დაინტერესდნენ გარემოს ხარისხით. სიმდიდრე იძლევა ახალი ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობას გარემოში დამაბინძურებლების გაფრქვევის, გარემოს დეგრადაციისა და რესურსების უყარათოდ გამოყენების შესამცირებლად.

აშშ-ში და ბევრ მდიდარ ქვეყანაში ჰაერი, წყალი, მდინარეებისა და ტბების უმრავლესობა უფრო სუფთაა ვიდრე 1970-იან წლებში იყო. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში საკვების ნაკლებობა, ისევე როგორც საკვების უსაფრთხოება ნაკლებად პრობლემურია, ასევე მნიშვნელოვნად შემცირებულია სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელი ინფექციური დაავადებების შემთხვევების რაოდენობა, გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა და გადარჩენილ იქნა გადაშენების წინაშე მყოფი არაერთი სახეობა.

ამგვარად, სიმდიდრე იძლევა შესაძლებლობას, დაფინანსდეს გარემოს ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, რომლებიც დამყარებულია მეცნიერული კვლევებითა და ტექნოლოგიურ მიღწევებით. განათლების სფეროში გაუმჯობესებებმა განაპირობეს ის, რომ მოქალაქეები მოითხოვენ ბიზნესისგან და არჩეული თანამდებობის პირებისგან ღონისძიებების გატარებას გარემოს ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ბევრ განვითარებულ ქვეყანაში განათლებამ და სიმდიდრემ აგრეთვე ხელი შეუწყო მოსახლეობის ბრდის შემცირებას. ამასთან, აღნიშნულითან ერთად, გასათვალისწინებელია სიმდიდრის მეორე, უარყოფითი მხარე - სიმდიდრე აძლევს „მდიდრებს“ იმის საშუალებას, რომ მსოფლიოს თითქმის ნებისმიერ ადგილზე მოიპოვონ რესურსები, თანაც ისე, რომ ვერც კი დაინახონ თავისი მომხმარებლური მიდგომით გამოწვეული, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შედეგები.

ფასები ბუნებრივი კაპიტალის ღირებულებას არ მოიცავს

როდესაც კომპანიები მოიხმარენ რესურსებს მომხმარებელთა პროდუქტითა და მომსახურებით დასაკმაყოფილებლად, მათ როგორც წესი, არ მოეთხოვებათ რესურსების გამოყენებით გამოწვეული გარემოსთან დაკავშირებული დანახარჯების ანაზღაურება. მაგალითად, თევზჭერი კომპანიები იხდიან თევზჭერის ღირებულების საფასურს, მაგრამ არ იხდიან გამოლეული თევზების მარაგის საზღაურს. ანალოგიურად, ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანია იხდის მოჭრილი ხის საფასურს, მაგრამ არ ანაზღაურებს ტყის ჭრით გამოწვეული გარემოს დეგრადაციისა და დაკარგული ბუნებრივი ჰაბიტატების ღირებულებას. ამ კომპანიების მთავარი მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა, ამდენად, ისინი ნებაყოფლობით არ გადაიხდიან გარემოსთვის მიყენებული ზიანის საფასურს; ისინი არც კი შეეცდებიან, რომ დაითვალონ (შეათვალონ) ზიანი, თუ ეს მათ არ მოეთხოვებათ კანონმდებლობით.

შედეგად, მომხმარებელთა მიერ საქონლისა და მომსახურებისათვის გადახდილი თანხა არ მოიცავს გარემოსთვის მიყენებული ზიანის საფასურს. მომხმარებლები, როგორც წესი, ვერც კი აცნობიერებენ, რა ზიანს აყენებენ დედამიწის სასიცოცხლო სისტემებს და საკუთარ ჯანმრთელობას.

მეორე პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობები ხშირად კომპანიებს უწესებენ საგადასახადო შეღავათებს ან გამოყოფენ სუბსიდიებს რესურსის ასათვისებელი ბიზნესის ხელშესაწყობად. ასეთი მიდგომები იძლევა სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის შესაძლებლობას, თუმცა, ამავდროულად, მათ შეიძლება ხელი შეუწყონ ბუნებრივი კაპიტალის დეგრადაციას, რადგან ბუნებრივი კაპიტალის გაუფასურებით გამოწვეული დანახარჯები არ აისახება საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში.

ადამიანებს გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე განსხვავებული შეხედულება აქვთ

აზრთა სხვადასხვაობა გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემების სიმწვავეზე და მათი გადაწყვეტის გზებზე ძირითადად გამოწვეულია განსხვავებებით ადამიანთა მსოფლმხედველობაში. გარემოსთან კავშირში, **მსოფლმხედველობა** არის ჩვენი მოსაზრებებისა და ფასეულობების ნაკრები იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს მსოფლიო/გარემო და რა როლი გვაკისრია ჩვენ. მსოფლმხედველობა მოიცავს ასევე **ეთიკის** საკითხებს - ჩვენს რწმენას იმის შესახებ, რას ვთვლით სწორ და არასწორ ქმედებად გარემოს მიმართ. ქვემოთ მოყვანილია გარემოსთან და ეთიკასთან დაკავშირებული რამოდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა:

- რატომ უნდა ვიზრუნოთ გარემოზე?
- არის თუ არა ადამიანი პლანეტის ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილება, თუ ის მხოლოდ ერთ-ერთი დედამიწაზე არსებულ სიცოცხლის მილიონობით ფორმას შორის?
- ვართ, თუ არა ვალდებული ვიმოქმედოთ ისე, რომ ჩვენი საქმიანობით არ გამოვიწვიოთ სხვა სახეობების გადაშენება? უნდა ვეცადოთ, თუ არა, რომ დავიცვათ ყველა სახეობა, თუ მხოლოდ ზოგიერთი უნდა დავიცვათ? როგორ უნდა გადავწყვიტოთ, რომელი სახეობა დავიცვათ და რომელი, არა?
- გვაქვს, თუ არა ეთიკური ვალდებულება, დავუტოვოთ მომავალ თაობებს არაჩვეულებრივი ბუნებრივი გარემო, სულ მცირე, ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ჩვენ მივიღეთ მემკვიდრეობით?
- უნდა ჰქონდეს, თუ არა ყველა ადამიანს თანაბარი უფლება, დაცული იყოს გარემოს საფრთხეებისგან, მიუხედავად რასისა, სქესისა, ასაკისა, ეროვნებისა, შემოსავლის ოდენობისა და სოციალური მდგომარეობისა, ან სხვა რაიმე ნიშნისა?

სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანები შეიძლება ეყრდნობოდნენ ერთი და იგივე მონაცემებს, მსჯელობისას მიჰყვებოდნენ ლოგიკურ ჯაჭვს, მაგრამ საბოლოოდ მივიდნენ საკმაოდ განსხვავებულ დასკვნებამდე. ეს ხდება იმის გამო, რომ ისინი ამ პროცესს იწყებენ განსხვავებული შეხედულებებით, მორალით, ეთიკითა და რელიგიური რწმენით. გარემოსთან მიმართებაში, ასხვავებენ მსოფლმხედველობის სამ პირობით სახეს, რომლებიც ქვემოთ მოკლედაა აღწერილი.

პლანეტის მართვის მსოფლმხედველობა - ეს მიმდინარეობა ადამიანებს ბუნებისგან განცალკევებულად აყენებს. ბუნება განიხილება როგორც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა საჭიროებების და სურვილების დაკმაყოფილების საშუალება. ადამიანმა უნდა მიმართოს თავისი გამომგონებლობა და ტექნოლოგიები დედამიწის სასიცოცხლო სისტემების უსასრულოდ სამართავად ადამიანთა კეთილდღეობისთვის.

ხელმძღვანელის მსოფლმხედველობა გულისხმობს, რომ ადამიანებს შეუძლიათ და უნდა მართონ კიდევ დედამიწა კაცობრიობის სასარგებლოდ, მაგრამ ამასთანავე ადამიანებს აქვთ ეთიკური პასუხისმგებლობა, რომ


იზრუნონ დედამიწაზე, სხვა სიტყვებით, იყვნენ პასუხისმგებელიანი ხელმძღვანელები. ადამიანებმა ხელი უნდა შეუწყონ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სასარგებლო ფორმებს, და ამასთანავე, უარი თქვან გარემოსთვის საზიანო ფორმებზე.

ბრძნული გარემოსდაცვითი მსოფლმხედველობა გულისხმობს, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია და მასზე დამოკიდებულები; ბუნება არსებობს არამარტო ადამიანებისთვის, არამედ ყველა სახეობისთვის. ეს მსოფლმხედველობა მოგვიწოდებს, რომ ხელი უნდა შევუწყოთ დედამიწის სასიცოცხლო სისტემების მხარდამჭერ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მოდელებს და უარი ვთქვათ იმ ფორმებზე, რომლებიც ინვევენ დედამიწის დეგრადაციას. ამ მსოფლმხედველობის მიხედვით, კაცობრიობის წარმატება დამოკიდებულია ადამიანთა უნარზე, ისწავლოს, თუ როგორ ნარჩუნდება სიცოცხლე დედამიწაზე და მოახდინოს ამ გარემოსდაცვითი სიბრძნის ინტეგრირება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანთა აზრებსა და ქმედებებში.

ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ ინფორმირებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება

გარემოსთან დაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად გადადგმული პირველი ნაბიჯია პრობლემის არსის დასადგენად სამეცნიერო კვლევების ჩატარება და მისი მოგვარების გზების პოვნა. ამის შემდეგ, პრობლემის მოგვარების ყოველი შესაძლო გზა უნდა შეფასდეს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაქტორების გათვალისწინებით. ეს ეტაპი მოიცავს ადამიანთა ფასეულობების გათვალისწინებასაც. აქ უნდა დაისვას ისეთი კითხვები, როგორცაა: როგორია პროექტის გრძელვადიანი და მოკლევადიანი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, ეკონომიკასა და ჯანმრთელობაზე? რა იქნება ამ ყველაფრის ფასი? არის თუ არა ეს ეთიკური? და ა.შ. ქვემოთ მოყვანილი ჩანართი გვიჩვენებს გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების ძირითად ეტაპებს:

ჩანართი 4. გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების ძირითად ეტაპები



ერთად ვიმოქმედოთ გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად


მდგრადი საზოგადოებისა და ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია, როგორც სოციოლოგიები ხშირად მოიხსენიებენ, **სოციალური კაპიტალის** არსებობა. სოციალური კაპიტალი გულისხმობს სხვადასხვა შეხედულებებისა და ფასეულობების მქონე ადამიანებს შორის აზრთა გაცვლის შესაძლებლობას, რათა ურთიერთგაგებისა და ნდობის საფუძველზე, ნაპოვნი იქნეს საერთო საფუძველი გარემოსთან დაკავშირებული თუ სხვა პრობლემების გადასაჭრელად. ეს ნიშნავს, რომ ხელი უნდა შეეწყოს ღიაობას, კომუნიკაციას, თანამშრომლობას და თავიდან იქნეს აცილებული შეზღუდულობა, პოლარიზაცია, დაპირისპირება და შიში.

გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები არა შავ-თეთრი, არამედ ჭრელია. ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას, სხვადასხვა მოსაზრებების მხარდამჭერებს, ყოველთვის აქვთ ლეგიტიმური და პრობლემის გადაჭრის საპოვნელად სასარგებლო მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღებისას. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანები, რომლებიც ემნიან „სოციალურ კაპიტალს“, ეძებენ კომპრომისულ, მისაღებ გადაწყვეტილებას გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად. ადამიანები შეიძლება ასევე შეეცადონ, ჩამოაყალიბონ და შეჭერდნენ საერთო ხედვაზე და დასახონ გზები ამ საერთო მომავლის სურათის მისაღწევად, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე. ადამიანთა ასეთი ძალისხმევა ხშირად აისახება ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ ან საერთაშორისო სტრატეგიებსა და მოქმედებათა გეგმებში (ამის მაგალითებია, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული სტრატეგია, ნარჩენების მართვის ადგილობრივი სტრატეგია, ტყის მართვის სტრატეგია, მუნიციპალური ნარჩენების გადამუშავების/რეციკლირების პროგრამა და სხვ.).

წინ! გარემოსდაცვითი რევოლუციისკენ!

ბევრს უკვე აღინიშნა, რომ **გარემოსდაცვითი ან მდგრადი განვითარების რევოლუციის** კაცობრიობამ უნდა შეამციროს თავისი ეკოლოგიური ნაკვალევი და მისდოს მდგრადი ცხოვრების წესს. ქვემოთ წარმოდგენილ ჩანართში, მოცემულია ის ცვლილებები, რომლებმაც საბოლოოდ კაცობრიობა უნდა მიიყვანოს კულტურულ ცვლილებებამდე.

ჩანართი 5. გარემოსდაცვითი ან მდგრადი განვითარების რევოლუციისთვის აუცილებელი ცვლილებები



არსებობს მეცნიერული მტკიცებულებები, კაცობრიობას აქვს 50-100 წელი იმისათვის, რომ გაატაროს გადამწყვეტი კულტურული ცვლილებები. თუ ეს მართლია, ამ საუკუნის განმავლობაში, ჩვენ შესაძლოა აღმოვჩნდეთ გზაჯვარედინზე, სადაც უნდა ავირჩიოთ გზა ან მდგრადი განვითარებისკენ, ან გავაგრძლოთ ამჟამინდელი არამდგრადი განვითარების კურსი. ყველაფერი - ჩვენი მოქმედებაც და უმოქმედობაც - წვლილს შეიტანს გზის არჩევაზე საერთო გადაწყვეტილების მიღებაში.

7. კლიმატის ცვლილება

7.1 რა არის კლიმატის ცვლილება?

კლიმატის ცვლილება თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გამოწვევაა. მისი ფენომენი შემჩნეული იქნა 20 საუკუნის 70 იანი წლებიდან, როდესაც დაფიქსირდა მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდისა და გახშირებული კლიმატური კატასტროფების ტენდენცია. დღეისთვის, მეცნიერულად დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება ხდება დედამიწის მასშტაბით. კლიმატის ცვლილების ზეგავლენა გამოიხატება მყინვარების და ყინულის ფენის დნობაში ოკეანეებში, ე.წ. „სითბური ტალღების“, გვალვების, ხოლო მეორე მხრივ, ძლიერი წვიმების, ოკეანის დონის აწევა, დატბორვების, წყალდიდობების, დაზარალების, მწყერების, ზვავების, ცუნამების, სხვადასხვა ქარიშხლების გაძლიერებას და გახშირებას. კლიმატის ცვლილების შედეგად, იცვლება ბუნება და ეკოსისტემები, იზრდება ადამიანთა დაავადებების რისკი, ეპიდემიები. „სათბურის ეფექტით“ გამოწვეული მავნე შედეგების ინტენსივობა იზრდება ყოველწლიურად რაც კიდევ უფრო ამძაფრებს და სასწრაფოს ხდის პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას.

მე-20 საუკუნეში დაფიქსირებული და ამჟამად მიმდინარე კლიმატის ცვლილების მიზეზად აღიარებულია ადამიანის სანარმოო საქმიანობა და ინტენსიური ინდუსტრიალიზაცია, რის შედეგადაც გამოყოფილი სათბური აირები ცვლის ატმოსფეროს შემადგენლობას და ხელს უშლის სითბოს კარგვას. ამ აირებს „სათბური გაზები“ ეწოდება, რომელთა შორისაა ნახშირორჟანგი, მეთანი, ამოტის ქვეჟანგი, ჰიდროფტორნახშირბადები, პერფტორნახშირბადები და გოგირდის ჰექსაფტორიდი. ეს გაზები შთანთქავს დედამიწიდან ატმოსფეროში არეკლილ ინფრანითელ გამოსხივებას და აბრუნებს მას დედამიწაზე. სათბური გაზების მთელი რაოდენობის 63%-ს ნახშირორჟანგი შეადგენს, შემდეგ მოდის მეთანი 24%-ით, ამოტის ქვეჟანგი 10%-ით და სხვა აირები - 3%-ით. ყველაზე ძლიერი გაზებია HFC, PFC-ები და SF6-ები, ზოგადი სახელწოდებით “ფ-აირები”. მეთანი იჭერს 21-ჯერ მეტ სითბოს, ვიდრე ნახშირორჟანგი, ამოტის ქვეჟანგი კი, 310-ჯერ მეტს.

1988 წელს მსოფლიოს წამყვანი მეცნიერებისგან შეიქმნა გაეროს კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო საბჭო (Intergovernmental Panel on Climate Change - IPCC) მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციისა და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მიერ. საბჭოს მიზანია, რომ შეაფასოს ადამიანის ქმედებით გამოწვეული კლიმატის ცვლილების რისკი, მისი პოტენციური შედეგები, მათი შერბილებისა და მისადმი ადაპტაციის გზები. ის არ ატარებს კვლევებს ან დაკვირვებას ჰავაზე ან მასთან დაკავშირებულ რომელიმე მოვლენაზე. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალური ანგარიშების გამოქვეყნებაა. ორგანიზაცია საკუთარ შეფასებებს, ძირითადად, სამეცნიერო ლიტერატურაში ექსპერტთა მიერ გამოქვეყნებულ და გადამოწმებულ მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებს.

IPCC-ს მეოთხე ანგარიშმა დაადასტურა რომ მიმდინარე კლიმატური ცვლილებები ადამიანის საქმიანობასთან არის დაკავშირებული და რომ პროგნოზი ბევრად უფრო სავალალოა ვიდრე წინა ანგარიშებმა აჩვენა. კვლევის თანახმად, დღეისთვის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მაჩვენებელი 400 ნაწილაკია მილიონზე, მაშინ როდესაც კრიტიკული ზღვარი 350 ნაწილაკია მილიონზე. IPCC-ს მეხუთე ანგარიშის თანახმად, ყველაზე ოპტიმისტური სცენარების შემთხვევაში, მსოფლიო საშუალო ტემპერატურა 21-ე საუკუნის ბოლოსთვის გადაატარებს 1.5 ცელსიუსს გრადუსს 1850-1900 წლებთან მიმართებით, ხოლო 2 ცელსიუსს გრადუსზე მეტს (4-8 გრადუსზეც კი), თუ ემისიების რაოდენობა კვლავ მაღალი იქნება.

IPCC-ს განმარტებით, გაიზრდება წყლისადმი ხელმისაწვდომობის პრობლემა გვალვიან რეგიონებში და ნალექების რაოდენობა უფრო ტენიან რეგიონებში, რასაც პირდაპირი ზემოქმედება ექნება საკვების უსაფრთხოებაზე მსოფლიოში.

ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მნიშვნელოვნად შემცირდება ნახშირორჟანგი ემისიები, კლიმატის ცვლილება მაინც გაგრძელდება, ატმოსფეროში უკვე დაგროვილი კუმულაციური ნახშირორჟანგის ზემოქმედებით.

განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოების ეკონომიკას საფუძვლად უდევს წიაღისეული საწვავი, რომლის წვა უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს. შესაბამისად, სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი ატმოსფეროში ადამიანის საქმიანობის შედეგად გაფრქვეული ნახშირორჟანგის უდიდეს ნაწილზე. თუმცა, მათ სწრაფი ტემპით ეწევიან განვითარებადი ქვეყნების, განსაკუთრებით ჩინეთი და ინდოეთი, რომლებიც ახდენენ თავისი ეკონომიკის სწრაფ ინდუსტრიალიზაციას. ზოგადად კი, პასუხისმგებლობა მეტნაკლებად ყველა სახელმწიფოს ეკისრება.

მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებს შორის აშშ ამჟამად ყველაზე მსხვილი „დამაბინძურებელია“ - მიუხედავად

იმისა, რომ მისი მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებია, აშშ პასუხისმეგებელია ნახშირორჟანგის მსოფლიო ემისიის თითქმის მეოთხედზე. სხვა ძირითად „დამაბინძურებლებს“ შორის აღსანიშნავია ჩინეთი, ინდონეზია და ბრაზილია.

7.2 კლიმატის ცვლილება, როგორც უსაფრთხოების პრობლემა

კლიმატის ცვლილება ასევე განიხილება უსაფრთხოების პრობლემადაც, ვინაიდან ნავარაუდევია, რომ ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად გაიზრდება ეკოლოგიურ ლტოლვილთა რიცხვი (ხელმისაწვდომობა წყალზე, საკვებზე, წყალდიდობები, ზვავები და ა.შ). ნავარაუდევია, რომ 2050 წლისთვის დედამიწაზე შეიძლება იყოს 50-150 მილიონი ეკოლოგიური ლტოლვილი, მაშინ, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შედეგადაც კი ევროპაში მხოლოდ 7 მილიონი ლტოლვილი იყო. ამ ლტოლვილების დიდი ნაწილი არალეგალური მიგრანტის მდგომარეობაში აღმოჩნდება უცხო ქვეყნებში, სადაც გამოიწვევს სოციალურ და პოლიტიკურ არასტაბილურობას. ამგვარად, გლობალური დათბობა სერიოზულ საზრუნავს წარმოადგენს სახელმწიფოების საგარეო, სამხედრო და ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციების თვალსაზრისით.

7.3 გლობალური დათბობის გამოქვეყნება ადამიანების ჯანმრთელობაზე

კლიმატის ცვლილების სამთავრობოთაშორისო ჯგუფის სპეციალისტების ვარაუდით (ჯგუფის 1995 წლის ანგარიში) გლობალური დათბობა გამოიწვევს მეტ სითბურ ტალღებს.

სითბური ტალღები ეწოდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უკიდურესად ცხელ ამინდს, რომელსაც თან სდევს მაღალი სინოტივე. მათი გახშირება და გაძლიერება გაზრდის სიკვდილიანობას მოხუცებში და გულით დაავადებულებში, ასევე რესპირატორული დაავადებების სიხშირეს, როგორცაა ასთმა და ბრონქიტი.

უფრო თბილი და ნოტიო ტროპიკული ჰავის გავრცელება ეკვატორიდან ყოფილ ზომიერ კლიმატურ ზოლებში მოიტანს მალარიას, ენცეფალიტს, ყვითელ ციებ-ცხელებას და მწერების მიერ გადატანად სხვა დაავადებებს. მეცნიერები ვარაუდობენ ასევე ქოლერის ეპიდემიების აღმოცენებას.

უფრო თბილი და ნოტიო კლიმატური პირობები ასევე შეუწყობს ხელს ბაქტერიების გამრავლებას და ობის წარმოქმნას ჩვეულებრივ პირობებში შენახულ პროდუქტებზე და ამგვარად, გაზრდის პროდუქტების გაფუჭების და ზოგიერთი სახის მონამღვის სიხშირეს. ზღვის დონის აწევამ კი შესალოა ხელი შეუწყოს ინფექციური დაავადებების გავრცელებას, რადგან დაიტბორება კანალიზაცია და გამწმენდი ნაგებობები სანაპირო ზოლში.

7.4 გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია

1992 წელს რიო დე ჟანეიროში 106 ქვეყანამ მოაწერა ხელი კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას, რომლითაც განვითარებულმა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ შეამცირებდნენ ნახშირორჟანგის და სხვა სათბურის აირების ემისიას. მართალია კონვენცია სავალდებულო ხასიათის არ იყო თავიდან, მაგრამ საფუძველი ჩაუყარა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სხვადასხვა მიმართულებებს.

1997 წლის 11 დეკემბერს დელეგატებმა 161 ქვეყნიდან ხელი მოაწერეს კიოტოს ოქმს. ოქმი ბევრი ბრძოლის შედეგად ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვალს.

იმისთვის, რომ შეჩერდეს გლობალური დათბობა და მოხდეს მისი შემოქმედების ნეიტრალიზაცია, ორი მიმართულებითაა საჭირო მუშაობა.

ერთი მიმართულებაა ე.წ. შერბილება (mitigation), რომელიც მიმართულია ნახშირორჟანგის კონცენტრაციის სტაბილიზაციაზე არსებულ დონეზე, რაც გულისხმობს მიმდინარე ემისიების შემცირებას 66-83%-ით. უახლოესი ორი-სამი ათწლეულის მანძილზე ნახშირორჟანგის და ჰაერის სხვა დამაბინძურებლების ემისიის შემცირების ყველაზე სწრაფი, იაფი და ეფექტური გზა ენერჯის უფრო რაციონალურად გამოყენება.

კოტოს ოქმი, კონვენციისგან განსხვავებით, სათბურის აირების ემისიის შემცირების კონკრეტულ მოთხოვნებს წარუდგენს 38 ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოს და ევროგაერთიანებას. ეს არის ემისიის საშუალოდ 5.2 %-ით შემცირება 1990 წლის დონესთან შედარებით, ხუთწლიანი პერიოდის (2008-2012 წლები) განმავლობაში. ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ემისიის 8%-ით დაწევა 1990 წელთან შედარებით, აშშ-ს 7%-ით, იაპონიას 6%-ით.

ოქმი აღიარებს, უპირველეს ყოვლისა, განვითარებული ქვეყნების პასუხისმგებლობას სათბური აირების არსებულ მაღალ ემისიაზე, როგორც ინდუსტრიული აქტიურობის 150-წლიანი (და მეტი) პერიოდის შედეგზე. ამიტომ, ოქმი ძირითად ვალდებულებებსაც სწორედ განვითარებულ სახელმწიფოებს აკისრებს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებმა ძირითადად საკუთარი ძალებით უნდა მიაღწიონ დასახულ მიზნებს, ოქმი სთავაზობს მათ ურთიერთთანამშრომლობის დამატებით მექანიზმებსაც, მათ შორის:

- ემისიებით ვაჭრობა, ანუ „ნახშირბადის ბაზარი“;
- სუფთა განვითარების მექანიზმები (სგმ);
- ტექნოლოგიების ტრანსფერი.

ეს მექანიზმები ხელს უწყობენ ინვესტირებას გარემოსდაცვით სექტორში და ეხმარებიან მხარეებს თავისი ვალდებულებების რეალიზებაში რაციონალური ხარჯების ფასად.

7.5 ემისიებით ვაჭრობა

კოტოს ოქმის თანახმად, სახელმწიფოს, რომელმაც დასახულ დონეზე დაბლა დაწია სათბურის აირების ემისია, შეუძლია მიჰყიდოს დარჩენილი ემისიის უფლება ქვეყანას, რომელმაც თავისი დაგეგმილი დონის მიღწევა ვერ შეძლო.

სახელმწიფოებისა და რეგიონების დონეზე შეიძლება შემუშავდეს ემისიებით ვაჭრობით სქემები, რომელთა შესაბამისად მთავრობები დააწესებენ ემისიების შემცირების გარკვეულ ვალდებულებებს კონკრეტული ერთეულებისთვის ან იურიდიული პირებისთვის. ამჟამად მოქმედ სქემებში ყველაზე მსხვილია ემისიებით ვაჭრობის ევროკავშირის სქემა.

პირველმა მსოფლიოში სათბურის აირებით ვაჭრობის პროექტის განხორციელება კოტოს ოქმით დადგენილი წესების თანახმად დაიწყო კოსტა-რიკამ. მთავრობა შეიძინა და დაიცავს 5000 ათასზე მეტ კვადრატულ კილომეტრ ტროპიკულ ტყეს (უმრავლესობა ამ ნაკვეთებისა კერძო მფლობელობაში იყო) იმ თანხებით, რომელსაც მიიღებს სხვა ქვეყნებისთვის ნახშირორჟანგის ემისიის უფლების მიყიდვით. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მიდგომას განვითარებადი მსოფლიო ეჭვით უყურებს, რადგან არსებობს საფრთხე, რომ მდიდარი ინდუსტრიული სახელმწიფოები ბოროტად გამოიყენებენ თავის ფინანსურ შესაძლებლობებს, ანუ „გამოისყიდონ“ თავის ემისიებს და ამ გზით, აარიდებენ თავს აღებული ვალდებულებების შესრულებას.

7.6 სუფთა განვითარების მექანიზმები

სუფთა განვითარების მექანიზმი (სგმ) საშუალებას აძლევს ქვეყანას, რომელსაც კოტოს პროტოკოლის შესაბამისად აღებული აქვს ემისიის შემცირების ან შეზღუდვის ვალდებულება (ანუ ოქმის B დანართში ჩართულ განვითარებულ ქვეყანას) განახორციელოს ემისიის შემცირებაზე ორიენტირებული პროექტი განვითარებად ქვეყანაში. ასეთი პროექტის განხორციელების შედეგად განვითარებულ ქვეყანას გარკვეულ საფასურად გადაეცემა შემცირებული ემისიები (სრულად ან ნაწილი). ეს მას ჩაეთვლება კოტოს ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, განვითარებადი ქვეყანა კი, მოგებული დარჩება მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პროექტის განხორციელებით. ეს შეიძლება იყოს სასოფლო რეგიონების ელექტრიფიკაცია, განხორციელებული მზის ბატარეების საშუალებით, ენერგეტიკულად უფრო ეკონომიური ბოილერების დაყენება და სხვა.

სუფთა განვითარების მექანიზმს ბევრი განიხილავს, როგორც ნოვატორულ მიდგომას, რომელიც ახდენს

მდგრადი განვითარების და ემისიების შემცირების სტიმულირებას და ამავე დროს შედარებით მოქნილად ხდის ჩარჩოებს, რომლებშიც კიოტოს ოქმი აქცევს ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებს.

7.7 კიოტოს ოქმი და შერბილების რეალური პროგნოზები

ბევრი ანალიტიკოსი აფასებს კიოტოს ოქმს როგორც მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან ნაბიჯს არსებული პრობლემის გადასაჭრელად. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ მოახდინა ოქმის რატიფიცირება იმ მიზეზით, რომ ის არ უყენებს განვითარებად ქვეყნებს ემისიის შემცირების მოთხოვნებს. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სათბურის აირების ემისია სწრაფად იზრდება და სპეციალისტების ვარაუდით, 2020 წლისთვის გაიზრდება 70%-ით 1995 წელთან შედარებით.

ამის გარდა, მეცნიერების შეფასებით, საჭიროა სათბურის აირების მინიმუმ 60%-ით შემცირება 1990 წლის დონესთან შედარებით, იმისთვის, რომ გლობალური დათბობა მისაღებ დონემდე შენეულდეს, მაგრამ საეჭვოა ისიც, თუ რამდენად შეძლებენ კიოტოს ოქმის მხარეები იმ 5.2% ვალდებულების შესრულებასაც კი, რომელიც იტვირთეს.

ბევრი ენერგეტიკოსი და ეკონომისტი ამტკიცებს, რომ კაცობრიობას შეუძლია შეამციროს ნახშირორჟანგის ემისიები 30%-ით 1990 წლის დონესთან შედარებით 10-15 წლის განმავლობაში ენერჯის რაციონალური გამოყენების უკვე არსებული მეთოდების გამოყენებით და ამავე დროს დაუზოგოს წარმოებებსა და მომხმარებლებს მილიარდობით დოლარი. ენერგეტიკოსების ვარაუდით, შემდგომ 10-15 წელიწადში შესაძლებელია კიდევ 30%-იანი კლების მიღწევა განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებით.

ეკონომისტები სთავაზობენ კაცობრიობას ნახშირორჟანგის ემისიების შემცირების თავის გზებს. ერთ-ერთი შესაძლო მიდგომაა თანდათანობით გაუქმდეს სამთავრობო სუბსიდიები წიაღისეული საწვავის მოპოვებისთვის და მოხდეს სპეციალური „ნახშირბადის გადასახადის“ შემოღება მათი, და ასევე ჰაერის სხვა დამაბინძურებლების, გამოყენებისთვის. იმისთვის, რომ ეს მიდგომა პოლიტიკურად განხორციელებადი იყოს, ეკონომისტების რჩევაა ასეთი გადასახადის განონასწორება სხვა გადასახადების, მაგალითად სამემოსავლო გადასახადის შემცირებით.

იდეალურ შემთხვევაში, ასეთი გადასახადის შემოღებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ენერჯის უფრო რაციონალურ გამოყენებას და გადასვლას განახლებადი ენერჯის წყაროებზე. ეკონომისტების არგუმენტია, რომ ეს გადასახადი ეფუძნება პრინციპს „დამაბინძურებელი იხდის“ და აიძულებს მრეწველობას და მომხმარებლებს უშუალოდ გადაიხადონ მათ მიერ გამოყენებული საწვავის სრული ეკოლოგიური საფასური.

ტყის ჭრის შემცირება და უფრო მდგრად სოფლის მეურნეობაზე გადასვლა თავისთავად უმნიშვნელოვანესია ნახშირორჟანგის ემისიების შემცირებაში და ბიომრავალფეროვნების დაცვაში. გლობალური დათბობის შესაჩერებლად აუცილებელია განხორციელდეს მსოფლიო მასშტაბით ტყის აღდგენის პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს აგრეთვე, ნიადაგის ეროზიის, წყლის დაბინძურების და ბიომრავალფეროვნების განადგურების საფრთხის შემცირებას.

კლიმატის ცვლილების სამთავრობოთამორისო ჯგუფის მონაცემების თანახმად, არსებული ტყეების დაცვით, განადგურებული ტყეების აღდგენაზე მიმართული ინტენსიური მუშაობით, კომერციული ტყეების მართვის გაუმჯობესებით და ხე-ტყის უფრო რაციონალური გამოყენებით შესაძლებელია მოვახდინოთ 2050 წლისთვის ატმოსფეროში გამოყოფილი ნახშირორჟანგის დაახლოებით 15%-ის კომპენსირება. კვლევები აჩვენებს, რომ ეს იქნება შედარებით იაფი გზა ატმოსფეროში ნახშირორჟანგის კონცენტრაციის დროებითი სტაბილიზაციისთვის.

7.8 კლიმატის ცვლილების შედეგებისადმი ადაპტაცია

კლიმატის ცვლილების შედეგების თავიდან ასაცილებლად, კლიმატის ცვლილების კონვენცია ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების მავნე შედეგებისადმი ადაპტაციის მიმართულებით მუშაობასაც. ეს გულისხმობს შეცვლილი გარემო პირობებისადმი ბუნებრივი სისტემების ადაპტირების უნარის გაძლიერებას - კლიმატის ცვლილების მავნე შედეგების ნეიტრალიზებისათვის ღონისძიებების გატარებას .

კლიმატის ცვლილების მავნე ზემოქმედება იმდენად მრავალმხრივი და ზოგჯერ, იმდენად მკვეთრია, რომ ბუნებრივი ადაპტირების უნარი შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს დარღვეული წონასწორობის აღდგენად და ესა თუ ის სისტემა (ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური) მოწყვლადი აღმოჩნდეს მოცემული ზემოქმედების მიმართ. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება კონკრეტული საადაპტაციო ღონისძიებების გატარება, რომელთა შინაარსი და მასშტაბები განისაზღვრება კონკრეტული ქვეყნის და პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე და რომლებიც ხორციელდება ეროვნულ, რეგიონულ ან თემის დონეზე.

ადაპტაციას მჭიდროდ უკავშირდება მოწყვლადობის ცნება. ზოგადად, ადაპტაციის აუცილებლობა იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ესა თუ ის სისტემა (ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური) ამჟღავნებს მგრძობიარობას გარემო პირობების შეცვლისადმი. ეს მგრძობიარობა აისახება სისტემის ზოგიერთი ან ყველა პარამეტრის მნიშვნელოვან ცვლილებაში. როგორც წესი, სისტემებს აქვთ ბუნებრივი ადაპტაციის უნარი, რაც გულისხმობს სისტემის პარამეტრების გადანაცობას ისე, რომ აღდგეს დარღვეული წონასწორობა ან ჩამოყალიბდეს ახალი სახის წონასწორობის მდგომარეობა, ისე, რომ სისტემამ არ განიცადოს რღვევა. როდესაც ბუნებრივი ადაპტაციის უნარი არ არის საკმარისი ამ ამოცანის გადასატარებლად, მაშინ ითვლება, რომ სისტემა მოწყვლადია მოცემული ცვლილებების მიმართ.

კლიმატის ცვლილების პროცესის სწრაფმა ტემპმა ბოლო ხანებში კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შესძინა ადაპტაციის მიმართულებას კონვენციით გათვალისწინებულ საქმიანობებს შორის. საადაპტაციო ღონისძიებების განხორციელებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოწყვლადი ქვეყნებისათვის (ოკეანიის ქვეყნები, ზღვისპირა ქვეყნები) კლიმატის ცვლილების მავნე შედეგებთან გასამკლავებლად. განვითარებადი ქვეყნები საჭიროებენ საერთაშორისო დახმარებას საადაპტაციო ღონისძიებების გასატარებლად.

კონვენცია ავალდებულებს ქვეყნებს მოემზადონ კლიმატის ცვლილებისადმი სათანადო ადაპტაციისათვის და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები კლიმატის ცვლილების მავნე შედეგებთან დაკავშირებული დაფინანსების, დაზღვევისა და ტექნოლოგიების გადაცემის მიმართულებით. ამასთან, განვითარებული ქვეყნები უნდა დაეხმარონ განვითარებად ქვეყნებს ადაპტაციის ხარჯების დაფარვაში. ადაპტაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება კონვენციის ფინანსური მექანიზმის მეშვეობით, გლობალური გარემოს დაცვის ფონდის დახმარებით. ამ მიმართულებით არსებული ფონდები მოიცავს ტრასტულ ფონდს (კონვენციისადმი ეროვნული შეტყობინებების ფარგლებში მოწყვლადობისა და ადაპტაციის შესაფასებლად); სუსტად განვითარებული ქვეყნების ფონდს და სპეციალურ კლიმატის ცვლილების ფონდს.

7.9 კლიმატის ცვლილება – მითი თუ რეალობა

თუმცა საზოგადოების მიდგომა კლიმატის ცვლილებისადმი, მსოფლიოში ერთგვაროვანი არ არის. მეცნიერებსა და ეკონომისტებს შორის შეიძლება გამოვყოთ სამი ჯგუფი, რომლებსაც განსხვავებული შეხედულებები აქვთ გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით.

პირველი ჯგუფის შეხედულებაა, რომ გლობალური დათბობა არ არსებობს, ან არ წარმოადგებს საშიშროებას, ზოგიერთი პოპულარული ჟურნალისტი, რომელიც ამ ჯგუფს ემხრობა, იმასაც კი წერს, რომ გლობალური დათბობა მთლიანად მისტიფიკაციაა.

მეორე ჯგუფის პოზიციაა, რომ ვაცობრიობამ ჯერჯერობით უნდა აირჩიოს მოცდის და დაკვირვების გზა, სანამ უკეთესად არ იქნება შესწავლილი კლიმატის ცვლილების თემა და რომ არ აქვს აზრი დაიხარჯოს უზარმაზარი თანხები იმაზე, რომ გამოიძებნოს წიაღისეული საწვავის შემცველები, ტყის ჭრა შეიცვალოს ტყის გაშენებით და განხორციელდეს სხვა ძვირადღირებული ღონისძიებები, რომელთა საჭიროება, შეიძლება, სულაც არ არსებობს.

მესამე ჯგუფის პოზიციაა, რომ კვლევები მაინც არ მოგვცემს საბოლოო პასუხს გლობალური დათბობის არსებობა-არარსებობის თაობაზე, ვინაიდან ჰავასთან დაკავშირებული საკითხები მეტად რთულია, ხოლო იმ დროს, როდესაც გლობალური დათბობის ნიშნები შეგვეძლება უტყუარ მტკიცებულებად ჩავთვალოთ, პროცესი შეიძლება უკვე შეუქცევადი გახდეს და ზომების მიღება დაგვიანებული იქნება. ამიტომ ამ პოზიციაზე მყოფი მეცნიერების და ეკონომისტების რეკომენდაციაა გატარდეს გარკვეული პრევენციული პოლიტიკა .

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფს უფრო და უფრო მეტად ემხრობიან მსხვილი სადაზღვევო ბიზნესის წარმომადგენლები. სადაზღვევო კომპანიები უკვე ნახულობენ გარკვეულ ნაგებს ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ასეთი კატასტროფების სიხშირე და ინტენსიურობა

კი მატულობს. სადაზღვევო კომპანიები იძულებულნი არიან, აწიონ ფასები ზოგიერთი სახის მომსახურებაზე, რაც შეეხება სანაპირო ზოლებში განლაგებულ უძრავ ქონებას, მის დაზღვევაზე ზოგიერთმა კომპანიამ მოსალოდნელია მომავალში საერთოდ თქვას უარი. ამჟამად ზოგიერთი მსხვილი სადაზღვევო კომპანიის ხელმძღვანელები ლობირებას ახდენენ თავის მთავრობებთან, რათა მათ მიიღონ უფრო აქტიური ზომები მოსალოდნელი გლობალური დათბობის შესაჩერებლად.

7.10 შტერნის ანგარიში

2006 წელს, ლონდონის ეკონომიკური სკოლის, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს გრანთემის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის თავჯდომარემ, ეკონომისტმა ნიკოლას შტერნმა გამოაქვეყნა 700 გვერდიანი ანგარიში, რომელიც მიმოიხილავდა კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას მსოფლიო ეკონომიკაზე და განიხილავდა მას, როგორც ეკონომიკური განვითარების ყველაზე დიდ გამონწვევას. ანგარიშის მთავარი დასკვნა არის ის რომ რაც უფრო ადრე მოხდება ინვესტირება კლიმატის ცვლილების გამონწვევების აღმოსაფხვრელად, მით უფრო ნაკლები იქნება საბოლოო დანახარჯი და სარგებელი მსოფლიოსთვის. ანგარიშის თანახმად, ქმედების გარეშე, კლიმატის ცვლილების ყოველწლიური დანახარჯი სულ ცოტა მსოფლიო მშპ-ს 5%-ი დაჯდება. რისკებისა და ზემოქმედების ფართო სპექტრის გათვალისწინებით შესაძლებელია რომ ეს ციფრი 20%-მდე გაიზარდოს. შტერნის გათვლებით, თუ გაგრძელდება ე.წ. ჩვეულებრივი ბიზნესის მოდელი ამ შემთხვევაში, ტემპერატურის ზრდა 5-6 გრადუსი ცელსიუსით შესაძლებელია გაიზარდოს 2100 წლამდე.

მიმოხილვის თანახმად, კლიმატის ცვლილების ყველაზე ცუდი შედეგების ასაცილებლად ყოველწლიურად დაახლოებით, 1%-ი გლობალური მშპ-ს ინვესტიციაა საჭირო. 2008 წელს, განახლებული ანგარიშის თანახმად, იმისთვის, რომ მივაღწიოთ 500 და 550 ppm ნახშიროჟანგის ის სტაბილიზაციას ატმოსფეროში საჭიროა 2% of GDP ინვესტიცია, ვინაიდან კლიმატის ცვლილების პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

8. საქართველოს გარემოსდაცვითი პრობლემები და გამოწვევები

8.1 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

გარემოს დაცვისა და განვითარების კომისიის ანგარიშში გარემოსდაცვითი პრობლემებისა და უსაფრთხოების კავშირი პირველად 1987 წელს გამოიკვეთა: „კაცობრიობას ორი ძირითადი საფრთხე ემუქრება. პირველი, ეს არის ატომური იარაღის გამოყენება - იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში ეს პერსპექტივა აღარ იარსებებს და მეორე საფრთხე, მსოფლიოს გარემოს დეგრადაცია და ეს არ არის მომავლის პერსპექტივა, ეს ფაქტია დღეს“.

გაეროს 42-ე გენერალურმა ასამბლეამ ოფიციალურად შემოიტანა უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად, მსოფლიოში არსებული გლობალური საფრთხეებიდან, რომელიც მნიშვნელოვნად ემუქრება საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის გარემოს დეგრადაცია და მისი თანამდევი პრობლემები.

2004 წელს, გაერთიანებული ერების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში „უფრო უსაფრთხო მსოფლიო: ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა“ ხაზი გაესვა იმას, რომ აუცილებელია პრობლემათა გადაჭრისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება. მსოფლიო ჯერ კიდევ არ არის მზად შეხედოს განვითარების პრობლემებს ინტეგრირებულად და თანმიმდევრულად. სიღარიბესთან, გადამდებ დაავადებებსა და გარემოს დეგრადაციასთან ბრძოლა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. მაგ. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე დაახლოებით 2 მილიარდმა ადამიანმა განიცადა ბუნებრივი კატასტროფების ზეგავლენა, ხოლო ამ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად წარმოშობილმა ეკონომიკურმა ზარალმა გადააჭარბა წინა ოთხი ათეული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. პროგნოზების თანახმად კლიმატის ცვლილება კიდევ უფრო გაამძაფრებს როგორც ბუნებრივი კატასტროფების სიხშირესა და სიმძიმეს, ასევე საკმაოდ უარყოფითი ზეგავლენა ექნება როგორც სიღარიბის, ასევე გადამდები დაავადების ზრდაზე. საჭიროა პრობლემათა გადაჭრის ინტეგრირებული გზების ძიება.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ბევრ ქვეყანაში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგში კვლავაც პრობლემატურია. გადამწყვეტილების მიმღებთა ფრაგმენტულ ქმედებებს, გარემოსდაცვით რისკებსა და უსაფრთხოების პრობლემებს შორის კავშირების უგულვებელყოფას სამოქალაქო კონფლიქტებისა და დაძაბულობის ესკალიაციამდე, ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების კატალიზირებამდე, სოციალური და ბუნებრივი გარემოს შეუქცევად დეგრადაციამდე, ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესებისა და სხვა უარყოფით ზემოქმედებამდე მივყავართ.

დღევანდელი თვალსაზრისით, გარემოსდაცვითი უსაფრთხოება განსაზღვრავს ქვეყნის და საზოგადოების უნარს გადაიტანოს და/ან წინ აღუდგეს გარემოსდაცვითი რესურსების სიმწირეს, შეუქცევად გარემოსდაცვით ცვლილებებს ან ბუნებრივი რესურსების გამო წარმოშობილ დაძაბულობასა და კონფლიქტებს.

გარემოს დეგრადაციამ და ბუნებრივი რესურსების და ეკოსისტემების არარაციონალურმა მოხმარებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას თემებსა და ერებს. ხოლო კონკურენცია სწრაფად ამოწურვად რესურსებზე, როგორცაა ტყეები, მტკნარი წყალი, ნაყოფიერი ნიადაგები, კლიმატის ცვლილების ზეგავლენა და ადამიანთა მიგრაცია საფრთხეს უქმნის სტაბილურობასა და მშვიდობას. ტრანსასაზღვრო დაბინძურება და/ან გარემოსდაცვითი ავარიები და კატასტროფები ხშირად უარყოფითად მოქმედებს მეზობელ სახელმწიფოებზე. თუმცა, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას ნამოჭრილმა პრობლემებმა ასევე შეიძლება გააერთიანოს ადამიანები და თემები, რათა ერთობლივად გამოასწორონ ბუნებრივი რესურსების მართვა. შესაბამისად, თანამშრომლობა გარემოს დაცვის კუთხით შეიძლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდეს კონფლიქტების პრევენციასა და ერებსა და თემებს შორის მშვიდობის დამყარებაში.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო), გაეროს ადამიანის განვითარების პროგრამამ და გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ 2003 წელს დააარსეს გარემო და უსაფრთხოების ინიციატივა (ENVSEC). სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში 2004 წლიდან ამოქმედდა ENVSEC პროგრამა.

სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების ორი კატეგორიის პრობლემას ვხვდებით, ეს არის არსებული კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში (საქართველო), კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღში და მასთან დაკავშირებული ასობით ათასი დევნილი და კონფლიქტების მაღალი რისკი ჩრდილოეთ კავკასიაში. ხოლო პრობლემების მეორე კატეგორია დაკავშირებულია ახალ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ რეალობასთან, რამაც შეიძლება გააძლიეროს და გამოიწვიოს ახალი კონფლიქტები როგორც ქვეყნებში, ასევე ქვეყნებს შორის.

გარემოს დაცვა და უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ამ რეგიონში. ერთის მხრივ, არ არსებობს ინფორმაცია კონფლიქტის ზონებში არსებულ გარემოსდაცვით მდგომარეობაზე, რამაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს სამშვიდობო პროცესებზე. მეორეს მხრივ, სწორი რეგულირების გარეშე ეკონომიკური პროცესების კატალიზირებამ შესაძლოა გაზარდოს დაძაბულობა გაზრდილი დაბინძურების, ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის გამო, როგორცაა სუფთა წყალი, ნიადაგი და სასიცოცხლო სივრცე. და როგორც წესი გაზრდილი გარემოსდაცვითი რისკების შედეგად იზრდება სოციალური პოლარიზაცია (სიღარიბისა და უთანასწორობის ზრდა) და შიდა პოლიტიკური ბრძოლა უფრო დაუნდობელი ხდება.

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვალსაზრისით ტერიტორიულ პრინციპთან მიმართებაში ENVSEC პრიორიტეტულად გამოყოფს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, აგრეთვე ქვემო ქართლის რეგიონს, მტკვრისა და ხრამი-დებედას აუზს (სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვართან). სამწუხაროდ, ინფორმაცია კონფლიქტურ ტერიტორიებზე არსებული გარემოსდაცვითი მდგომარეობის შესახებ პრაქტიკულად არ არსებობს, ხოლო ხელმისაწვდომი ინფორმაცია არ გვითხვებს ოპტიმიზმის საფუძველს.

გარდა კონფლიქტური ტერიტორიების გარემოს დეგრადაციისა და ინფორმაციის არ არსებობისა, ENVSEC პროგრამა პრიორიტეტულად გამოყოფს სამხრეთ კავკასიისთვის შემდეგ ტიპის რისკებს:

- ტრანსსაზღვრო გარემოსდაცვითი რისკების მართვა: ტრანსსაზღვრო წყლის რესურსები, ბუნებრივი კატასტროფები, საბჭოთა კავშირის სამრეწველო და სამხედრო მემკვიდრეობა;
- დედაქალაქის და სხვა მთავარი ქალაქების სწრაფი განვითარება და მოსახლეობის ზრდა.

საქართველოსთვის სპეციფიური რისკები მოიცავს: ჰაერის დაბინძურებას ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით; ნიადაგისა და წყლის დაბინძურებას; მინერალების ღია კარიერული წესით მოპოვებას; წყლის და კანალიზაციის გაუმართავი სისტემების არსებობას, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანების ჯანმრთელობას. პრობლემურ საკითხებს შორის გამოყოფილია აგრეთვე თურქეთის მიერ მდ.ჯორჯისზე ჰესების მშენებლობა, რაც იწვევს შავი ზღვის სანაპიროს წარეცხვასა და ეროზიას, საძოვრების დეგრადაციასა და ტყეების გამეჩხერიანებისა, მდ. მტკვრის დაბინძურებას. საბჭოთა მემკვიდრეობიდან დარჩენილია: ნიადაგების დეგრადაცია და ეროზია, დაბინძურება პესტიციდებით და მძიმე მეტალებით, საშიში ქიმიური და რადიოაქტიური ნივთიერებები ყოფილი სამხედრო ბაზებიდან.

8.2 საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია ეროვნული ინტერესების განუყოფელ ნაწილად განიხილავს „საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას“, რაც ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია. დოკუმენტის თანახმად, „საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების დაცვა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირების, გარემოს დაბინძურების, ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი კრიზისების პრევენციის გზით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, მიწისძვრა, ასევე სამრეწველო ავარიების პრევენციას და სხვა“. ამასთან, დოკუმენტი მართებულიად აღნიშნავს, რომ „გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან. საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელებისას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურ უსაფრთხოებას“.

დოკუმენტში სწორედაა გამოკვეთილი, რომ არსებულ გარემოსდაცვით პრობლემებს - „ბუნებრივი პროცესებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ კრიზისებს შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს ბუნებრივ გარემოს, ბიომრავალფეროვნებას და მისი მოქალაქეების კეთილდღეობას“.

თუმცა, სამწუხაროა, რომ არსებულ გამონკვევებში ხაზგასმულია მხოლოდ ის მიანი, რომელსაც რუსეთის ფედერაცია აყენებს აფხაზეთს სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებასთან დაკავშირებით. მათ შორის შავი ზღვის ეროზიას და ტყეების გამეჩხერიანებას, რაც შეიძლება მოჰყვეს აფხაზეთში სამშენებლო მასალებისა და ხე-ტყის უკანონო მოპოვებას და რუსეთის ფედერაციაში გატანას. ეს განხილულია მთავარ პრობლემად, რომელიც „მთელ ქვეყანას უქმნის საფრთხეს“.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთსა და ოსეთში ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანი პრობლემაა, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მსგავსი პრობლემები იშვიათობას არ წარმოადგენს და ასევე საფრთხეს უქმნის ქვეყნის მოსახლეობას.

მართალია, საქართველოს შემთხვევაში კავშირი კონფლიქტსა და გარემოს შორის არაპირდაპირია, რადგანაც კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებული, თუმცა მას აქვს უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე ტყეების გამეჩხერიანების, ნიადაგების დეგრადაციისა და უკონტროლო საშიში ნივთიერებების არსებობის გამო. ამასთან სამხრეთ ოსეთში თუმცა, წყალთან და სახნავ მიწასთან დაკავშირებული კონფლიქტები მხოლოდ ამწვავებენ სიტუაციას კონფლიქტის მხარეებს შორის.

8.3 წყლის რესურსები

ზედაპირული წყლების ხარისხის არასრულყოფილი მონიტორინგის გამო, მონაცემები ზედაპირული წყლების მდგომარეობის შესახებ მწირია. საქართველოში დღეს ფიზიკურ-ქიმიური ხარისხობრივი ელემენტების ყოველთვიური მონიტორინგი მხოლოდ 22 მდინარეზე წარმოებს; მაშინ, როდესაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მსგავსი დაკვირვებები 72 მდინარეზე მიმდინარეობდა. სულ საშუალოდ 33 ელემენტის მონიტორინგი წარმოებს; არ იზომება ორგანული ნივთიერებების დიდი ნაწილი. ჰიდროლოგიური დაკვირვება წარსულში არსებული 150 სადგურიდან 29-ზე მიმდინარეობს. 7 სადგურის გარდა, რომელთა რეაბილიტაცია და აღჭურვა ახლახანს განხორციელდა, სადგურები არ არის სათანადოდ აღჭურვილი. ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგი მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს.

მონიტორინგის არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში წყლის დაბინძურების ძირითადი წყაროა მუნიციპალური ჩამდინარე წყლები. საქართველოში ამჟამად არსებული თითქმის ყველა გამწმენდი ნაგებობა მწყობრიდან გამოსულია და არ ფუნქციონირებს. ამჟამად, ფუნქციონირებს ერთი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, ხოლო მეორე, გარდაბანში არსებული გამწმენდი ნაგებობა, რომელიც თბილისიდან და რუსთავიდან ტრანსპორტირებული მუნიციპალური ჩამდინარე წყლების განმწმენდას ემსახურება, უზრუნველყოფს მხოლოდ პირველად, მექანიკურ განმწმენდას. გარდა ამისა, ჩამდინარე წყლების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ არ უერთდება შეგროვების სისტემას და პირდაპირ ჩაედინება მდინარე მტკვარში. გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის სანებართვო პირობებით გათვალისწინებულია მისი სრული რეაბილიტაცია 2018 წლამდე. თუმცა, ჯერჯერობით, სარეაბილიტაციო სამუშაოები არ დაწყებულა.

სამრეწველო სექტორებიდან ზედაპირული წყლების ხარისხზე განსაკუთრებით ზეგავლენას ახდენს: სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, ნავთობის გადამუშავება და კვების მრეწველობა. დაბინძურების სხვა წყაროებია: ნაგავსაყრდენები, ნარჩენების არალეგალური განთავსება და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები. გამოკვლეული მდინარეების უმრავლესობაში აღინიშნება ამონიუმის და ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარების მაღალი მაჩვენებლები, ხოლო ცალკეული მდინარეების ზოგიერთ მონაკვეთზე მძიმე ლითონების კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ ნორმებს აჭარბებს [3]. მძიმე ლითონებით დაბინძურების შემთხვევები აღინიშნება მდინარეებში ყვირილასა (მანგანუმი) და მაშავერაში (სპილენძი). არსებობს ინფორმაცია მდინარეების ლუხუნისწყალისა და ცხენისწყალის დარიშხანით დაბინძურების შესახებ, თუმცა ამ დაბინძურების მონიტორინგი დღესდღეობით არ წარმოებს.

მდ. ყვირილას დაბინძურებას მანგანუმის იონებით მანგანუმის მოპოვება იწვევს. 2009 წლის იანვარში, მაგალითად, ქ. ჭიათურის შესასვლელთან, მდ. ყვირილას წყალში მანგანუმის იონების შემცველობა 39-ჯერ აღემატებოდა მანგანუმის იონის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია წყლებში. მოპოვების ადგილიდან დაწყებული მდინარის ქვემო წელი და მისი მომიჯნავე მიწები მთლიანად დაბინძურებულია იმ ნიშნულამდე, სადაც განზავება ხდება. საწარმოო დაბინძურება განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ მდინარე თავის მხრივ რეცხავს მადნიან ჰორიზონტებს და მასში ბუნებრივად მომატებულია მანგანუმის იონების შემცველობა.

გარემოსთვის დიდი ზიანის მომტანია, აგრეთვე, ბოლნისის ჯგუფის პოლიმეტალური საბადოების მადნების მოპოვებასთან დაკავშირებული საქმიანობა. აქ მადნის მოპოვება ღია კარიერული წესით ხდება. კარიერზე წარმოებს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები, რასაც ემატება კარიერის ტერასებზე და კარიერზე მისასვლელ გზებზე ავტოთვიმცლელელების აქტიური ორმხრივი მოძრაობა, რაც ჰაერში მტვრისა და სხვა დამბინძურებელი ნივთიერებების მნიშვნელოვან გაფრქვევას იწვევს. ჰაერში მოხვედრილი მავნე ნივთიერებების გადატანა ემისიის ცენტრიდან დიდ მანძილზე ხდება. ატმოსფერული ნალექების ზეგავლენით ამ მტვრიდან გამოტუტული მძიმე ლითონების გარემოში მოხვედრა სერიოზულ ზიანს აყენებს ნიადაგსა და გრუნტის წყლებს. მოპოვებითი სამუშაოების გარდა, გარემოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნედლეულის გადამუშავებასთან დაკავშირებული პროცესები, რაც აისახა, მაგალითად, მდ. კაზრეთულას მდგომარეობაზე, რომელიც წლების განმავლობაში ბინძურდება ბოლნისის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს საქმიანობის შედეგად. აგრეთვე ნაწილობრივია დაბინძურებული მდ. მაშავერაც. ფაბრიკის ფუჭი ქანის საყარის და გამოსატუტი გროვების განთავსების ტერიტორიაც დაბინძურებულია მძიმე ლითონების იონებით (ძირითადად, სპილენძი, თუთია, რკინა, ასევე, სულფატის იონები).

მდინარეების ლუხუნისწყალისა და ცხენისწყალის დარიშხანით დაბინძურების მიზეზს წარმოადგენს საბჭოთა პერიოდში (1933-1997 წ.წ.) ამბროლაურის რაიონის სოფ. ურავში და ლენტეხის რაიონის სოფ. ცანაში დარიშხანის მოპოვება და მისი გადამამუშავებელი საწარმოები. ამ საქმიანობათა შედეგად წლების მანძილზე მოგროვდა დარიშხანის შემცველი ასობით ტონა ნარჩენი, რომელიც საწარმოების მიმდებარე ტერიტორიაზე აკუმულირდებოდა. დღესდღეობით დარიშხანის მოპოვება შეჩერებულია, აღნიშნული საწარმოები მთლიანად განადგურებულია და ნარჩენები მიმოფანტულია ურავში დაახლოებით 20 ჰა-ზე, ცანაში კი - 4-5 ჰა ტერიტორიაზე.

რაც შეეხება მიწისქვეშა წყლებს, 1990 წლის შემდეგ მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი საქართველოში შეწყდა და ამდენად, უახლესი მონაცემები მიწისქვეშა წყლების ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ არ არსებობს. 2000 წელს ჩატარდა 1970-1990 წლების მონიტორინგული კვლევების მასალების ანალიზი. ანალიზმა აჩვენა, რომ მიწისქვეშა წყლებმა განიცადეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები, გაუარესების თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის მიერ სასმელად მოხმარებული მიწისქვეშა წყლების ხარისხი არ პასუხობდა სასმელი წყლისადმი სახელმწიფო სტანდარტებით წაყენებულ მოთხოვნებს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში ქალაქის მოსახლეობის 5%-ი და სოფლის მოსახლეობის 65%-ი სასმელ წყალს დამოუკიდებლად მოიპოვებს და ამისათვის, ძირითადად, მიწისქვეშა წყლებს იყენებს.

საქართველოში სარეკრეაციო წყლები იგივე რეგულაციებს ექვემდებარება, რასაც ზოგადად, ზედაპირული წყლები. არ არის განსაზღვრული მოთხოვნები სარეკრეაციო წყლების ხარისხის მართვისთვის საბანაო სეზონის განმავლობაში. მიკრობიოლოგიური მონიტორინგი საქართველოში მხოლოდ ზოგიერთ სარეკრეაციო წყლის ობიექტზე ხორციელდება. მით უფრო, არ ხდება სარეკრეაციო წყლების მდგომარეობის შეფასება და კლასიფიცირება წყლის ხარისხის მიხედვით. შესაბამისად, არ ხდება ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება სარეკრეაციო წყლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სადაც ეს საჭიროა. კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებს საზოგადოების ინფორმირებას სარეკრეაციო წყლების ხარისხის, დაბინძურების ხასიათის, მიზეზების და ხანგრძლივობის, შესაძლო საფრთხეების და გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ზოგადად, საქართველოს წყლის შესახებ კანონმდებლობა ფრაგმენტული და წინააღმდეგობრივია. იგი არ შეიცავს დაბინძურებისა და წყლის ჭარბი მოხმარების პრევენციის ეფექტურ მექანიზმებს და არ იძლევა წყლის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბების წინაპირობას.

წყლის მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები გაბნეულია სხვადასხვა უწყებებს შორის სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე, თუმცა, წყლის მართვა, ძირითადად, ცენტრალიზებულია. წყლის მართვის სფეროში ფუნქციები და პასუხისმგებლობები ყოველთვის არ არის მკაფიოდ განერილი, ხშირია ურთიერთგადაფარვებიც. ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა წყლის მართვის სხვადასხვა ასპექტის გადატანას ერთი უწყებიდან მეორეში. უფრო მეტიც, გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ 2011 წლის მარტში, როდესაც ბუნებრივი რესურსების მართვა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენციაში გადავიდა, ბუნდოვანი გახდა წყლის, როგორც ბუნებრივი რესურსის მართვის ბედი.

მომავალში, ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, სავარაუდოდ, წყლის რესურსებით სარგებლობის პროცესები გააქტიურდება როგორც წყალადების, ისე წყალჩაშვების თვალსაზრისით. კერძოდ, დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების ქსელის გაფართოება, მზარდი ტურიზმის ინდუსტრია, წყალმომარაგების ქსელების და ირიგაციის სისტემების გაუმჯობესება გამოიწვევს წყალზე მოთხოვნის და წყლის ობიექტებზე ზეგავლენის ზრდას. ამდენად, საჭირო იქნება ეფექტიანი მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება.

8.4 ატმოსფერული ჰაერი

საქართველოში ატმოსფერული ჰაერი, ძირითადად, ბინძურდება ავტოტრანსპორტიდან, სამრეწველო და ენერგეტიკული ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით. ამათგან, ძირითადი ურბანული დამბინძურებელია ავტოტრანსპორტი. არსებული მონიტორინგის მონაცემების მიხედვით, ყველა იმ ქალაქში, სადაც სადამკვირვებლო ჯიხურია განთავსებული აღინიშნება ე. წ. „ძირითადი დამბინძურებლები“ (SO₂, NO₂, CO, ზესტაფონში - MnO₂) კონცენტრაციების გადაჭარბება მათ დასაშვებ მნიშვნელობებზე. გასათვალისწინებელია, რომ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის შესაძლებლობები ამჟამად მეტად შეზღუდულია; დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებს ხუთ ქალაქში: თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ზესტაფონსა და ბათუმში. ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვების პუნქტების სიმცირე და სინჯების ლაბორატორიული ანალიზის სფეროში არსებული პრობლემები არ იძლევა საშუალებას, შეიქმნას დამაკმაყოფილებელი სურათი საქართველოს დასახლებულ პუნქტებში ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სატრანსპორტო სექტორიდან დამაბინძურებელ ნივთიერებათა დიდი გაფრქვევები რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: 1. ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა გაორმაგდა; დღეს საქართველოში ყოველ 100 კაცზე 12 მსუბუქი ავტომობილი მოდის; 2. ქვეყანაში არსებული საავტომობილო პარკის უდიდესი ნაწილი მოძველებულია; 3. ქვეყანაში ამჟამად გამოყენებული საწვავის პირობებში გამონაბოლქვის გამწმენდი მოწყობილობა (კონვერტერი), სწრაფად გამოდის მწყობრიდან, რის გამოც გაფრქვევები რამდენჯერმე იზრდება; 4. საქართველოს ზოგიერთ ქალაქში არასაკმარისად

ფუნქციონირებს სატრანსპორტო ნაკადების ოპტიმიზაციის სისტემები. შედეგად ხშირია საცობები, რის გამოც ავტომობილების ძრავები მაღალი გაფრქვევის რეჟიმში მუშაობს.

გარდა აღნიშნულისა, არსებულ ვითარებას განაპირობებს მოძრავი წყაროებიდან გაფრქვევების სუსტი სამართლებრივი რეგულირება. საქართველოს კანონმდებლობა ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გაფრქვევების შეზღუდვისთვის ორ მიდგომას ითვალისწინებს: საავტომობილო საწვავის ხარისხის ნორმების დადგენას და ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ნორმების დადგენას. ამჟამად, ამ მიდგომებიდან არცერთი არ ფუნქციონირებს: 2004 წელს მიღებული აქტის ამოქმედება, რომელიც ადგენს საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივ ნორმებს, მიღებიდან დღემდე შვიდჯერ გადავადდა. ამჟამად მოქმედი ნორმების მიხედვით, საავტომობილო ბენზინზე ახალი სტანდარტი უნდა დაინერგოს 2012 წლიდან. ამ სტანდარტმა გარკვეულწილად უნდა შეზღუდოს ქვეყანაში მოხმარებულ ბენზინში ტყვიის, გოგირდის, არომატული ნახშირწყალბადებისა და ბენზოლის შემცველობა. საავტომობილო ბენზინის ხარისხის ნორმის შემდგომი გამკაცრება გათვალისწინებულია 2014 წლიდან. რაც შეეხება დიზელის საწვავს, ამ საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირება გათვალისწინებული 2014 წლიდან.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ნორმების შემთხვევაში, ვითარება უფრო რთულია. კანონმდებლობით გათვალისწინებული, ამ სფეროში მისაღები ნორმატიული აქტებიდან დღემდე არცერთი არ არის შემუშავებული და მიღებული. 2011 წელს მიღებული ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის გამონაბოლქვებში ნახშირჟანგის მაქსიმალურ დასაშვებ ოდენობებს და ტესტირების მეთოდებს, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების უმრავლესობისათვის ამოქმედდება მხოლოდ 2013 წლის 1 იანვრიდან.

2004 წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით, ყოველწლიური ტექდათვალიერება ნებაყოფლობითი გახდა მსუბუქი ავტომობილებისთვის. სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება შეჩერებულია 2014 წლამდე.

ეკონომიკური ინსტრუმენტებიდან დღეისათვის საქართველოში მოქმედებს იმპორტირებულ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი ავტომობილის ხნოვანების და ძრავის მოცულობის მიხედვით. რაც უფრო “ახალგაზრდაა” ავტომანქანა, გადასახადი მით მეტია, რაც სტიმულს აძლევს უფრო მოძველებული (7-14 წლის) ავტომანქანების იმპორტს.

სამრეწველო სექტორში ისტორიულად ძირითად დამაბინძურებელ წყაროდ ითვლებოდა ცემენტის წარმოება რუსთავსა და კასპში, ფეროშენადნობთა წარმოება ქ. ზესტაფონში, მეტალურგიული კომპლექსები რუსთავსა და ქუთაისში. ჰაერის ერთ-ერთ დამბინძურებელს წარმოადგენს ენერგეტიკის სექტორიც. თუმცა, იმის გამო, რომ საქართველოში, კერძოდ კი, გარდაბანში, მოქმედი სამი მსხვილი თბოელექტროსადგური საწვავად ძირითადად ბუნებრივ აირს მოიხმარს, მათ მიერ გამოწვეული დაბინძურება, მაღალი საკვამლე მიწების გამო, მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ ახდენს ჰაერის ხარისხის ფორმირებაზე.

გასათვალისწინებელია, რომ გაფრქვევის ნორმები ყოველი ცალკეული საწარმოო ობიექტისათვის იანგარიშება თავად მენარმე სუბიექტის მიერ და დასამტკიცებლად და ნებართვის მისაღებად წარედგინება გარემოს დაცვის სამინისტროს. მიდგომა არ მოითხოვს მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან იმის ცოდნას და ძალისხმევას, რომ მათ განსაზღვრონ, თუ რა მოწინავე ტექნოლოგიები შეიძლება იქნეს გამოყენებული მოცემულ სიტუაციაში დაბინძურების მაქსიმალურად შესაზღუდად.

გარდა აღნიშნულისა, კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად, გაფრქვევების გაზომვას, აღრიცხვას და მაკონტროლებელ ორგანოსთან ანგარიშგებასაც თავად მენარმე სუბიექტები ახორციელებენ. რადგან საქართველოს საწარმოების უმეტესობას არ გააჩნია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების გამომომი მონაცემები, ისინი, ძირითადად, გაფრქვევების რაოდენობას აფასებენ გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული გაანგარიშების მეთოდის გამოყენებით.

საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა განსაზღვრავს მის სატრანზიტო როლს კავკასიაში. დღესდღეობით ქვეყანაში აქტიურად ვითარდება სატრანზიტო ინფრასტრუქტურა: მიმდინარეობს სარკინიგზო ქსელის გაუმჯობესებისა და გაფართოვების სამუშაოები, შენდება ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალები. შესაბამისად, მომავალში მოსალოდნელია სატრანზიტო სატრანსპორტო ნაკადის და გადაზიდვათა ზრდა. შესაბამისი ზომების გატარების გარეშე, ამ პროცესის თანმდევი შედეგი იქნება ატმოსფერულ ჰაერში დამბინძურებელთა ემისიების ზრდა. მოსალოდნელია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება გაზრდის ადამიანთა როგორც საქმიან, ასევე სარეკრეაციო მობილურობას ქვეყნის შიგნით. თუკი ამ პროცესის პარალელურად არ მოხდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ადექვატური განვითარება, სწრაფად გაიზრდება კერძო მსუბუქი ავტომობილების რიცხვი. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პირობებში,

მოსალოდნელია, აგრეთვე, სამრეწველო სექტორის განვითარება და შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე გაფრქვევების მატება, რაც საწარმოო ობიექტების გარემოსდაცვითი რისკების საფუძვლიანი შეფასების და კანონდასრულების სათანადო კონტროლის უზრუნველყოფას მოითხოვს.

8.5 ნარჩენები და ქიმიური ნივთიერებები

საქართველოში ერთ-ერთ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს გარემოს დაბინძურება ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით. პრობლემა კომპლექსურია და მოიცავს გარემოს დაბინძურებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელებიდან, ასევე სახიფათო და აკუმულირებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

უკონტროლოდ დაყრილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების ძირითად მიზეზს ნარჩენების შეგროვების სისტემის მოშლა წარმოადგენს. ამჟამად საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული შეგროვება, ძირითადად, მხოლოდ მსხვილ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ხორციელდება. სოფლებში მოსახლეობა, როგორც წესი, ნარჩენებს უახლოეს ხევში, გზისპირას ან მდინარის ნაპირებზე ყრის. ეს ტერიტორიები არ სუფთავდება და შესაბამისად, მცირე ზომის უკონტროლო „ნაგავსაყრელები“ წარმოიქმნება.

საქართველოში დღეს არსებული 63 ოფიციალური მუნიციპალური ნაგავსაყრელების უმრავლესობას არ გააჩნია ნაგავსაყრელიდან გამოუთნილი წყლების შეგროვება-განმედიის სისტემა და წყალგაუმტარი ფუძე, რომელიც მიწისქვეშა წყლებს დაბინძურებისგან დაიცავდა. ნაგავსაყრელების ნაწილი მდინარეების ნაპირზე ან წყალგამტარ ხევებშია განთავსებული, რაც ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების საშიშროებას ქმნის. ნაგავსაყრელებზე სპონტანურად მიმდინარეობს ნარჩენების დაბალტემპერატურული ღია წვა, რაც იწვევს ჰაერში მავნე დაბინძურებლების, დიოქსინებისა და ფურანების გაფრქვევას.

საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე გარემოს დაბინძურება სახიფათო ნარჩენებით. გაუმჯობესებას საჭიროებს სამრეწველო, სამედიცინო, ვეტერინარული, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის, გადაზიდვისა და გაუვნებელყოფის ან გადამუშავება-განადგურების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა.

გარემო ასევე ბინძურდება სამთო-მოპოვებითი და გამამდიდრებელი წარმოებების აკუმულირებული ნარჩენებისა და შლამებისგან, რომელიც განთავსებულია ყოფილი საბჭოთა საწარმოების მიმდებარე ტერიტორიებზე. გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აგრეთვე ვადაგასული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატები, განსაკუთრებით პესტიციდები, რომელთა ნარჩენები საბჭოთა კავშირის დამლის შემდეგ დიდი რაოდენობით დარჩა ქვეყნის ტერიტორიაზე. 2700-მდე ტონა სახიფათო ქიმიკატი განთავსებულია სახიფათო ნარჩენების დაზიანებულ სამარხში, იალლუჯას მთაზე. დაახლოებით 230 ტონა ვადაგასული პესტიციდი ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დანგრეული საწყობების ტერიტორიებიდან მოგროვდა და დროებით განთავსდა იალლუჯის სამარხში. საჭიროა მათი შემდგომი გაუვნებელყოფა ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ქვეყანაში წარმოიქმნება სახიფათო ნარჩენები (პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ცარიელი ტარა, ბაზრიდან ამოღებული ვადაგასული და მოძველებული პესტიციდები). აუცილებელია აღნიშნული ნარჩენების გაუვნებელყოფის საკითხის გადანყვეტაც.

საქართველოში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ეროვნული პოლიტიკა და მიზნები ნარჩენების მართვის სფეროში. ნარჩენებთან დაკავშირებული კანონმდებლობა არასრული, ფრაგმენტულია და რიგ შემთხვევაში, მოძველებულია. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობისათვის უცხოა ნარჩენების პრევენციის დაკავშირება რესურსების დაზოგვასთან და ნარჩენების რესურსად განხილვა. ასევე არ არსებობს მწარმოებლის პასუხისმგებლობა ნარჩენების მიმართ ან წამახალისებელი მექანიზმები რესურსების დაზოგვის და ნაკლები ნარჩენის წარმოქმნისათვის.

ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებასთან ერთად მოსალოდნელია ნარჩენების მოცულობის ზრდა, რაც გამოიწვევს როგორც ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების, ისე უკვე წარმოქმნილი ნარჩენების სეპარაციისა და რეციკლირების საჭიროებას. მრეწველობის განვითარებამ სამრეწველო ქიმიური ნივთიერებების მოხმარებისა და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის მატება გამოიწვია.

8.6 ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები, ტყითსარგებლობა

ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედი ძირითადი საფრთხეებია: საბინადრო გარემოს განადგურება, დეგრადაცია და ფრაგმენტაცია; ჭარბი მოპოვება; უცხო სახეობების შემოყვანა; დაბინძურება და კლიმატის ცვლილება.

ჰაბიტატების რღვევისა და მზარდი, არარეგულირებული მოხმარების გამო, მცენარეების და ცხოველების მრავალი სახეობა გადაშენების ზღვარზეა მისული. მათ შორის, ცხოველთა 135 სახეობა და 4 ქვესახეობა და მცენარეთა 56 სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. ამასთან, საქართველოში გავრცელებულ ხერხემლიან ცხოველთა 44 სახეობა გლობალურად გადაშენების პირას მყოფია და შეტანილია IUCN-ის წითელ ნუსხაში, როგორც მოწყვლადი, გადაშენების პირას მყოფი ან გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა.

ინტენსიური ძოვება განიხილება ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რაც, ძირითადად, ეხება საქართველოს მაღალმთიანეთის სუბალპურ და ალპურ საძოვრებს და საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის არიდულ ეკოსისტემებს. აქ შინაური პირუტყვის დიდი რაოდენობა და მოუწესრიგებელი ძოვება იწვევს ნიადაგის ეროზიას, უარყოფითად მოქმედებს მცენარეული საფარის შემადგენლობასა და პროდუქტიულობაზე, ასევე ქმნის ინვაზიური მცენარეების გავრცელების პირობებს.

კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება უკანონო თევზჭერის და ნადირობის მაღალი დონე, არასრულყოფილი მონიტორინგის სისტემა, კვალიფიციური კადრების სიმწირე. მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს თევზისა და სანადირო სახეობების შეფასებისა და კვოტების დადგენის სისტემა. მონაცემთა სიმწირე მნიშვნელოვნად ართულებს კონკრეტული ღონისძიებების დასახვას, რომელთა გატარებაც აუცილებელია თევზჭერის და ნადირობის მდგრადი მართვისათვის.

საქართველოს ეკონომიკაში შექმნილმა სირთულეებმა და ბაზრების დაკარგვამ, აგრეთვე შავ ზღვაში თევზის რესურსების მკვეთრმა შემცირებამ, უარყოფითი ზემოქმედება იქონია თევზის მეურნეობის სექტორზე. მნიშვნელოვნად შემცირდა თევზჭერის მოცულობა შავ ზღვაში. მნიშვნელოვნადაა შემცირებული თევზის რესურსები საქართველოს შიდა წყალსატევებში, სადაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა თევზის ინვაზიური სახეობები. არ არის შეფასებული იქთიოფაუნის უმრავლესი სახეობების (ზუთხისებრთა და შავი ზღვის ორაგულის გარდა), მათ შორის, შიდა წყლებში გავრცელებული ენდემური ფორმების მდგომარეობა.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ეფექტურ ინსტრუმენტს დაცული ტერიტორიების დაარსება წარმოადგენს. ამჟამად საქართველოში სხვადასხვა კატეგორიის 56 დაცული ტერიტორიაა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის სულ 7.3%-ს ფარავს (ევროპაში დაცულ ტერიტორიებს საშუალოდ 18%-ი უკავია). დაცული ტერიტორიების სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის განვითარება; საქართველოს დაცული ტერიტორიები პრაქტიკულად იზოლირებული არიან და არ უკავშირდებიან ერთმანეთს ეკოლოგიური დერეფნებით. გარდა ამისა, ქვეყანაში არსებობს ისეთი სენსიტიური უბნები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მოქცეული დაცული ტერიტორიების სტატუსის ქვეშ. ნაკლოვანია დაცული ტერიტორიებთან დაკავშირებული კანონმდებლობა - ის, ხშირ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიის ძირითადი ფუნქციის - ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების - რეალიზებას. საქართველოს დაცული ტერიტორიებიდან დღეს მხოლოდ სამს გააჩნია მართვის გეგმა - სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც უნდა წარმართოს ყოველდღიური საქმიანობა ამ ტერიტორიებზე. საქართველოს დაცულ ტერიტორიებს არაადექვატურად მწირი დაფინანსება გააჩნიათ. ეს, სხვა პრობლემებთან ერთად, განაპირობებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და აღდგენის სამუშაოების არასაკმარისობას.

ბოლო წლებში გარკვეულწილად შეფერხდა დაცული ტერიტორიების დაარსება და გატარდა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისთვის საზიანო არაერთი ინიციატივა, მათ შორის, მიღებულ იქნა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი, „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე კომერციული ნადირობის დაშვების შესახებ გადაწყვეტილება, დაშვებული იქნა ნადირობა დაცულ ტერიტორიებში (გარდა ნაკრძალებისა და ეროვნული პარკებისა), კანონმდებლობის მოთხოვნათა იგნორირებით, დაცული ტერიტორიების ფარგლებში არაერთი ეკონომიკური პროექტი განხორციელდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში ტყის რესურსებით სარგებლობა. სამეშვე მერქანი ჯერ კიდევ არის ზოგიერთი სოფლისა და პატარა ქალაქის სათბობი ენერჯის უმთავრესი წყარო. მნიშვნელოვანი მოთხოვნა არსებობს აგრეთვე სამასალე მერქანზე.

საქართველოს კანონმდებლობით, დაშვებულია მოკლევადიანი (ერთ წლამდე) და ხანგრძლივადიანი (20 წლამდე) ტყითსარგებლობა. 2007 წლამდე ტყითსარგებლობა, ძირითადად, ერთ წლამდე ვადით გაცემული

ტყითსარგებლობის დოკუმენტებით ხორციელდებოდა. 2006 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გასცა პირველი 20-წლიანი ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია. მას შემდეგ 2012 წლის თებერვლამდე გაცემულია ხე-ტყის დამზადების 66 ლიცენზია 5, 10 და 20 წლის ვადით. ლიცენზიებით დაფარულია 151 574 ჰექტარი ფართობის ტერიტორია.

ტყითსარგებლობის ლიცენზიები 2006 წლიდან აუქციონის წესით გაიცემა. აუქციონების გამოცხადებასა და ჩატარებას არაერთი პრობლემა ახლავს თან; მათ შორის, უმნიშვნელოვანესია შემდეგი: ირღვევა საქართველოს მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ გარემოსთან/ტყესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; აუქციონებზე გამოტანილ იქნა ისეთი სალიცენზიო ობიექტები, რომლებზეც ტყეთმონყობა (ინვენტარიზაცია) მოძველებულია; ტყითსარგებლობის აუქციონის საწყისი ფასის დადგენისას, დღემდე არცერთხელ არ იქნა გამოყენებული კანონმდებლობით დადგენილი წესი; სალიცენზიო ობიექტების შერჩევისას, საერთოდ არ ფასდება, თუ რამდენად მიზანშეწონილია, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, კონკრეტული ტყის ფართობის გამოყოფა. შედეგად, ტყის ჭრისთვის გაიცემა მაღალი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულების ტყეები.

პრობლემებია სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის სფეროშიც - მოქმედი კანონმდებლობა მეტად მწირ შესაძლებლობებს ქმნის გაცემული ლიცენზიების საკონტროლებლად, თუმცა, ეს შესაძლებლობებიც არ გამოიყენება სრულად.

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა ორიენტირებულია სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე, უკვე ხორციელდება და მოსალოდნელია მთელი რიგი ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების, ასევე ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, ხე-ტყისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების პროექტების განხორციელება, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს ბიომრავალფეროვნების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების ეფექტური მექანიზმები.

8.7 კლიმატის ცვლილება და საადაპტაციო ღონისძიებები

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, რელიეფით, ჰიდროგრაფიული ქსელით და გარემო პირობებით, მონყვლადია როგორც ბუნებრივი (მინისძვრა, მეწყერები, ღვარცოფები, გვალვები, ზვავები და წყალდიდობები), ისე ანთროპოგენული კატასტროფებისადმი (სატრანსპორტო და საწარმოო ავარიები). ამას ემატება ბუნებრივ რესურსებზე მაღალი ანთროპოგენული ზეწოლა, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს ბუნებრივი კატასტროფების პროვოცირებისთვის. ბოლო წლებში გახშირებული სტიქიური მოვლენების მიზეზები აგრეთვე უნდა ვეძიოთ კლიმატის გლობალურ ცვლილებაში. კვლევებით დასტურდება, რომ კლიმატის ცვლილებას უკვე ადგილი აქვს სამხრეთ კავკასიაში და ის გარკვეულ ნეგატიურ როლს ითამაშებს გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვალსაზრისით.

პროგნოზების თანახმად, კლიმატის ცვლილების შედეგად 2050 წლისთვის საქართველოში ტემპერატურის საშუალო მატება ნავარაუდევია 0.9-1.9 C0-ით, ხოლო 2100 წლისთვის 4.1-5.5 C0-ით. ამასთან, ნავარაუდევია სითბური ტალღების სიხშირისა და ოდენობის ზრდა, ნალექიანობის რეჟიმის ცვლილება, გაუდაბნობა და მინის რესურსების შემდგომი დეგრადაცია, ზღვის დონის აწევა და სხვა ექსტრემალური მოვლენების გახშირება, რაც ქმნის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ღონისძიებების სასწრაფოდ გატარების აუცილებლობა. ამასთან დადგენილია კლიმატის ცვლილებისადმი ყველაზე მონყვლადი ადგილები: შავი ზღვის სანაპირო ზოლი (ინვეს ზღვის დონე და იზრდება შტორმული მოდინებების სიხშირე და სიმძლავრე; ამას, ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ემატება მდ. რიონის ადიდებით გამოწვეული პრობლემები), ქვემო სვანეთი - ლენტეხი (წიადაგის ეროზიის გაძლიერება და სტიქიური მოვლენების (წყალმოვარდნები, მეწყერები, ზვავები დიდთოვლობა, წყალდიდობა გახშირდება) და დედოფლისწყარო - ალაზნის აუზი (მიმდინარეობს გაუდაბნობების პროცესი).

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე და მასშტაბი. 1995-2008 წლებში ბუნებრივი კატასტროფების შედეგად საქართველომ 1.3 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ზარალი განიცადა, სტიქიის შედეგად დაზარალდა 700 ათასამდე ადამიანი, მსხვერპლთა რაოდენობამ კი, 1000-ს მიაღწია. უკანასკნელ წლებში მეწყერებისა და ღვარცოფების სიხშირის ზრდა განპირობებულია სეისმური აქტივობის გაძლიერებით, ადამიანის ანთროპოგენული ზემოქმედების ზეგავლენით (დასახლებების და მინის უსისტემო ათვისება, სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობა, ტყეების გაჩეხვა და გამეჩხერიანება) და კლიმატის გლობალური ცვლილებებით.

გეოლოგიური ხასიათის სტიქიური მოვლენებიდან ყველაზე ხშირია წყლისმიერი ეროზიული პროცესები, მეწყერულ-გრავიტაციული და ღვარცოფული მოვლენები, რომელთა რაოდენობა იზრდება. 2009 წელს დაფიქსირდა მეწყერულ-გრავიტაციული მოვლენებით დაზარალებული ან მოსალოდნელი გააქტიურების ქვეშ მყოფი 53 ათასი უბანი, რაც ორიათას დასახლებულ პუნქტსა და სატრანსპორტო ინფრატრუქტურის 25-30%-ს იკავებს. ღვარცოფებისგან მიყენებული ეკონომიკური ზარალი წელიწადში 100 მლნ აშშ დოლარამდეა, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანურ მსხვერპლებზე.

სანაპირო ზონა წარმოადგენს კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მოწყვლად სისტემას საქართველოში. მისი წარეცხვა, რომელიც ჯერ კიდევ წინა საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, პრობლემებს უქმნის გაგრის, ახალი ათონის, ოჩამჩირის, ანაკლიის, ფოთის, ქობულეთის და ადლიის მონაკვეთებს, სადაც 1992 წლამდე ხელოვნურად შექმნიდა ნატანი პლიაჟის ფორმირებისთვის. განსაკუთრებით სენსიტიურია მდ. რიონისა და მდ. ჭოროხის დელტები, სადაც ანთროპოგენული ზემოქმედება ერწყმის ზღვის დონის აწევის და კლიმატის ცვლილების პროცესს.

მაგალითად, 2005-2007 წლებში ზღვამ მიიტაცა ადლიის შიდა საავტომობილო ტრასა და უშუალო საფრთხე შეუქმნა ბათუმის აეროპორტის ასაფრენ ზოლს. 2007 წლის თებერვალში ჰოლანდიის გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისიის მიერ რეკომენდირებულ იქნა მდ. ჭოროხიდან ამოღებული მასალის განლაგება ეროზირებული სანაპიროს ტერიტორიაზე და გარემოსდაცვითი შეფასებისა და წინასწარი კვლევების ჩატარება სანაპირო ზოლის მდგარდი ხანგრძლივადიანი აღდგენის გეგმის შესამუშავებლად¹⁰. ასეთი გეგმა დღემდე არ შემუშავებულა.

2015 წლისთვის თურქეთის ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების ამოქმედებით 83%-ით შემცირდება მდ. ჭოროხით ნატანის ტრანსპორტირება შავ ზღვაში. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მდ. ჭოროხზე და მდ. აჭარისწყალზე დაგეგმილია საქართველოშიც. საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შემთხვევაში, პრაქტიკულად, აღარც არსებული ნატანის ჩატანა მოხდება შავ ზღვაში, რაც კიდევ უფრო გაზრდის ზეგავლენას შავი ზღვის სანაპიროზე.

ქ. ფოთში 1925 წლიდან 2009 წლამდე წყლის დონემ 0,7მ-ით აიწია. ეს საფრთხეს უქმნის ფოთს, რომელიც მდებარეობს მდ.რიონის დონის დაბლა 1.5-2 მ-ით. 1920-იანი წლებიდან დღემდე შტორმებისა და ანთროპოგენური ჩარევის შედეგად, ზღვამ მიიტაცა 3.5 კმ სიგანის სანაპირო, რომლის დიდი ნაწილი იპოდრომს, საცხოვრებელ სახლებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ეკავა. ნავარაუდევია, რომ უახლოეს მომავალში (2030-2050 წ.წ.) შტორმების მოსალოდნელი გახშირებისა და ზღვის დონის კიდევ 0.2-0.3 მ-ით მატების შემთხვევაში, შტორმული მოდენები კატასტროფული შედეგების მომტანი გახდება.

ამავე უბანზე მკვეთრია სედიმენტაციის გააქტიურება (მდ. რიონი იკვებება მყინვარული ჩამონადენით), რის შედეგადაც გაძლიერდა მდინარის ორივე კალაპოტის (ფოთის არხი, ნაბადა) მოსიღვა, რამაც უფრო შეასუსტა მათი გამტარუნარიანობა. მდ. რიონის მიერ ჩამოტანილი ნაშალი მასალა, ძირითადად, ჩრდილოეთ სანაპიროზე ილექება და ხმელეთი ზღვაში იჭრება; მაშინ, როდესაც ფოთის სამხრეთით ზღვამ უკვე, დაახლოებით, 600 ჰა ფართობის ტერიტორია მიიტაცა.

კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეორე ეროვნულ შეტყობინებაში ხაზგასმულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გაიზრდება გვალვების ხანგრძლივობა და ინტენსივობა; შესაბამისად, გაიზრდება მოთხოვნა წყალზე. ამასთან, დასავლეთ საქართველოს გარდა, მთელ სამხრეთ კავკასიაში, ნავარაუდევია სულ მცირე 10-40% დინების კლება ძირითად მდინარეებზე. წყლის რესურსების კლება, შესაძლოა, ასევე, გაზარდოს როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების რისკი. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ ტრანსსასაზღვრო მდინარეებს, როგორცაა, ალაზანი, ხრამი-დებედა და მტკვარი. პროგნოზის თანახმად, ალაზანში წყლის დონის კლება ნავარაუდევია სულ მცირე 26-35%-ით, ხოლო ხრამი-დებედაში - 45-65%-ით.

ყურადსაღებია, რომ დედოფლისწყაროს რაიონში, ქარისმიერი ეროზიის შედეგად, 1986 - 2006 წლებში, ჰუმუსის შემცველობამ დაიკლო 7.5-დან 3.2%-მდე, თითქმის ორჯერ დაეცა ნიადაგის ნაყოფიერება, საშუალო წლიური ტემპერატურა კი, გაიზარდა 0,6 C0-ით, რამაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაზარდა სარწყავი წყლის გამოყენება. პროგნოზის თანახმად, რეგიონში ნალექების მნიშვნელოვანი შემცირება, უახლოეს პერიოდში, გაზრდის ადგილობრივი კლიმატის არიდულობას და აქაურ ნახევრადარიდულ ლანდშაფტებს ნახევარუდაბნოდ და უდაბნოდ გადააქცევს. შესაბამისად, 2100 წლისთვის, დედოფლისწყაროს რაიონში ირიგაციაზე მოთხოვნა გაიზრდება ზამთრის ხორბალზე 114 %-ით, საძოვრებზე - 82%-ით და მგესუმბირაზე - 50%-ით.

¹⁰ იხ. www.eia.nl

ამჟამად, გაეროს დახმარებით, მიმდინარეობს ეროვნული საადაპტაციო მოქმედებათა გეგმის მოსამზადებელი სამუშაოები, თუმცა, საქართველოს არ გააჩნია კლიმატის ცვლილების პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა; ეს კი, ხელს უშლის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საადაპტაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის მეტი ფინანსური რესურსის მოზიდვას.

9. მწვანე ეკონომიკა

9.1 მწვანე ეკონომიკის განსაზღვრება

მიუხედავად იმისა, რომ "მწვანე ეკონომიკის" კონცეფცია საკმაოდ ფართოა, მისი ზოგადი განმარტება გულისხმობს, რომ შესაძლებელია ეკონომიკაში მწვანე ფილოსოფიისა და პრინციპების დანერგვით ვებრუნველყოთ მდგრადი განვითარება და აღმოვფხვრათ სიღარიბე.

"მწვანე ეკონომიკასთან" დაკავშირებული ტერმინები და განსაზღვრებები არის სულ მცირე ორი სახის: ტერმინები, რომლებიც განსაზღვრავენ პროცესს ("ეკონომიკის გამწვანება", "მწვანე ზრდა") და ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია შედეგთან ("მწვანე ეკონომიკა").

გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მწვანე ეკომონიკურ ინიციატივის განმარტებით "მწვანე ეკონომიკის შედეგია ადამიანის გაუმჯობესებული კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, რომელიც აგრეთვე მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ დეფიციტს".

მწვანე ეკონომიკა მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, სადაც იგი ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. კლასიკური ეკონომიკის თანახმად, იგი არ განიხილება დამოუკიდებლად, რადგან მას როგორც მეცნიერების კომპონენტს ისე განიხილავენ. კერძოდ, ტრადიციულად მიიჩნევენ, რომ მიწა, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორი მოიცავს ბუნებრივ კაპიტალს და დაკავშირებულია წარმოების მეორე ფაქტორთან, შრომასთან.

ამასთან, მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორი არაა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესი, არამედ საზოგადოებაა, რომელიც თავად მართავს მას.

აღსანიშნავია, რომ მწვანე ეკონომიკა ზოგადად არ გულისხმობს ზედმეტ ჩარევას ხელისუფლების მხრიდან და არ მოდის წინააღმდეგობაში საბაზრო ეკონომიკის ლოგიკასთან/პრინციპებთან.

რეალურად მწვანე ეკონომიკა უფრო მეტადაა «ბაზარზე ორიენტირებული», ვიდრე არსებული მოდელები. სინამდვილეში გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების უგულებელყოფას, მიყვავართ არასწორ გადაწყვეტილებებამდე, ბაზრის მოთამაშეების მიერ არასწორად გადანაწილებულ რესურსებამდე, და საბოლოოდ ისეთ კრიზისებამდე, როგორიც იყო 1978 წელს, 1996 და 2008 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი.

ფართო კონტექსტში, არსებითი განსხვავება ჩვეულებრივ ეკონომიკასა და მწვანე ეკონომიკას შორის მდგომარეობს უკანასკნელის გრძელვადიან ეფექტებსა და მათ შედეგად გააძლიერებულ მდგრადობაში.

9.2 როგორ დავემარტოთ მწვანე ეკონომიკა

მწვანე ეკონომიკის დასაწერად აუცილებელია ცვლილებები:

1. უნდა მოხდეს წარმოების მოდელების ცვლილება ენერჯო და რესურსების ეფექტური მოხმარების (ეკონოვაცია, ეკოდიზაინი, უფრო სუფთა წარმოება, ინტეგრირებული მიდგომა, და ა.შ)
2. მოხმარების მოდელის ცვლილება გარემოსდაცვითი პროდუქტების და მომსახურების გაზრდით, ასევე მოხმარების შემცირებით (გავისხენოთ ლიმიტები).

მწვანე ეკონომიკის მისაღწევად ერთერთი მნიშვნელოვანი ელემენტია არის მწვანე ბიზნესი, რომლის განსაზღვრებაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. თავდაპირველად ბიზნესს, რომელიც გარემოსდაცვით საქონელს და მომსახურებას უზრუნველყოფდა ეწოდებოდა მწვანე ბიზნესი. დღესდღეისობით, "მწვანე" უფრო შედარებითი შეფასებაა ვიდრე აბსოლუტური, და დამოკიდებულია "მწვანე" საქმიანობების კოეფიციენტზე, რომელიც უპირისპირდება მოცემული ობიექტის ჩვეულებრივ საქმიანობებს.

მწვანე ბიზნესი, ისევე ცდილობს მოგების მაქსიმალიზაციას, როგორც ჩვეულებრივი ბიზნესი. თუმცა ვინაიდან

ის ორიენტირებული ხანგრძლივ ვადიან მოგებაზე, მას უპირატესობები გააჩნია, მათ შორის - თანამედროვე მეთოდების თანმიმდევრული და მდგრადი დანერგვა, მეტი ცოდნა, ინფორმაცია და დაგეგმვის საშუალები.

დღევანდელი გადმოსახედიდან, ნათელია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ზრდისა და რესურსების დეფიციტის პირობებში, ქვეყნები, რომლებიც უფრო სწრაფად დანერგავენ მწვანე ეკონომიკის პრინციპებს ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო კონკურენტუნარიანები და სოციალურად თანასწორნი იქნებიან.

9.3 ახალი გლობალური მწვანე შეთანხმება

2008 წლის უკანასკნელმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც საგრძნობლად შეასუსტა ბევრი დიდი ქვეყნის ეკონომიკა დააფიქრა მსოფლიო საზოგადოება, რომ განვითარება უნდა იყოს უფრო მდგრადი. 2009 წელს გაეროს მიერ გამოცხადდა ახალი გლობალური მწვანე შეთანხმების Global Green New Deal (GGND) კონცეფცია, რომელიც ორიენტირებულია სამ ფართო ამოცანაზე:

- შეიტანოს წვლილი მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის, სამუშაო ადგილების შექმნისა და დაუცველი ჯგუფების სოციალური დაცვის საკითხებში;
- ხელი შეუწყოს ინკლუზიურ და მდგრად ზრდას, ასევე ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევას, განსაკუთრებით კი უკიდურესი სიღარიბის დაძლევის 2015 წლისთვის;
- გარდა ამისა, შეამციროს ნახშირბადზე დამოკიდებულება და ეკოსისტემის დეგრადაცია, რაც მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის მთავარ რისკებს წარმოადგენს.

მრავალი სპეციალისტის აზრით, მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს:

1. განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია);
2. მწვანე შენობები (ენერჯიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები);
4. წყლის მართვა (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
5. ნარჩენების მართვა (უტილიზაცია¹¹, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, განმეხდა);
6. მიწის მართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

ახალი გლობალური შეთანხმება, რეკომენდაციას უწევს მთავრობებს მოახდინონ ეკონომიკის ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისკენ, გამოიყენონ პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტრუმენტები, რასაც უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს:

- განახლებად ენერჯიაზე გადასვლა;
- მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდა;
- მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერა;
- გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის (ნაგავსაყრელები, სასმელი წყალი და ა.შ) გაუმჯობესება.

¹¹ უტილიზაცია – რესურსის გამოყენება/გადამუშავება.

9.4 განახლებადი ენერჯია და ახალი გლობალური მწვანე შეთანხმება

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მწვანე ეკონომიკა არ არის აბსტრაქტული კონცეფცია, არამედ რეალობაა, რასაც სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდისაკენ მივყავართ. სუფთა ენერჯიის გეგმის შემუშავებისას, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კალიფორნიის შტატში 500,000 ახალი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა. როგორც ვხედავთ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროსაც კი მწვანე სექტორში სამუშაო ადგილები იქმნება.

მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში, აუცილებელია, ყველა ქვეყანა აქტიურად ჩაებას ამ უწყვეტ პროცესში. აშშ-სთან ერთად, ევროკავშირი და ჩინეთი სისტემატურად ახორციელებენ ამ პროცესს. 2009 წელს მათ აშშ-ზე გაცილებით მეტი ინვესტიციები გაიღეს. მარტო კვლევასა და განვითარებაზე ევროკავშირმა ბიუჯეტი 300%-ით გაზარდა. ჩინეთში 2010 წელს 34 მილიარდი აშშ დოლარი ჩაიდო სუფთა ენერჯიის დასაფინანსებლად. შესაბამისად, ჩინეთმა წინ გაუსწრო აშშ-ს განახლებად ენერჯი-ტექნოლოგიებში ჩადებული ინვესტიციების მოცულობით და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ჩადებული ინვესტიციების მოცულობით დიდი ბრიტანეთი აღმოჩნდა მესამე ადგილზე, შემდეგ ესპანეთი და ბრაზილიაა.

ევროკავშირში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა განახლებადი ენერჯიის წყაროების განვითარების სექტორში არის გერმანია, სადაც განახლებად ენერჯიებს სისტემაში 25% უჭირავს, მისი მეშვეობით შეიქმნა დაახლოებით 380 000 ათასი სამუშაო ადგილი, თემები და მცირე ბიზნესმენები კი, უფრო გაძლიერდნენ და სუფთა ენერჯიის მწარმოებლები გახდნენ, პროცესი ქვემოდან ზემოთ არის მიმართული და სრულად წარმოაჩენს მონაწილეობითი დემოკრატიის სიკეთეს.

ამასთან, გერმანიაში განახლებადი ენერჯიის წარმოების ხარჯები მინიმუმამდეა დაყვანილი ასევე, მას შეუძლია ტექნოლოგიების ტრანსფერი აშშ-სა და ჩინეთში.

აღსანიშნავია, რომ განახლებადი ენერჯიების სექტორი ძალიან განვითარდა მას შემდეგ რაც გერმანიის მთავრობამ 1998 და 2005 წლებში შეუერთდა ალიანსი90/მწვანეთა პარტია. 2005 -2010 წლებში გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ დაახლოებით 800 მლნ ევრო დააბანდა მეცნიერულ კვლევებში. 2001 წელს მიღებული კანონით 2033 წლისთვის გერმანიაში ყველა ატომური სადგური უნდა დახურულიყო, თუმცა ფუკუშიმას ავარიის შემდეგ კანონი შეიცვალა და ატომური ელექტროსადგურების დახურვის თარიღად 2022 წელი დაწესდა.

გერმანიის ატომური ელექტროსადგურების გენერაციის ჩანაცვლება ეკონომიკის მინისტრის განმარტებით დაახლოებით 250 მილიარდ ევროს ინვესტიაციას მოითხოვს შემდეგ ათწლეულში. გერმანიის ენერჯეტიკული პოლიტიკის ჩარჩოს განსაზღვრავს ევროკავშირის მიერ დამტკიცებული ენერჯეტიკის განვითარების გეგმა (2007), რომელიც მოითხოვს 20% სათბური გაზების ემისიების შემცირებას და ევროკავშირის მთლიან მოხმარებაში განახლებადი ენერჯიების 20% გაზრდას 2020 წლისთვის. აღსანიშნავია ისიც რომ, ამ გეგმის მიხედვით ევროკავშირის თითოეული სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს დამოკიდებულებას ატომური ენერჯეტიკის მიმართ.

გერმანელ მწვანეთა აზრით, გერმანული ენერჯოტრანსფორმაციის განხორციელების საფუძვლები უნდა ვეძებოთ 70-იანი წლების ანტიბირთვულ მოძრაობაში, რომელმაც გააერთიანა კონსერვატორები და კონსერვაციონისტები¹², მთელი საზოგადოება გარემოსდამცველებიდან დაწყებული ეკლესიით დამთავრებული. ნავთობის კრიზისმა და ჩერნობილის კატასტროფამ ხელი შეუწყო ალტერნატივების ძიებას, როგორც ტექნოლოგიებში ასევე პოლიტიკურ ინსტრუმენტებში, მათ შორის ე.წ. feed-in tariffs.

¹² კონსერვაციონიზმი-საზოგადოებრივ ეკოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი სახე, რომლის თანახმად, მოწოდებულია ბუნებისა და მისი კომპონენტების პირველადი სახით (შეუცვლელად) მთლიანი და უსიტყვო შენარჩუნება.

9.5 ახალი გლობალური მწვანე შეთანხმების პრობლემები

მნიშვნელოვანია, რომ ახალი გლობალური მწვანე შეთანხმება არ იყოს გამოყენებული იმგვარად რომ ხელი შეუწყოს განვითარებად ქვეყნებში ეროვნული სუვერენიტეტის შესუსტებისას, ე.წ. მწვანე კომპანიების ინვაზიას ამ ქვეყნებში და ახალი ეკონომიკური ექსპანსიას პრივატიზაციისა და ბუნებრივი რესურსების მონეტარიზაციის გზით, პროტექციონიზმს¹³ და ნაციონალიზმის აყვავებას.

ყურადსაღებია გერმანიის მწვანეთა პარტიის კონტექსტი, რომლითაც ის გლობალურ მწვანე ახალ შეთანხმებას უკეთებს პროპაგანდირებას და რომლითაც ის განსხვავდება გაეროს ინიციატივისგან. პარტიის თვალთახედვით, ეკონომიკის, თუნდაც მწვანე ეკონომიკის აყვავება არ არის გამოსავალი, თუ ის საფუძველს არ ჩაუყრის მდგრად ეკონომიკურ და სოციალურ მოდელს, თუ ის არ მოიცავს არსებული კაპიტალისტური მოდელის სრულ გარდაქმნას, მსოფლიოში თანასწორობის დამკვიდრებასა და სიღარიბის აღმოფხვრას.

ამისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობებმა გამოიყენონ ეკონომიკური კრიზისი და მისი გადაჭრა დაიწყონ მწვანე ტექნოლოგიების დანერგვით, რასაც უნდა მოყვეს ინვესტიციები ხალხში - განათლებასა და პროფესიულ გადამზადებაში, რათა შეიქმნას სამართლიანი საზოგადოება. რაც თავის მხრივ, პარტიის აზრით, საშუალებას მისცემს ევროპას დარჩეს კრეატიულ, დინამიკურ საზოგადოებად, რომლის მომავალ კეთილდღეობას საფრთხე არ ემუქრება.

¹³ პროტექციონიზმი-მიდა ბაზრის იმპორტისაგან დაცვის პოლიტიკა, რომელიც ამ მიზნით იყენებს ტარიფებს, კვოტებს, სუბსიდიებსა და სხვა საშუალებებს.

საკვარჯიშოები

საკვარჯიშო 1 - მშენებელი ფილოსოფია და მონაწილეობითი დემოკრატია

ხედონჰესის პროექტი

მდინარე ენგურზე ხედონის კაშხლის მშენებლობა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიგეგმა და სანყისი სამუშაოებიც განხორციელდა, თუმცა მეოცე საუკუნის 80-იან წლებშივე შეჩერდა მოსალოდნელ ეკოლოგიურ პრობლემებთან და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებული საპროტესტო აქციების მძლავრი ტალღის ფონზე და, რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის დაშლისა და პროექტის დაფინანსების შეწყვეტის გამო.

ხედონჰესის მშენებლობის განახლებაზე აქტიური საუბარი 2004 წლიდან დაიწყო. საქართველოს მთავრობის დაკვეთით საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა (აშშ. საერთაშორისო განვითარების სააგენტო და მსოფლიო ბანკი) დაფინანსეს ჰიდროელექტროსადგურის წინასაპროექტო და საპროექტო კვლევები.

ხედონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (ზემო სვანეთი, მდინარე ენგური) გულისხმობს 200მ სიმაღლის თაღოვანი კაშხლისა და 650 მეგავატი სიმძლავრის მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას სვანეთში. პროექტი ითვალისწინებს 530 ჰა ფართობის ტერიტორიის დატბორვას, სადაც შეიქმნება 3.5 მლნ კუბური მეტრის მოცულობის ხელოვნური რეზერვუარი. ჰესი გამოიმუშავებს წლიური ენერჯო მოხმარების 10%-ზე მეტ ენერჯიას.

პროექტის მშენებლობა გამოიწვევს ხაიშის თემის (ხაიში და მისი მიმდებარე სოფლები) წარმომადგენელთა იძულებით გადასახლებას - სულ დაახლოებით 525 ოჯახი (1500-2000 ადამიანი).

პროექტის მომხრე ექსპერტთა აზრით ჰესის მშენებლობა:

- უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას;
- უზრუნველყოფს მზარდი ეკონომიკის ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას;
- უზრუნველყოფს ელექტროენერჯიის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის;
- შესაძლოა დადებითი ზეგავლენა იქონიოს ელექტროენერჯიის ტარიფის შემცირებაზეც;

პროექტის მოწინააღმდეგეთა აზრით ხედონჰესის მშენებლობა:

- დამანგრეველ, ძლიერ უარყოფით ზეგავლენას იქონიებს რეგიონის როგორც ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე, ისე გარემოზე;
- არ არის მომგებიანი საქართველოსთვის. ამასთან, პროექტთან დაკავშირებული ხარჯები არ არის ინტეგრირებული პროექტის საერთო ღირებულებაში;
- ძლიერი უარყოფითი ზემოქმედება ექნება მკვიდრ მოსახლეობაზე - იძულებით გადასახლებას დაექვემდებარება არამართო სოფელი ხაიშის, არამედ მისი მიმდებარე მცირე დასახლებების მოსახლეობა, დაახლოებით 525 ოჯახი. 1500-2000 კაცის გადასახლება სვანეთისთვის მეტად დიდი დარტყმა იქნება; მცირერიცხოვანი ეთნოგრაფიული ჯგუფისთვის ასეთი ფრაგმენტაცია (რომელიც მან ახლო წარსულში უკვე განიცადა სტიქიური მოვლენების გამო), გადასახლებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინების გარეშეც კი, დამანგრეველ ზეგავლენას იქონიებს;
- ხედონის წყალსაცავის ფუნქციონირება აისახება წყლის ხარისხზე, წყალდიდობების ბუნებრივ რეჟიმსა და მდინარის ბინადართა შემადგენლობაზე;
- დაიტბორება დიდი, მათ შორის, ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ტერიტორიები;
- უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ადგილობრივ კლიმატზე - საგრძნობლად გაიზრდება ტენიანობა და მოხდება ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა;
- ხელს შეუწყობს ზემო სვანეთის იზოლიაციას (წყალსაცავის მშენებლობის გამო გზა 18-30 კმ-ით დაგრძელდება);
- ძლიერი ზემოქმედება ექნება ზემო სვანეთში არსებულ და დიდწილად, ჯერ კიდევ შეუსწავლელ კულტურულ მემკვიდრეობაზე.

განხორციელებული ადვოკატირების კამპანიისა და რიგი გარე ფაქტორების მიზეზით (მათ შორის, 2008 წლის აგვისტოში საქართველო-რუსეთს შორის განვითარებული შეირადებული კონფლიქტის გამო) 2009 წელს სრულიად გაჩერდა პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელი სამუშაოები მსოფლიო ბანკის მხრიდან. თუმცა გარკვეული პერიოდის წინ ხელისუფლებამ ინვესტორთან Trans Electrica (ინდოეთი) ერთად კვლავ გააქტიურდა პროექტი.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ Trans Electrica-ს დაარსებიდან დღემდე არცერთი პროექტი არ განუხორციელებია; ხუდონ ჰესის პროექტი კომპანიის პირველი პროექტია. კომპანია Trans Electrica LTD დარეგისტრირებულია 2010 წლის 25 იანვარს ვირჯინიის კუნძულებზე და წარმოადგენს 2008 წლის 2 მაისს დაფუძნებული „კონტინენტალ ენერჯი ლიმიტედის“ უფლებამონაცვლეს. მისი საწესდებო კაპიტალი 200 მლნ ლარია; კომპანიის ყველა აქცია Trans Electrica- ს ეკუთვნის. კომპანიას ჰყავს ორი ინდოელი და ორი ქართველი დირექტორი.

კომპანიის ზოგიერთ დაქირავებულ ექსპერტს აქვს სხვადასხვა ინდურ ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში მუშაობის გამოცდილება და ამ პროექტთა ნაწილს Trans Electrica თავის ვებ-გვერდზე საკუთარ პროექტებად წარმოაჩენს.

ყურადსაღებია, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ხუდონ ჰესის მშენებლობის დაწყებამ და შეჩერებამ უკვე დამანგრეველი კვალი დაატყო ზემო სვანეთს. გაიბურდა და გვირაბებით დაიქსელა მთები, წყლით გაჭერდა მთის ფერდობები, რის გამოც გახშირდა მენყრული მოვლენები და შესაბამისად, მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურისთვის ზიანის მიყენების შემთხვევები. 80-იან წლებში ხუდონ ჰეს-ის მშენებლობის გამო, საქართველოს სხვა რეგიონებში გადასახლებულ იქნა დასატბორ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, რომლის დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა მშენებლობის შეჩერებისა და ახალ საცხოვრებელ ადგილზე ადაპტირებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. ხალხს, რომელმაც ერთხელ უკვე განიცადა გადასახლება და უკან დაბრუნდა, აღარ აქვს სურვილი იგივე გზა გაიმეოროს.

დავალება

დაგეგმეთ ხუდონჰესის მონინაადმდეგეთა (ან მომხრეთა) კამპანია. კამპანიის დაგეგმვისას მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს:

1. პრობლემა/მიზანი /ამოცანა;
2. სამიზნე ჯგუფი (ვის შეუძლია აგისრულოთ მიზანი);
3. მოკავშირეები და მონინაადმდეგეები;
4. განხორციელების გზები;
5. მოსალოდნელი შედეგი.

BÜNDNIS 90/DIE GRÜNEN „გაერთიანება 90/მწვანეები“ - გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნები 2013¹⁴

2013 წელს გასამართ გერმანიის ფედერალურ არჩევნებში კვლავ წარმატებულ მონაწილეობას გეგმავს მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი ეკოლოგისტური მოძრაობა - „გაერთიანება 90/მწვანეები“. გერმანიის მწვანეთა პარტიის წევრებმა 28 აპრილს ბერლინში ჩატარებულ ყრილობაზე დაამტკიცეს საარჩევნო პროგრამა სახელწოდებით „მწვანე გარდაქმნის დროა“. პოლიტიკური დოკუმენტი ეფუძნება სოციალური სამართლიანობის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და პასუხისმგებელი, მარეგულირებელი სახელმწიფოს ღირებულებებს.

მწვანეთა პარტია გადასახადებისა და ფინანსური ურთიერთობების სფეროში სრულიად იზიარებს ძირითად მემარცხენე-ცენტრისტულ იდეალებს. ეკოლოგისტები სოციალურად სამართლიანი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად მხარს უჭერენ პროგრესული გადასახადების სისტემის ამოქმედებას. პარტიული პროგრამით გათვალისწინებულია 60 ათასი ევროს შემოსავლის 45%-ით, ხოლო 80 ათასი ევროს შემოსავლის 49%-ით დაბეგვრა. მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად, „მწვანეები“ ემხრობიან 60 ათას ევროზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეების გადასახადებისაგან გათავისუფლებას. „BÜNDNIS 90/DIE GRÜNEN“ ითხოვს მემკვიდრეობის ბაჟის გაორმაგებასა და საბანკო ოპერაციებით მიღებული მოგებისათვის 35%-იანი ლიმიტის დაწესებას. პოლიტიკური ორგანიზაცია აუცილებლად მიიჩნევს ენერჯის ჭარბად მომხმარებელი ბიზნესისთვის შეღავათების გაუქმებასა და მათთვის ეკოლოგიური საბიუჯეტო შენატანების დაკისრებას. გამარჯვების შემთხვევაში პარტიის წევრები განსაკუთრებული ფინანსურ გადასახადებს შემოიღებენ საჰაერო მიმოსვლისა და მანქანათმშენებლობის ინდუსტრიის დარგებში.

მთავარ პროგრამულ დებულებათა შორის გახლავთ კლიმატის ცვლილების შესახებ კანონის რეფორმაც. კანონპროექტი ითვალისწინებს ტრანსპორტის, მრეწველობის, სოფლისა და სატყეო მეურნეობის სფეროებში მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და კრიტერიუმების დაწესებას. ასევე, პარტიის წევრებისთვის პრიორიტეტულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ არსებული კანონმდებლობის ცვლილებაც, რათა პირველ ეტაპზე შეიზღუდოს ქვანახშირის გამოყენება, 2030 წლიდან კი საერთოდ აიკრძალოს მისი მასშტაბური მოხმარება.

ეკოლოგისტთა გრძელვადიან სტრატეგიაში ხაზგასმულია განახლებადი ენერჯის წარმოების განსაკუთრებული მნიშვნელობა. პარტიის პირველხარისხოვანი მიზანია, რომ 2030 წლიდან ელექტრო ენერჯის გამომუშავება მხოლოდ მზის, ქარისა და ზღვის მიმოქცევის რესურსების გარდაქმნას დაეფუძნოს. ისინი მხარს უჭერენ ბუნებრივი აირის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვით გამოყენების პოლიტიკასაც.

შრომითი ურთიერთობების მიმართულებით პარტიის ფუნდამენტური პრინციპია კანონით განსაზღვრული სახელფასო მინიმუმის დაწესება, რომელიც სულ მცირე საათში 8,5 ევროს უნდა შეადგენდეს. „BÜNDNIS 90/DIE GRÜNEN“ ემხრობა მინი და ნახევარგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმებულთათვის კორპორატიული დაზღვევის გავრცელების იდეასაც. მათ ამოცანებს შორის გახლავთ მუდმივი და შტატგარეშე თანამშრომლებისათვის იდენტური ანაზღაურების გაცემის უზრუნველყოფაც. პოლიტიკურ დოკუმენტში ცალკე ქვეთავი ეთმობა ქალთა უფლებებსა და შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის დამკვიდრების საკითხებს, შესაბამისი კვოტების დაწესების შესაძლებლობას.

მწვანეთა პარტია ითხოვს დამატებითი ფინანსების გამოყოფას გახანგრძლივებულ სკოლებსა და საბავშვო ბაგა-ბაღებში ადგილების რაოდენობის ზრდისათვის. ეკოლოგისტები მიიჩნევენ, რომ ყველა ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანაბარი სასტარტო პირობებით, მიუხედავად მათი მშობლების შემოსავლებისა.

მწვანეთა ჯანმრთელობის დაცვისა და დაზღვევის პოლიტიკა კოლექტიური პასუხისმგებლობის ღირებულებას ეფუძნება. „მწვანე სამოქალაქო დაზღვევა“ ითვალისწინებს ერთიანი, ყველასათვის საერთო სადაზღვევო სისტემის ფორმირებასა და პერსონალური დაზღვევის აკრძალვას. პარტიის წევრთა აზრით, სისტემის ბიუჯეტის შევსება უნდა ხდებოდეს ყველა ტიპის საშემოსავლო გადასახადით (ქონების, მემკვიდრეობის, არენდის და ა.შ.), ხოლო 5800 ევროზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეები უნდა თავისუფლდებოდნენ სადაზღვევო ფინანსების მობილიზების პასუხისმგებლობისაგან. ინდივიდებისათვის სადაზღვევო სისტემის ბიუჯეტში შენატანი საკუთარი ეკონომიკურ-მატერიალური მდგომარეობის პროპორციულად უნდა განისაზღვრებოდეს. სოციალურ სოლიდარობის პრინციპები უნდა ვრცელდებოდეს საპენსიო ფონდების ჩამოყალიბების დროსაც, რის შედეგადაც მიღწეულ უნდა იქნას 850 ევროიანი მინიმალური პენსია.

¹⁴ წყარო: <http://electoralreview.wordpress.com/>

გაზაფხულზე ბერლინში დამტკიცებული დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი მწვანე აგრარული რევოლუციის დაწყებას გახლავთ, რაც უპირველესად გენური ინჟინერიით წარმოებული პროდუქციის აკრძალვას გულისხმობს. ამასთანავე, მოიცავს ცხოველთა უფლებების დაცვის მეტ სტიმულირებასა და მასობრივი მესაქონლეობის შემცირებისკენ მიმართული პოლიტიკის წარმოებას.

ეკოლოგისტები აპირებენ რეგულაციების დაწესებას გარემოზე მავნე ზემოქმედების მქონე ყველა ტიპის გამონაბოლქვის მინიმუმებისათვის.

2012 წლის ნორემბერში „მწვანეთა პარტია“ გახდა პირველი გერმანული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც საყოველთაო შიდაპარტიული არჩევნები ჩაატარა. წინასწარი კენჭისყრის შედეგად, გედერული თანასწორობის პრინციპების დაცვით გერმანელმა ეკოლოგისტებმა საარჩევნო სიის ორი მთავარი კანდიდატი გამოავლინეს.

შიდაპარტიულ არჩევნებზე პირველი ადგილი მოიპოვა ბუნდესტაგის ფრაქციის მოქმედმა თავმჯდომარემ, იურგენ ტრიტინმა. ტრიტინი დაიბადა 1954 წელს ბრემენში. 1975-81 წლებში სწავლობდა გიორნიგენის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პარალელურად, მონაწილეობდა სხვადასხვა რადიკალური მემარცხენე ჯგუფების აქტივობებში, ქუჩის არეულობებში.

მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში იგი შეუერთდა ახლადჩამოყალიბებულ მწვანეთა მოძრაობას და ქვემო საქსონიაში მისი ერთ-ერთი ლიდერიც გახდა.

1990-94 წლებში მას ქვემო საქსონიის ფედერალურ და ევროპულ საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

1998 წელს, სოციალ-დემოკრატებისა და ეკოლოგისტების მიერ ჩამოყალიბებულ ფედერალურ მთავრობაში იურგენ ტრიტინი გარემოს დაცვისა და ატომური უსაფრთხოების მინისტრი გახდა.

2005 წლიდან ბუნდესტაგში ოპოზიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. პარტიის დაარსების დღიდან იგი „მწვანეთა“ მემარცხენე ფრთის მთავარ წარმომადგენლად მიიჩნევა.

გარემოს დაცვის ყოფილი ფედერალური მინისტრის მთავარი თანამებრძოლია 47 წლის კატრინ გიორნიგ-ეკარდტი, რომელიც პარტიის რელიგიური, უფრო მეტად კონსერვატიული დაჯგუფების ლიდერია.

გიორნიგ-ეკარდტი ლაიფციგის უნივერსიტეტში ევანგელისტურ თეოლოგიას სწავლობდა, ოთხმოციანი წლების მიწურულს მონაწილეობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე „მშვიდობიან რევოლუციაში“, გახლდათ „BÜNDNIS 90“ გავლენიანი აქტივისტი.

1998 წლიდან ევანგელისტური თეოლოგიის სპეციალისტი ბუნდესტაგის წევრია, 2005 წელიდან დღემდე იგი საკანონმდებლო ორგანოს ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს.

2009 წელს გიორნიგ-ეკარდტი გერმანიის ევანგელისტური ეკლესიის სინოდის თავმჯდომარედ დანიშნეს.

დავალება

1. რა ტიპის პარტიაა გერმანიის მწვანეთა პარტია და რა ტიპის შეხედულებებს უწევს პროპაგანდირებას?
2. გარდა გარემოს დაცვისა, რა კონკრეტულ საკითხებს ეხება გერმანიის მწვანეთა პარტია?
3. რა მთავარი ამოცანა აქვს დასახული პარტიას წინამდებარე პლატფორმის მიხედვით?
4. ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში, რომელი პოლიტიკური იდეოლოგიის პრინციპებს ემყარება გერმანიის მწვანეთა პარტიის მოთხოვნები?
5. მწვანე იდეოლოგიის რომელ პრინციპებს ემყარება შემდეგი მოთხოვნები:
 - პროგრესული გადასახადების სისტემის ამოქმედება.
 - ენერჯის ჭარბად მომხმარებელი ბიზნესისათვის შეღავათების გაუქმება და მათთვის ეკოლოგიური საბიუჯეტო შენატანების დაკისრება;
 - სახელფასო მინიმუმის დაწესება;
 - შრომით ბაზარზე გენდერული თანასწორობის დამკვიდრება.
6. რომელი პოლიტიკური იდეოლოგიის პრინციპებს, ან რომელი პოლიტიკური კურსის მქონე პარტიის მოთხოვნებს შეიძლება დაუპირისპირდეს გერმანიის მწვანეთა პარტიის მოთხოვნები?
7. თქვენი აზრით, რა არის მთავარი განასახვავება გერმანიის მწვანეთა პარტიასა და საქართველოში მოღვაწე მწვანეთა პარტიას შორის ?

ვაჟა ფშაველა, ღამე მთაში

დაღამდა...
წვრილნი ვარსკვლავნი
აცვავდენ, დასხდენ ცაზედა;
მთვარე-კი ჯერ არსადა სჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა,
ჯერ თუ არ გაუღვიძნია,
ისევ თუ სძინავს მკლავზედა!
ჯერ გამარჯობა არ უთქვამს
შემომჯდარს გორის ფხაზედა,
სხივნი არ დაუგზავნია
პირის საბანად წყალზედა.
მგზავს უჭირს ბნელით გამოსვლა,
დადგომა სწორეს გზაზედა.
მთებს ჩაუცვიათ შავები,
ჭმუნვით დასცქერენ ხევებსა;
ცივს ნიავს შესთავაზობენ
უფსკრულს მოარულს დევებსა;
ტყისთვისაც ძაძა ჩაუცვამს
სიბნელეს დანატევებსა.
გორით-გორს ბუვი გასძახის,
თრთიან ყვავილნი მთებისა,
ქოჩორს უვარცხნის ნიავი,
დარაჯად დაადგებისა.
მითამ იციან ღავლუვი,
რად არ ჰყეფს ჯოგი მგლებისა?!
წყალი სჩქეფს, ხევი ჩატირის,
განა ერთი და ორია:
აქაც, იქ, იმას იქითაც,
საცა ფერცხალა გორია,
ლამაზის მთების ასულთა
ხმა ხმისთვის შაუნონია.
მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონია;
ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!..

ხევი მთას ჰმონებს, მთა - ხევსა,
წყალნი - ტყეს, ტყენი - მდინარეთ,
ყვავილნი - მინას და მინა -
თავის აღზრდილთა მცინარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზედ ოფლ-გადამდინარედ!
ეხლა ცა წყნარობს...
სოფელსაც
გულწყნარად დაეძინება.
უეცრად შუალამისას
ცას ჯანლი დაეფინება,
შავი ზღვის შავი ვეშაპი
პირლია დაგვეღირება,
ჩვენ, მოსვენებით მდინარეთ,
საჭმელად დაგვეპირება.
მოჰსქედება ქარი და ღვარი,
სდგას ლენა-მტვრევა ბრძოლისა;
დროება ჩამოვარდნილა
დიდი შიშის და ძრწოლისა.
მთელი მთა-ბარი იქცევა,
მეორ-მოსვლაა სწორედ!
მოჰკანრავს ღვარი ტყე-კლდეებს,
მოაქვს და მოსდგამს ყორედა.
ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მწენელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მანც-კი ლამაზი არის,
მანც სიტურფით ჰყვავისა!..

1890 წ.

დავალება

1. გამოყავით მწვანე ფილოსოფიის შემადგენელი ღირებულებები და პრინციპები ლექსის მიხედვით;
2. რას უსვამს ხაზს ვაჟა ფშაველა - რა ძირითადი პრინციპია ბუნებასა და ადამიანებს შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი

სავარჯიშო 4 – მდგრადი განვითარების და გარემოს დაცვის ძირითადი ცნებები და კონცეფციები

1. მოიყვანეთ „საერთო რესურსის ტრაგედიის“ მაგალითები საქართველოდან და იმსჯელეთ არსებული ვითარების გადაჭრის გზებზე;
2. იმსჯელეთ საერთო სარგებლობის რესურსებზე - მაგალითად, საძოვრებზე - კერძო საკუთრების დაშვების შესაძლებლობასა და შედეგებზე (საქართველოს მაგალითი);
3. დაასახელეთ თავისუფლად ხელმისაწვდომი რესურსის გამოყენებაზე დადებული საერთაშორისო ან რეგიონული შეთანხმებები, რომელთა არსებობაც გაგიგიათ;
4. დაასაბუთეთ, ამ თავში დასახელებული მსოფლმხედველობებიდან, რომელს ემხრობით და რატომ;
5. იმსჯელეთ, როგორ საზოგადოებაში ცხოვრობთ - საზოგადოებაში, რომელიც მდგრადი განვითარების კურსს მიჰყვება, თუ არამდგრადი საზოგადოების ნაწილი ხართ;
6. დაასახელეთ სამი რამ, რაც შეამცირებდა თქვენს ინდივიდუალურ ეკოლოგიურ ნაკვალევს;
7. ზოგი ფიქრობს, რომ გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები გამონვეულია მსოფლიოს მოსახლეობის ზრდით, ზოგი კი, ამას აბრალებს რესურსების მაღალ მოხმარებას განვითარებულ ქვეყნებში. გამოხატეთ თქვენი პოზიცია ამ საკითხზე და დაასაბუთეთ ის.

ლაზიკას მშენებლობა

ანაკლიასა და ყულევს შორის ტერიტორიაზე, პრეზიდენტის ინიციატივით, ახალი ქალაქი - ლაზიკა შენდება. გეგმის თანახმად, ის დასავლეთ საქართველოს მთავარი სავაჭრო, ეკონომიკური და ბიზნეს-ცენტრი უნდა გახდეს. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე მსხვილ საინვესტიციო ჯგუფთან აზიასა და ევროპაში, ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. პრეზიდენტის განცხადებით, კოლხეთის ეროვნულ პარკში უახლოეს დღეებში ლაზიკას ასაშენებლად ჭაობების დაშრობა დაიწყება.

უკვე ცნობილია, თუ რა პრინციპით იქნება მონყობილი ლაზიკა. „ზღვის პირას 3 მილიონ კვადრატულ მეტრზე გაშენებულ ქალაქში, შუშის ცათამბჯენების "ა" ზონის გარდა, კიდევ სამი ზონა იქნება. შემდეგ ზონაში საცხოვრებელი რაიონი აშენდება, მომდევნო ნაწილი დაეთმობა კერძო სახლებს, ხოლო მეოთხე რეკრეაციული ზონა იქნება. ქალაქს დაუკავშირდება რკინიგზის ხაზი, აშენდება აეროპორტი და საზღვაო პორტი“. ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ეს იქნება გრანდიოზული პროექტი, რომელიც საქართველოში დიდი რაოდენობით ინვესტორებს მოიზიდავს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო თანხები გზებისა და პორტის ადმინისტრაციის მშენებლობაზე.

გარემოსდამცველების თვალსაზრისით, ჭაობების დაშრობა 21-ე საუკუნეში ცოტა ბარბაროსობად უდერს, ეს ჭაობები დასულია საერთაშორისო კონვენციით, წარმოადგენს მტკნარი წყლის მარაგს, და ამავედროულად იცავს კოლხეთის დაბლოს დატბორვისგან, აფრიკა- აზიის გადამფრენი ფრინველებისთვის მიგრაციის გზა.

დავალემა

1. რა პრობლემებს ან მათი გადაწყვეტის გზებს ხედავთ ადგილობრივი თვალთახედვით ლაზიკას მშენებლობის შემთხვევაში
2. ვინ არის თქვენი კითხვების ადრესატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
3. რა ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება მიემხროთ ან არ მიემხროთ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას
4. რა დოკუმენტაციას მოითხოვდით ამგვარი მშენებლობის მხარდასაჭერად და/ან უარსაყოფად
5. მონაწილეობითი დემოკრატიის რა გზებს გამოიყენებთ და/ანარ გამოიყენებთ? რატომ?

ნაგავსაყრელები - თანამედროვე გამოწვევები

საქართველოში, სხვა გარემოსდაცვით საკითხებს შორის, ნარჩენების სფერო უახლოეს პერიოდამდე ერთ-ერთ ყველაზე უგულვებელყოფილ სექტორად რჩებოდა. საქართველოში დღემდე არ არსებობს ნარჩენების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია; კანონმდებლობა ძალზე სუსტი და ფრაგმენტულია - დღემდე არ არის მიღებული კანონი ნარჩენების შესახებ, რომელიც განსაზღვრავდა ნარჩენების ძირითად სახეებს და მათ მართვაზე პასუხისმგებელ ორგანოებს. მიუხედავად იმისა, რომ დაფიქსირებულია ნარჩენების გარკვეული ფრაქციების (ქალაქის, პლასტმასის) რეციკლირების ცალკეული შემთხვევები, საქართველოში ნარჩენების მართვის ყველაზე გავრცელებულ ფორმად კვლავ ნარჩენების ნაგავსაყრელებზე განთავსება რჩება.

ამჟამად საქართველოში ექსპლუატაციაშია 63 აღრიცხული ნაგავსაყრელი და დაუდგენელი რაოდენობის სპონტანურად წარმოქმნილი სანაგვე ადგილები (*dumpsites*). აღრიცხული ნაგავსაყრელების უმრავლესობამ ოპერირება დაიწყო გასული საუკუნის 60-იან, 70-იან და 80-იან წლებში. დღეს ეს ნაგავსაყრელები საფრთხეს უქმნიან ადამიანთა ჯანმრთელობას და გარემოს არასწორად შერჩეული ადგილმდებარეობის, არასწორი ტექნიკური გადანაცვების და/ან არასწორი მართვის გამო. ზოგ შემთხვევაში, როდესაც ნაგავსაყრელი გადავსებულია და/ან მართვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარება შეუძლებელია, მუნიციპალიტეტები გეგმავენ ნაგავსაყრელების დახურვას და ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ნაგავსაყრელების მოწყობას. ეს პროცესი სუსტი სამართლებრივი ჩარჩოს პირობებში და არათანმიმდევრული პრაქტიკის გამოყენებით ხდება; შესაბამისად, თავს იჩენს არაერთი გარემოსდაცვითი, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემა. პრობლემურია ასევე საზოგადოების მონაწილეობა ნაგავსაყრელებთან დაკავშირებული გადანაცვითი ტიპების მიღების პროცესში.

მაგ. ქუთაისის ნაგავსაყრელი 1962 წლიდან ფუნქციონირებს და ემსახურება ქ. ქუთაისს, ასევე ბაღდათისა და წყალტუბოს რაიონებს; მასზე, ისევე როგორც საქართველოს სხვა ნაგავსაყრელებზე, ყოველგვარი გაუვნებლების გარეშე, განთავსდება ყველა სახის შერეული ნარჩენი (მათ შორის, სახიფათო ნარჩენები). ნაგავსაყრელი ქალაქთან ძალზე ახლოს, ნიკვას ქუჩის დასახლებიდან 500 მეტრის დაშორებით მდებარეობს.

2007 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ჩაატარა საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ინვენტარიზაცია; ინვენტარიზაციის ანგარიშის თანახმად, ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის ვადა გასულია, ხოლო არსებული მდგომარეობა - სავალალო: ტერიტორია ნაწილობრივ შემოღობილია, რაც იძლევა ადამიანებისა და პირუტყვის თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას; ადგილი აქვს ნარჩენების ღიად წვის პროცესებს; არ ხდება ნარჩენების მიწის ფენით დაფარვა; ნაგავსაყრელი წარმოადგენს ანტისანიტარიის და დაბინძურების სერიოზულ კერას.

ქუთაისის ნაგავსაყრელის ფუნქციონირით გამოწვეული უარყოფითი შედეგები (ჰაერის, ნიადაგის, წყლის დაბინძურება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის შექმნილი რისკები) ქუთაისის მაცხოვრებელთა მღელვარების საბაზი არაერთხელ გამხდარა; წლების განმავლობაში საკითხი არაერთხელ გაშუქდა მედიის საშუალებებით; თუმცა, პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება - ნაგავსაყრელი განაგრძობს ფუნქციონირებას, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოზე და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

რა უნდა გავკეთდეს

ნარჩენების მართვის სფეროს გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ერთის მხრივ, რესურს-ეფექტურობას და ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებასა და შემცირებას და მეორეს მხრივ, ნარჩენების განცალკევებულად შერეობას, ხელმეორედ გამოყენებას და რეციკლირებას.

ნაგავსაყრელებთან დაკავშირებით, რა შეიძლება იყოს ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ წარმოებული კამპანიის მიზნები :

- შემცირდეს და/ან აღმოიფხვრას არსებული ნაგავსაყრელების მავნე ზეგავლენა ადამიანთა ჯანმრთელობასა და გარემოზე;
- ახალი ნაგავსაყრელების მოწყობისას მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული მავნე ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე;

- ახალი ნაგავსაყრელების მოწყობისას გათვალისწინებულ იქნეს გარკვეული ფრაქციების განცალკევებულად შეგროვების, ხელმეორედ გამოყენების და რეციკლირების სქემების დანერგვის შესაძლებლობები (და ამით ხელი შეეწყოს ნაკლები ნარჩენის მოხვედრას ნაგავსაყრელებზე და სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას);
- გადანყვებილება მიღებულ იქნეს საზოგადოების, განსაკუთრებით კი, ნაგავსაყრელების პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის მაქსიმალური მონაწილეობით;
- ნაგავსაყრელის დახურვაზე გადანყვებილების მიღებისას, გატარებულ იქნეს ნაგავსაყრელების დახურვის, კონსერვაციის და ტერიტორიის აღდგენის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ტერიტორიებიდან გარემოს შემდგომი დაბინძურების პრევენციას.

დავალება

1. აღწერეთ თქვენს რეგიონში არსებული მდგომარეობა ნაგავსაყრელებთან მიმართებაში?
2. გამოყავით ძირითადი პრობლემური საკითხები?
3. ჩამოაყალიბეთ რა შეიძლება გაკეთდეს ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ნაგავსაყრელის პრობლემის გადასაჭრელად.

ჭიათურის მანგანუმი - სიმდიდრის თუ უბედურების წყარო

ჭიათურაში მანგანუმის მოპოვება 1879 წელს აკაკი წერეთელის ინიციატივით დაიწყო. XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან გამოჩნდა არაერთი ადგილობრივი თუ უცხოელი საქმოსანი, რომელიც იჯარით ან შესყიდვის გზით ცდილობდა ხელში ჩაეგდო მანგანუმი მიწის ნაკვეთები. საბჭოთა წლებში ჭიათურა მანგანუმით ამარაგებდა მთელი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ფოლადის მწარმოებელ ქარხნებს. წლების განმავლობაში მანგანუმის ინტენსიური მოპოვების მიუხედავად, დღესაც, სხვადასხვა ექსპერტული შეფასებით, ჭიათურაში მანგანუმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მარაგია ევროპაში და დაახლოებით 215 მილიონ ტონას შეადგენს.

1993 წელს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი“ ბაზაზე, შეიქმნა სს „ჭიათურმანგანუმი“. სს „ჭიათურმანგანუმი“ პრივატიზებისა და რეაბილიტაციის არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ჭიათურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით 2005 წელს გაიხსნა საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოება. 2006 წლის ნოემბერში კი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩატარებული აუქციონის შედეგად ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებასთან ერთად სს „ჭიათურმანგანუმი“ აქტივებიც გაიყიდა. აუქციონში ვაჭრობის ერთადერთმა მონაწილემ - *Georgian Manganese Holding Limited*-მა გაიმარჯვა. აქტივების გაყიდვის პერიოდში გავრცელებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, გამარჯვებული კომპანია ბრიტანულ *Stemcor UK Limited*-ს ეკუთვნოდა, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა „ჭიათურმანგანუმი“ რეალური მფლობელი უკრაინული ჯგუფი „პრივატია“.

პრობლემური საკითხები

ჭიათურის მოსახლეობა საუკუნეზე მეტია განიცდის მანგანუმის მოპოვებისა და გამდიდრების უკიდურესად უარყოფით ზეგავლენას (მტვერი, ხმაური, ვიბრაცია, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება, ატმოსფეროში მავნე აირების გაფრქვევა). ჭიათურის მალაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების ექსპლუატაციის შედეგად გარემოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი წლების განმავლობაში მრავალი გამოკვლევის საგანი ყოფილა, თუმცა სიტუაციის გაუმჯობესებისათვის დღემდე არაფერია გაკეთებული. 1997 წლიდან დღემდე საწარმოში მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია, ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება არ განხორციელებულა. „ჭიათურმანგანუმი“ საქმიანობის გარემოსდაცვითი კანონდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი წლების განმავლობაში ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც თვალნათლივ აისახა ჭიათურის გარემოს მდგომარეობაზე.

„ჭიათურმანგანუმი“ სამთო მინაკუთვნი 2006 წლამდე მოქმედი ლიცენზიით განისაზღვრებოდა 3 566,16 ჰექტარით. 2006 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის თანახმად, „ჭიათურმანგანუმი“ სამთო მინაკუთვნის ფართობი გაიზარდა 16 430 ჰექტარამდე. ამჟამად სამთო მინაკუთვნი მოიცავს ადრე აუთვისებელ საბადოებსაც. ყურადსაღებია, რომ აღნიშნული ტერიტორიები დასახლებულია და კომპანიის მიერ საბადოს აქტიური ათვისების დაწყებასთან ერთად 3 ათასზე მეტ ოჯახს გადასახლება ემუქრება. ლიცენზიის მფლობელს უფლება მიეცა წიაღისეული ქ. ჭიათურაშიც კი მოიპოვოს.

დღეს ჭიათურის მოსახლეობას გარემოსდაცვით პრობლემებთან და ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან ერთად, მათთვის მიყენებული და აუნაზღაურებელი მატერიალური ზიანი აწუხებს. წლების განმავლობაში ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების შედეგად ათასობით ადამიანმა დაკარგა ან დაუზიანდა საცხოვრებელი, საძოვრები, სახნავ-სათესი მიწები, ნარგავები, პირუტყვი და სხვა საკუთრება. წლების განმავლობაში სასამართლოში დაზარალებული მოსახლეობის ათასობით სარჩელია შეტანილი „ჭიათურმანგანუმი“ წინააღმდეგ. როგორც წესი, საქმის ხანდაზნულობის გამო, სასამართლო მოსარჩელეთა უმრავლესობას უარს ეუბნებოდა სარჩელის განხილვაზე. ასევე არის შემთხვევები, როდესაც დაზარალებულები დროულად მიმართავდნენ სასამართლოს და სასამართლოც დაზარალებულთა სასარგებლოდ იღებდა გადაწყვეტილებებს, მაგრამ გადაწყვეტილებათა უმეტესობას „ჭიათურმანგანუმი“ არ აღასრულებდა. შედეგად, სასამართლოს გადაწყვეტილებათა უმეტესობაზეც გასულია აღსრულების (ათწლიანი) ვადა. მაგნამუნის მოპოვებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებების უგულებელყოფის პრაქტიკა არც საწარმოს ახალი მფლობელისათვის გადაცემას შეუცვლია. მეტიც, ადგილობრივების თქმით, საწარმოს „ჯორჯიან მანგანუმისათვის“ გადაცემის შემდეგ, ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება გაიზარდა, ხოლო საწარმოს საქმიანობის შედეგად დაზარალებულთათვის საკუთარი უფლებების დაცვა თითქმის შეუძლებელი გახდა.

დავალება

1. კიდევ რა ტიპის პრობლემებს ვხდებით ჭიათურაში, რომელიც მინიშნებულია მაგრამ არ არის გაშლილი პრობლემის ანალიზში?
2. რა შეიძლება გაკეთდეს ზემოთ აღნიშნული და ახლად იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაწყვეტად (გაითვალისწინეთ, რომ ამ ეტაპზე, ჭიათურა არ არის დასახელებული თვითმმართველ ქალაქებს შორის სადაც მოხდება მერის პირდაპირი გზით არჩევა)
3. ვინ შეიძლება იყოს ცვლილებების აგენტი (მთავრობა, ადგილობრივი მმართველობა, კომპანია, მოსახლეობა, ინტერესთა ჯგუფები)
4. ჩამოაყალიბეთ ჭიათურ მანგანუმის პრობლემების გადაჭრის გზები

გამოყენებული ლიტერატურა

- Derek Walls, 2010. The No-Nonsense Guide to Green Politics, New Internationalist TM Publications Ltd.
- Miller, G. Tyler (George Tyler), 2000. Living in the environment: principles, connections and solutions, Brooks/Cole Publishing Company, A division of International Thomson Publishing Inc.
- G. Tyler Miller, Jr. and Scott E. Spoolman, 2009, 2007. Living in the environment: principles, connections and solutions, 16e, Brooks/Cole, Cengage Learning.
- „კლიმატის ცვლილება: პუბლიკაციები, მასალები და სხვა რესურსები“. WWF. ხელმისაწვდომია: http://wwf.panda.org/what_we_do/footprint/climate_carbon_energy/climate_deal/publications/
- მწვანე ალტერნატივა, 2012. გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ინსტიტუციური მოწყობის და რეგულირების მექანიზმების ხარვეზების ანალიზი.
- საქართველოს მთავრობა, 2012. საქართველოს გარემოს დაცვის მეორე ეროვნული პროგრამა: 2012-2016. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2012 წ. 24 იანვრის #127 განკარგულებით.
- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, 2011. 2007-2009 წლების საქართველოს ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ. დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წ. 9 დეკემბრის #ი-54 ბრძანებით.
- ENVSEC, 2011. Regional Climate Change Impacts Study for the South Caucasus Region. ხელმისაწვდომია: http://envsec.org/publications/cc_report.pdf
- გაეროს კლიმატის ცვლილების კონვენციის მიმართ მეორე ეროვნული შეტყობინება, 2010.
- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სისტემების მონაცვლადობა და ადაპტაცია კლიმატის ცვლილების მიმართ. ხელმისაწვდომია: http://moe.gov.ge/files/Klimatis%20Cvliileba/Adaptacia/4.1._საქართველოს_მონაცვლადობა_და_ადაპტაცია_კლიმატის_ცვლილების_მიმართ.pdf

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org